დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2024 წლის 4 - 10 ნოემბერი

N 46 1564

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი


## სკანდალური ფაქტები სალომე ზურაბიშვილის 8-9

# ავტორიტარული კაპრიზების შესახებ

ინაუგურაციის შემდეგ წინანდლის ხუთვარსკვლავიან სასტუმროში თავისი მეგობრებისა და ნათესავებისათვის გაშლილი სუფრის საფასური — 150 000 ლარი სალომე ზურაბიშვილმა ბიძინა ივანიშვილს გადაახდევინა!



მდედრი თემურ ალასანია



ზურაბიშვილი ალასანიას გეგმით ამოქმედდა!

10

მამრი თემურ ალასანია

### იაგო ხვიჩია:



ოპოზიციას ერთი სული აქვს, პარლამენტში როდის შევარდება! 4-5

„მიმაჩნია, რომ სალომე ზურაბიშვილის მიზანია ოპოზიციის დაქსაქსვა!“

### ზაზა პაპუაშვილი:



ეს უნიჭო კინო ნანახი გვაქვს – პარლამენტშიც შევლენ და თავიანთ დედებსაც ატირებენ! 12

„კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სალომე ზურაბიშვილი აბსოლუტური იდიოტია!“

### ირაკლი წერეთელი:



საქართველოში ყველა ვაჟკაცმა ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“, ხოლო ყველა პედე...ტმა შემოხაზა „პედოპოზიცია!“ 6-7

### გელა ნიკოლაიშვილი:



26 ოქტომბრის არჩევნების შედეგების აღიარება გაგრძელდება! 11

ოპოზიციას არავითარი რესურსი არა აქვს!

### მამუკა ფიფია:



ქართველებს ევროპაში უვიზოდ და ღირსებით შესვლის მყარი გამოცდილება აქვთ, როგორც ეს 1945 წლის მაისში მოხდა! 15

### ზვიად ტომარაძე:



არჩევნებში მონაწილეობა არ შეიძლება ბიზნესის წყაროდ გადაიქცეს! 20

„პარლამენტში შესული 5 პარტიის დაფინანსება ამნაირად გადანაწილდა...“

# მელანემა გაასხა! 2

### არნო ხიდირბეგიშვილი

ვინც საქართველოში დარჩენა ვარჩიეთ, გვაცალეთ პარლამენტის, მთავრობისა და პრეზიდენტის არჩევა!



18

## მოღალაქეთა კავშირი

### მიხეილ ცაგარელი:

ხელისუფლება მძიმე დარტყმებს მიიღებს და ამისთვის მზად უნდა იყოს! 28



ნახავთ, საქართველო როგორი პატივსაცემი ქვეყანა გახდება!

ახალ წლამდე მშვიდად ვერ ამოისუნთქავთ!

***საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა კახა თარგამაძემ, რომელიც საკუთარ თავს „რკინის კაცს“ეძახდა, 1998 წლის 9 თებერვალს ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული მეორე ტერაქტის შესახებ საუბრისას განაცხადა — როცა პრეზიდენტის ჯავშნიან „მერსედესს“ ჭურვი მოხვდა, სამუხრუჭე სითხემ, ანუ „ჟიდკოსტმა“ გაასხა, ავტომანქანა გასრიალდა და ინერციით გასცდა იმ ადგილს, სადაც თავდამსხმელები იყვნენ ჩასაფრებული!***

# მელანმა





პრეზიდენტ შევარდნაძის ავტომობილი 1998 წლის 9 თებერვლის ტერაქტის შემდეგ

## კახა თარგამაძე — 26 წლის წინათ:

# «ჟიდკოსტმა» გაასხა!

**კახა თარგამაძე** შევარდნაძის მთავრობის კოლორიტული პერსონაჟი იყო და ქართული პოლიტიკის ისტორიას მისი არაერთი კვიმატური თუ ოდიოზური გამონათქვამი შემორჩა, რომელთა შორისაც **„ჟიდკოსტმა“ გაასხა“** ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია.

ისიც სათქმელია, რომ 1998 წლის 9 თებერვლის ღამეს თბილისში, კრწანისის გზაზე, **არამარტო „ჟიდკოსტმა“, არამედ თავად ტერაქტმაც გაასხა,** რადგან თავდამსხმელებმა ედუარდ შევარდნაძე ვერ მოკლეს, ხოლო ვერსია იმის შესახებ, რომ ტერორისტული აქტის დროს პრეზიდენტი თავის ჯავშნიან ავტომობილში საერთოდ არ იჯდა, დღემდე ძალაშია.

ასე იყო თუ ისე, მანქანაში **„ჟიდკოსტის“ გასხმის** შემდეგ შევარდნაძემ კიდევ ხუთ წელიწადს იპრეზიდენტა და **საბოლოოდ მაშინ გაასხა,** როცა ამერიკამ და რუსეთმა, მათი ქართული აგენტურის ხელით, ე.წ. **ვარდების რევოლუცია** მოუწყვეს.

დღეს კი, შევარდნაძის მანქანაში **„ჟიდკოსტის“ გასხმიდან 26 წლის შემდეგ,** საქართველოში კიდევ ერთი რევოლუციის მოწყობას აპირებენ **„ვარდების რევოლუციის“ გადმონაშთები,** რომლებმაც **2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში გაასხეს.**

უკეთ თუ ვიტყვით, როგორც 26 წლის წინათ შევარდნაძის ავტომობილში **„ჟიდკოსტმა“ გაასხა,** სწორედ ისე **გაასხა** 26 ოქტომბრის არჩევნებში **კოლექტიურმა ნაცმოძრაობამ,** რომელიც ახლა თავის მარცხს **მელნის გასხმას** აბრალებს!

ჰო, 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მეორე ადგილზე გასულმა ახალმა ნაცმოძრაობამ — **გვარამიას პარტიამ** — პირველ ადგილზე გასულ **„ქართულ ოცნებასთან“** 890 000 ხმით რომ წააგო, ეს, თურმე, იმის ბრალია, რომ **მელანმა გაასხა!**

**მელნის გასხმის** ბრალი ყოფილა, რომ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მესამე ადგილზე გასული **ძველი ნაცმოძრაობა — სააკაშვილის პარტია** — პირველ ადგილზე გასულ „ქართულ ოცნებას“ 908 000 ხმით ჩამორჩა!

26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში **მელანს რომ არ გაესხა,** „ქართული ოცნება“ ერთად აღებულ ოთხივე ოპოზიციურ ცენტრს — **ძველ ნაცებს, ახალ ნაცებს, ხაზარაძის კოალიციასა და გახარიას პარტიას** — 335 000 ხმით კი ვერ მოუგებდა, დამარცხდებოდა და ხელისუფლებას დაემშვიდობებოდა!

კი, თურმე, **მელანმა გაასხა** და ამან დაღუპა ქართული რადიკალური ოპოზიცია!

არც ნაცების ბნელი და სისხლიანი წარსული, არც მშვიდობის მგმობელი და საქართველოს ომში ჩათრევისაკენ მიმართული რიტორიკა, არც ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის უგულებელყოფა და უცხო ძალებისადმი მონური მორჩილება, არც ტრადიციულ ქართულ ფასეულობებთან ბრძოლა, ლგბტ დროშის ფრიალი და სხვა ანტიეროვნული და ანტიმართლმადიდებლური სიბილწენი, რაც ნაცლიბერალების პოლიტიკური ცხოვრების წესს წარმოადგენს, თურმე, არაფერ შუაშია და არჩევნები იმიტომ წააგეს, რომ **მელანმა გაასხა.**

**მელანს რომ არ გაესხა,** ქართველი ხალხის გადამწყვეტ უმრავლესობას, თურმე, კვლავ ხელისუფლებაში მოჰყავდა მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელები და მათი სატელიტები.

**ო, რა მოულოდნელად ჩამოჰკრა უბედურების ზარმა და როგორ უცაბედად გაასხა მელანმა, ვითარცა „ჟიდკოსტმა“ — შევარდნაძის ავტომობილში!**

და მაინც, რას გულისხმობენ ამ **„მელნის გასხმაში“** კოლექტიური ნაცები და მათი აპეკუნები?

ნუ იტყვით და, საარჩევნო ბიულეტენში საარჩევნო სუბიექტის წინ არსებული რგოლის გაფერადების შემდეგ **მარკერისა თუ ფლომასტერის კვალს ქაღალდის უკანა მხარეს გაუჟონია და ელექტრონულ აპარატში ბიულეტენის მოთავსებისას შესაძლებელი გამხდარა, გარეშე პირს შეემჩნია, თუ ვის მისცა ხმა კონკრეტულმა ამომრჩეველმა.**

ამით ხმის მიცემის ფარულობა დაირღვა, რის გამოც არჩევნების შედეგები უნდა გაბათილდეს და ხელახალი არჩევნები ჩატარდეს! — გაჰკივიან კოლექტიური ნაცები, რომლებიც 26 ოქტომბრამდე თავიანთ ამომრჩევლებს არწმუნებდნენ — სახელოვნად გავიმარჯვებთო, მაგრამ არჩევნებში **უსახელოდ გაასხეს!**

26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში 2 მილიონზე მეტმა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა და პირადად გაიარა ყველა ის პროცედურა, რო-

## როგორც 26 წლის წინათ შევარდნაძის ავტომობილში „ჟიდკოსტმა“ გაასხა, სწორედ ისე გაასხა 26 ოქტომბრის არჩევნებში კოლექტიურმა ნაცმოძრაობამ, რომელიც ახლა თავის მარცხს მელნის გასხმას აბრალებს!

## კვირგვინოსნები



**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

ვინმე თუ გაბედავს და **დაუპირისპირდება 1 120 000 ადამიანის ნებას,** ყველა მიიღებს საკადრის პასუხს.

„ახალი თაობა“



**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*

**წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო,** ისეა ოპოზიციის საქმე, ხავსიც აღარ დარჩათ, **რას ეკიდებიან თვითონაც არ იციან — მე კი ვიცი, რას ეკიდებიან,** უბრალოდ, მეუხერხულება ვისაუბრო ამ ყველაფერზე.

**ვინც კანონის ჩარჩოს გასცდება,** ყველამ კარგად დაიმახსოვროს, **კანონის ფარგლებში გაეცემა შესაბამისი, ძალიან მკაცრი პასუხი.**

„ინტერპრესნიუსი“



**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*

ვერ ვხვდები, **გახარია და „ლელო“ რას აპროტესტებენ,** ეგზიტპოლით, რომელიც მოეწონათ, **8-9 პროცენტი ჰქონდათ,** ცესკოს შედეგებითაც **8-9 პროცენტი აქვთ.**

„პირველი არხი“



**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*

რამდენიმე ფაქტი გვაქვს, როცა ჩვენი მომხრე მივიდა საარჩევნო უბანზე და არ აღმოჩნდა სიაში — **ხმების მოპარვა რომ გაინტერესებდათ, რეალურ ფაქტებს დაგიდებთ მალე,** კონკრეტული ფაქტები გექნებათ, **ვისი ხმები როგორ მოიპარეთ.**

„ინტერპრესნიუსი“



**კახა კახიშვილი**
*პარლამენტარი*

აუცილებელია, პრეზიდენტი გახდეს **მხოლოდ საქართველოში დაბადებული** ადამიანი.

„რეზონანსი“

# გაასხა!






## ნაცოპოზიცია — 26 ოქტომბრის შემდეგ:
# მელანმა გაასხა!

მელსაც ელექტრონული ხმის მიცემა ითვალისწინებდა. შესაბამისად, ყველამ იცის, რომ, თუ საარჩევნო ბიულეტენს სპეციალურ ყდაში სწორად მოათავსებდი, შეუძლებელი იყო, ვინმეს დაენახა, ვის მიეცი ხმა, ანუ რომელი პარტიის წინ არსებული წრე გააფერადე.

ვთქვათ, საქართველოს მასშტაბით გახსნილ 3 111 საარჩევნო უბანზე მართლაც იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა **მელანმა გაასხა,** ანუ მარკერის კვალმა ბიულეტენის უკანა მხარეს გაჟონა, ამომრჩეველმა კი ფურცელი ყდაში არასწორად ჩადო და საარჩევნო უბანზე მყოფმა კომისიის წევრებმა თუ დამკვირვებლებმა შეძლეს, შეამჩნიათ, რომელი საარჩევნო სუბიექტის წინ არსებული რგოლი იყო გაფერადებული... მაინც რამდენი ასეთი შემთხვევა შეიძლებოდა, ყოფილიყო? 2 მილიონზე მეტი, ანუ იმდენი, რამდენი ამომრჩეველიც მივიდა არჩევნებზე? რა თქმა უნდა, არა! აბა, ასობით, ათასობით, ათიათასობით ან ასიათასობით ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა? ყოვლად წარმოუდგენელია, მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, საარჩევნო უბნებზე ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების კვოტით მრავლად მყოფ დამკვირვებლებს მყისიერი რეაგირება ხომ უნდა მოეხდინათ? თუ **მელნის გასხმის,** ანუ ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის ასობით, ათასობით, ათიათასობით ან ასიათასობით ფაქტი მოხდა, ასობით, ათასობით, ათიათასობით ან ასიათასობით საჩივარი ხომ უნდა დაწერილიყო?

მაშ, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რამდენი საჩივარი შევიდა **მელნის გასხმასთან,** ანუ ხმის მიცემის ფარულობის დარღვევასთან დაკავშირებით?

მხოლოდ 7!

ვიმეორებთ, **მელნის გასხმასთან დაკავშირებით ცესკოში შესულია მხოლოდ 7 საჩივარი!**

**მელნის გასხმის** მხოლოდ 7 შემთხვევა მაშინ, როცა არჩევნებზე 2 მილიონზე მეტი ამომრჩეველი გამოცხადდა!

**მელნის გასხმის** მხოლოდ 7 ფაქტი 3 111 საარჩევნო უბანზე!

**მელნის გასხმაზე** მხოლოდ 7 საჩივარი ცესკოში შესულ 1 170 საჩივარს შორის!

სხვათაშორის, 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ცესკოში იმაზე ნაკლები საჩივარი შევიდა, ვიდრე 2020 წლის საპარლამენტო და 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ახლანდელი არჩევნები წინა ორზე უფრო სუფთად და გამართულად ჩატარდა.

შესაბამისად, კოლექტიურ ნაცოპოზიციას არჩევნების გაყალბების არავითარი სამხილი არ გააჩნია და ვერაფრით ამტკიცებს, რომ ადგილი ჰქონდა დარღვევებს, რომლებმაც არჩევნების შედეგებზე გავლენა მოახდინეს!

**კოლექტიურ ნაცოპოზიციას, ე.წ. პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მეთაურობით, არჩევნების გაყალბების დამადასტურებელი რაიმე სერიოზული მტკიცებულება რომ ეჭიროთ ხელში, აუცილებლად წარუდგენდნენ საქართველოს გენერალურ პროკურატურას, რომელმაც, სალომე ზურაბიშვილისა და ოპოზიციის წარმომადგენელთა საჯარო განცხადებების საფუძველზე, არჩევნების შესაძლო გაყალბების გამოძიება დაიწყო.**

მიუხედავად იმისა, რომ ნაცოპოზიციის წარმომადგენლებს მათი უცხოელი პატრონები ვაშინგტონიდან და ბრიუსელიდან ღიად მოუწოდებენ — გამოძიებასთან ითანამშრომლეთო, ისინი პროკურატურაში გამოკითხვაზე მაინც არ მიდიან, რადგან კარგად იციან, რომ **მელნის გასხმის** მსგავს სისულელეებსა და სიგიჟეებს, რასაც ტელეეთერსა და მიტინგზე გაჰყვირიან, საგამოძიებო უწყებას ვერ მოუყვებიან.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, კოლექტიურმა ნაცებმა 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გაასხეს და ახლა ისღა დარჩენიათ, თავიანთი მარცხი **მელნის გასხმას** დააბრალონ, პარალელურად კი რუსთაველის გამზირზე კარვების გაშლასა და შიგ წამოწოლას აპირებენ, რათა ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი ხელოვნურად შექმნან და მანამდე არაერთგზის ჩაფლავებული რევოლუციის მოწყობა კიდევ ერთხელ სცადონ.

**თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ 1 120 000-მა ამომრჩეველმა მისცა ხმა და მტკიცე ლეგიტიმაცია მიანიჭა, ნაცოპოზიციის მორიგი ჯახირი კვლავ კრახით დასრულდება!**

კოლექტიური ნაცების მიერ რევოლუციის მოწყობის მორიგი მცდელობაც შევარდნაძის მანქანის **„ჟიდკოსტივით“ გაასხამს!**

## კოლექტიური ნაცების მიერ რევოლუციის მოწყობის მორიგი მცდელობაც შევარდნაძის მანქანის „ჟიდკოსტივით“ გაასხამს!

*ჯაბა ხუბუა*

## კვირგვინოსნები

**ედმონდ მინაშვილი**
*რუსთაველის თეატრის მსახიობი*



მეფეებს **აგინეს,** სპორტსმენებს **აგინეს,** ხელოვანებს **აგინეს,** ქართულ ჯარს **აგინეს,** პოლიციელებს **აგინეს,** პატრიარქს და მღვდლებს **აგინეს,** მრევლს **აგინეს,** ტრადიციებს **აგინეს,** მშვიდობას **აგინეს,** ღვინოს **აგინეს,** კახელებს **აგინეს,** აფხაზებს **აგინეს,** მარნეულელებს **აგინეს,** ერთმანეთის ცოლებიც კი გაცვალეს, **სამშობლო გაყიდეს, სტრასბურგში ვერც ერთი საქმე ვერ მოიგეს,** ვისი ვისაში აქვთ, ვერ გაიგებ, ერთმანეთს ხომ მკვდარი და ცოცხალი **აგინეს** და **აგინეს,** დაა...
**რატომ წავაგეთოოოო?!**

„ფეისბუქი“

**ვიქტორ ორბანი**
*უნგრეთის პრემიერ-მინისტრი*



არავის უნდა საკუთარი ქვეყნის დანგრევა და **უაზრო ომში ჩართვა**, ამიტომ **გვესმის გადაწყვეტილება, რომელიც ქართველმა ხალხმა მიიღო და არჩევანი გააკეთა მშვიდობის სასარგებლოდ.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



**კონსტიტუციის დამრღვევი პრეზიდენტი,** მაღალი ალბათობით, არც თვლის საჭიროდ **არჩევნების გაყალბებაზე ბრალდებების** დასაბუთებას, სავარაუდოდ, ამ კითხვაზეც მათი პასუხი იქნება — **„იმიტომ“.**

„პირველი არხი“

**პიტერ სიიარტო**
*უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი*



**ევროპის 13 საგარეო საქმეთა მინისტრი** ვერ ხვდება, რომ **საქართველოს მთავრობა არ ინიშნება ბრიუსელიდან,** არამედ ირჩევს ხალხი.

„პირველი არხი“

**„გირჩის“ ლიდერი იაგო ხვიჩია 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს და მასთან დაკავშირებულ პერიპეტიებს მიმოიხილავს და აცხადებს, რომ სააკაშვილის ნაცებისა და „გირჩის“ გარდა, ამ არჩევნებში ყველამ წარმატებას მიაღწია, ყველა პარლამენტში შეძვრა და იმდენი ხალხი გაიყვანა, რამდენსაც თავადაც კი არ ელოდა:**




# იაგო ხვიჩია: ოპოზიციას ერთი სული აქვს, პარლამენტში როდის შევარდება!

— გამიჭირდება იმის თქმა საარჩევნო ბიულეტენებზე ფლომასტერის მელნის გაჟონვა მიზანმიმართულად მოხდა თუ შემთხვევით, მაგრამ **ცესკო** აღნიშნული ფაქტის შესახებ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ წინასწარ ჰყავდა გაფრთხილებული და საპასუხო წერილიც კი იყო მოწერილი, რომ ხარვეზი არჩევნებზე გამოსწორდებოდა. **ცესკო** პირობას დებდა, რომ ბიულეტენი იქნებოდა უფრო სქელი, რაც პრობლემას აღმოფხვრიდა. ფაქტია, რომ პრობლემა პრობლემად დარჩა და არჩევნების ფარულობის პრინციპი დაირღვა. ჩემდა გასაკვირად, ოპოზიცია ამ დარღვევაზე ხმას არ იღებს და თავის პოზიციას ახალ-ახალი, სრულიად დაუსაბუთებელი და სულელური არგუმენტების გამოგონებით ანგრევს. **მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ოპოზიციას, რომელსაც ძალიან უნდა პარლამენტში შესვლა, ფარულად ხელისუფლებასთან და ოპოზიციის სხვა ნაწილთან აქვს კავშირი და განზებ არ აპელირებს ამ ერთადერთ კანონდარღვევაზე, რომელმაც შესაძლოა, ნამდვილად განაპირობოს არჩევნების შედეგების გადასინჯვა.**

**— ბატონო იაგო, თქვენი აზრით, ოპოზიციას არჩევნების თავიდან ჩატარება ხელს არ აძლევს?**

— ეს ხომ ცხადია! სააკაშვილის ნაცებისა და ჩვენ გარდა ყველამ წარმატებას მიაღწია, ყველა პარლამენტში შეძვრა და იმდენი ხალხი გაიყვანა, რამდენსაც თავადაც კი არ ელოდა. აქედან გამომდინარე, განმეორებითი არჩევნები მაგათ ხელს არ აძლევთ, რადგან გამორიცხული არ არის, ასეთ შემთხვევაში „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ უფრო მეტი ხმა მიიღოს, ხოლო ოპოზიციამ — ნაკლები!

**— მაშინ რა გამოდის, ოპოზიცია აფერისტობს და ხალხს ატყუებს, როცა გაიძახის — არიქა, არჩევნები საერთაშორისო ორგანიზაციებმა ჩაატარონო?**

— ხომ გახსოვთ, რამდენი იყვირეს და ატყუეს ხალხი — ბიძინას ორ კვირაში რუსეთში გავუშვებთო... ხმა არ დაიკარგოს და ყველანი „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ გავერთიანდეთო... ახლა უკვე აღარ იციან, რა ქნან... ასეთ რაღაცებს რომ ატყუებდნენ ხალხს და თან ეგზიტპოლებსაც აყალბებდნენ, ეს უკვე უნდა ახსნან და რაიმე არგუმენტით თავი იმართლონ. ამიტომაც გაიძახიან, რომ არჩევნები გაყალბდა! მე კი ვაცხადებ, რომ **არჩევნები არ გაყალბებულა და „ქართულმა ოცნებამ“ მოიგო, მაგრამ დაირღვა ფარულობის პრინციპი...**

**— თქვენი ინფორმაციით, მელანმა ყველა ბიულეტენზე გამოჟონა?**

— ვნახე მხოლოდ ერთი უბნის ვიდეოკადრები, როცა ბიულეტენებს ითვლიან... ვინაიდან ბიულეტენი და ფლომასტერი ყველგან ერთი და იგივე მასალისგან იყო დამზადებული, სავარაუდოდ, გაჟონვა ყველგან მოხდებოდა...

**— პრინციპულად თუ ვიტყვით, ეს თქვენი ვარაუდია?**

— კიდევ ვიმეორებ: **არჩევნები კი არ გაყალბდა, მოხდა ტექნიკური შეცდომა და ფარულობა დაირღვა, რაც ახალი არჩევნების ჩატარების საფუძველია!** ამიტომ თავიდანვე ვაცხადებდი და ახლაც იმავეს ვიმეორებ: ბიულეტენები იმიტომ კი არ არის გადასათვლელი, რომ არჩევნები გაყალბდა, არამედ ფარულობაა, დიდი ალბათობით, დარღვეული. თუ გაჟონვა ბიულეტენების 2 პროცენტს ეხება, მაშინ ეს სურათს არ ცვლის, მაგრამ, თუ შემთხვევები უფრო მეტია, მაშინ არჩევნები თავიდან უნდა ჩატარდეს!

**— თქვენ ზემოთ ახსენეთ — ეგზიტპოლები გააყალბესო! „ედისონ რისერჩის“ მიერ გამოქვეყნებულ ეგზიტპოლებს გულისხმობთ?**

— დიახ, მეტწილად მაგას ვგულისხმობ!

**— მაშინ გვითხარით, რის ფასად მოხდა ეს გაყალბება — ფული აიღეს თუ ვერ დაითვალეს?**

— საერთოდ, მე და **სანდრო რაქვიაშვილი** როცა ოფისში ნაცებისა და ოპოზიციის შესახებ ვლაპარაკობთ, განსხვავებული მოსაზრებები გვაქვს. სანდრო უფრო იმ ვერსიას „აწვება“, რომ ნაცები სულელები არიან, ხოლო მე უფრო იმისკენ ვიხრები, რომ მოსყიდულები არიან! აბა, ამიხსენით, როგორ შეიძლება, ეგზიტპოლში იყოს 40-პროცენტიანი სხვაობა და ეს სისულელე გაიშიფროს 1 საათში? ამ ყველაფრის რელევანტური ვერსია შესაძლოა, სისულელეც იყოს და მოსყიდულობაც... „ედისონ რისერჩის“ ეგზიტპოლი რომ ნამდვილად გაყალბებულია, ამაში ეჭვი არ მეპარება! მგონი, „მთავარ არხსაც“ ჰქონდა ეგზიტპოლი და ისიც გააყალბეს...

**— თუ ოპოზიცია ხელისუფლებასთან არის გარიგებული, მაშინ გვარამია კარვებს რატომღა ეძებს, შაპიტოს ცირკის გამართვა უნდათ?**

— კარვების გაშლა იმას ნიშნავს, რომ შენ უკან იხევ, გინდა, რომ პროტესტი კარავში გამოამწყვდიო და მერე პასუხისმგებლობას გაექცე, რადგან კარავში მალე სუნი დადგება და იქ გაჩერება ხალხს მობეზრდება. კარავი, დოლ-გარმონი, ქუჩაში ხალხის სეირნობა და კონცერტი არის პროტესტის ჩახშობისა და მილევად რეჟიმში გადაყვანის საუკეთესო საშუალება! ჩვენ საზოგადოებას იმთავითვე ვაფრთხილებდით, რომ „ქართული ოცნება“ გვარამიას ხელმძღვანელობით აუცილებლად დააორგანიზებდა ფეიკ-რევოლუციას. ჩემი ღრმა რწმენით, „ქართულმა ოცნებამ“ გვარამია ციხიდან იმიტომ გამოუშვა, რომ სააკაშვილისთვის დარტყმა მიეყენებინა და მისთვის პროპაგანდისტის ფუნქცია ჩამოერთმია. ასე ჩაუყენეს ცრუ აჯანყებას სათავეში ცრუ ლიდერი ნიკა გვარამია, რათა ხელისუფლებას არავითარი საფრთხე არ შეექმნას!

**— გვარამია ციხიდან სალომე ზურაბიშვილმა არ გამოუშვა? გამოუშვა. „ქართული ოცნება“ რა შუაშია?**

— **ნიკა გვარამია** ციხიდან „ქართულმა ოცნებამ“ გამოუშვა! **სალომე ზურაბიშვილი** „ქართული ოცნების“ არჩეულია და ბატონმა **ბიძინა ივანიშვილმა** სალომე ზურაბიშვილს რა პატივიც სცა, ბერასთვის არ ექნება ნაცემი. აქედან გამომდინარე, **წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ სალომე ზურაბიშვილი ბიძინა ივანიშვილს ებრძოდეს! პირიქით, მე უფრო სარწმუნოდ მიმაჩნია ის, რომ დღეს სალომე ზურაბიშვილის მი-**



ნაცოპოზიცია გლოვობს არჩევნების შედეგს. 2024 წლის 26 ოქტომბერი

## „მიმაჩნია, რომ სალომე ზურაბიშვილის მიზანია ოპოზიციის დაქსაქსვა, რათა ხელისუფლებას საქმე ყოველმხრივ გაუადვილოს!“

## კვირგვინოსნები

### ლევან იოსელიანი
*სახალხო დამცველი*



**მე, როგორც სახალხო დამცველი,** არ ვარ რომელიმე პოლიტიკური პარტიის გვერდით. **მე არ ვდგავარ მათთან,** ხშირ შემთხვევაში არ ვიმეორებ აბსურდულ განცხადებებს, რომელიც ძნელია საღი აზრის მქონე ადამიანმა დაიჯეროს, მაგალითად, **350 ათასი** ადამიანი ჩამოატარეს „კარუსელებზე“. **350 ათასი** ადამიანი რომ ატარო სხვადასხვა უბანზე, თუნდაც ასე რომ იყოს, ამას სჭირდება, დაახლოებით **30 ათასი** სამარშრუტო ტაქსი ან **10 ათასზე** მეტი ავტობუსი. ეს ყველაფერი ისე მოხდა, რომ ამ ქვეყანაში ვერავინ ვერაფერი გაიგო, მე ამის **არ მჯერა. არ მჯერა,** რომ **100 ათასზე მეტ** ადამიანს ჩამოართვეს პირადობის მოწმობა. **ერთი ადამიანი** არ არის, ვინც იტყვის, რომ მე ვარ ის კაცი, ვისაც პირადობის მოწმობა იძულებით ჩამომართვეს.

„ინტერპრესნიუსი“

### ჯო ბაიდენი
*აშშ-ის პრეზიდენტი*



მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, **გამჭვირვალედ გამოიძიოს არჩევნებთან დაკავშირებული ყველა დარღვევა, გააუქმოს ეგრეთ წოდებული „უცხოური გავლენის კანონი“.** მოვუწოდებთ ყველა მხარეს, **მკაცრად დაიცვან კანონის უზენაესობა და ფუნდამენტური თავისუფლებები,** რაც საქართველოს ევროატლანტიკური მომავლის საფუძვლად რჩება.

„პირველი არხი“

### პაატა ზაქარეიშვილი
*კონფლიქტოლოგი*



**ჯერ უნდა დაამტკიცო გაყალბება,** მერე მოსთხოვო ხალხს **ქუჩაში გამოსვლა.**

„ახალი თაობა“

### დავით ზურაბიშვილი
*პოლიტოლოგი*



**მხოლოდ ლაპარაკი** — გაყალბდაო, ფუჭია, **ამას დამტკიცება სჭირდება.**

„კვირის პალიტრა“

**ზანია ოპოზიციის დაქსაქსვა, რათა ხელისუფლებას საქმე ყოველმხრივ გაუადვილოს!** ასევე, რასაც გვარამია ციხიდან გამოსვლის შემდეგ აკეთებს, ეს არის ბრძოლა მიშას წინააღმდეგ. ამ არჩევნებზეც გვარამიამ სწორედ მიშა გაძარცვა, თორემ ხმა „ქართული ოცნებისთვის“ არ წაურთმევია!

**— მერედა, სააკაშვილი ამას ვერ ხვდება?**

— სააკაშვილი ტყვეა და მოგეხსენებათ, რაღაცებს ანგარიშს უწევს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ცოტა ხანში ბევრ რამეს მიხვდება და თავის სიტყვას იტყვის! **ჯერჯერობით ეს ყველაფერი ემსახურება პროტესტის განლევას და მეტს არაფერს. ოპოზიციას ერთი სული აქვს, პარლამენტში როდის შევარდება!**

**— კითხვის ნიშნები გახარიას მიმართაც არსებობს... ფაქტია, რომ მისი 8 პროცენტი „ქართული ოცნების“ ხმებია!**

— **კი, გახარიამ „ქართულ ოცნებას“ წაართვა ხმები, თორემ ხელისუფლება საკონსტიტუციო უმრავლესობას აიღებდა!** ოპოზიციამ იმდენი იძახა, გახარიას მიეცით ხმაო! — „ქართულმა ოცნებამ“, რეალურად, ხმების 60 პროცენტზე მეტი მიიღო. არადა, იმავე გახარიას ცოტა ხნის წინათ ოპოზიცია „თვალთხარიას“ ეძახდა... ოპოზიციამ ქართველ ხალხს „აჭამა“ — თუ გახარია და გვარამია იქნებიან ჩვენი ლიდერები, ბიძინას დავამარცხებთო!

**— მაშინ რა გამოდის, თუ გახარია და გვარამია ბიძინა ივანიშვილის არღნის ჩიტები არიან, „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ხელთ აქვს?**

— არ სჭირდებათ, თორემ რა პრობლემაა? საკონსტიტუციო უმრავლესობა ზედმეტი პასუხისმგებლობაა! „ქართულ ოცნებას“ თავისუფლად შეეძლო, საკონსტიტუციო უმრავლესობა ამ პარლამენტშიც ჰქონოდა და სალომე ზურაბიშვილისთვის იმპიჩმენტიც მოეწყო, მაგრამ არ ქნეს. **რა პრობლემაა, თუ მოინდომებენ, ახალ პარლამენტშიც ექნებათ საკონსტიტუციო უმრავლესობა, რადგან ყველა გასაყიდადაა გამზადებული.**

საერთოდ, თუ გინდა, რომ ამ ქვეყანაში რევოლუცია მოხდეს, გვარამია და გახარია სარდალი არ უნდა იყოს! აქედან გამომდინარე, თუ გვინდა, ქვეყანაში რამე შეიცვალოს, პირველ რიგში, ისინი უნდა ჩაირეცხონ, ვინც ოპოზიციის სიით პარლამენტში შევიდა. როგორც კი ბიძინას რამე პრობლემა შეექმნება, გვარამიას გამოაგდებს, წინ ფარად აიფარებს და დამთავრებულია ყველაფერი, რადგან გვარამია აბსოლუტურად კომპრომეტირებული პიროვნებაა. შესაბამისად, **ხალხის გულწრფელი პროტესტი ამათ წივილ-კივილში იხშობა.** ამიტომ ამ მიტინგებს თუ რამ კარგი შედეგი ექნება, მხოლოდ ის, რომ ქართველი ხალხი სცენაზე აიჭრას და ესენი სულ პანდურის რტყმით ჩამოყაროს! თუ ამ ყველაფრის შემდეგ ჩვენ დაგვიძახებენ, შევხედავთ, მაგრამ ჯერ ეს არის გასაკეთებელი...

**— თქვენ რას აპირებთ?**

— ჩვენ ვაპირებთ, ხალხს ავუხსნათ, თუ რა არასწორ პარტიებს დაუჭირეს მხარი და აჰყვნენ იმ კონცერტს, რომელიც გვარამიას სარდლობით დაიდგა.

**— გენერალურმა პროკურატურამ სალომე ზურაბიშვილსა და ოპოზიციას მოუწოდა, მისცენ ჩვენება და წარმოადგინონ არჩევნების გაყალბების მაუწყებელი კონკრეტული ფაქტები. რატომ არ მიდის ოპოზიცია გენერალურ პროკურატურაში?**

— ეს ყველაფერი კონცერტია, ხოლო ამ კონცერტში ყველას თავისი როლი აქვს!

**— კიდევ ერთხელ გეკითხებით — ნაცი-1, ნაცი-2, გახარია და ხაზარაძე შევლენ თუ არა პარლამენტში?**

— ყველა შევა პარლამენტში! გახარია დაიწყებს და მერე ყველანი შელაგდებიან, მაგრამ ჯერ თავპატიჟს დაიდებენ. **საბაზაფხულოდ ამ პარლამენტში ოპოზიცია ერთმანეთს შეასწრებს!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***



**„ჩემი ღრმა რწმენით, „ქართულმა ოცნებამ“ გვარამია ციხიდან იმიტომ გამოუშვა, რომ სააკაშვილისთვის დარტყმა მიეყენებინა!“**



## „კარავი, დოლ-გარმონი, ქუჩაში ხალხის სეირნობა და კონცერტი არის პროტესტის ჩახშობისა და მილევად რეჟიმში გადაყვანის საუკეთესო საშუალება!“






## „ამ მიტინგებს თუ რამ კარგი შედეგი ექნება, მხოლოდ ის, რომ ქართველი ხალხი სცენაზე აიჭრას და ესენი სულ პანდურის რტყმით ჩამოყაროს!“

## კვირგვინოსნები

**მიხეილ ყაველაშვილი**
*უმრავლესობის დეპუტატი*



**ჩვენ ვიქნებით ძალიან მკაცრი** ნებისმიერ არაკანონიერ ქმედებაზე, **არავინ არავის აღარ მოეფერება!** ადამიანებს, რომლებსაც **ზურაბიშვილის** სჯერათ, სამომავლოდ **მის გვერდით დგომის შერცხვებათ.**

„ინტერპრესნიუსი“

**სოზარ სუბარი**
*უმრავლესობის დეპუტატი*



პირობას ვდებთ, **სწრაფად დავაკმაყოფილებთ ოპოზიციის მოთხოვნას და არ დავუშვებთ, რომ პარლამენტში „იმუშაონ“ თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ,** როგორც **„მონებმა“** და **„ტრეფიკინგის მსხვერპლებმა“.**

„ინტერპრესნიუსი“

**თამარ ჩიბურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



იმტვრიეთ ახლა თავი, ვინ ვინ მოატყუეთ — **თქვენ უგზავნეთ ყალბი კვლევები პატრონებს უცხოეთში თუ ისინი გაძლევდნენ გადამეტებულ გარანტიებს?** რაც შეეხება გადატრიალებას, როგორც ერთი კაცი იტყოდა, **ღამით ძილში ფრთხილად გადატრიალდით!**

„იმედინიუსი“

**დიანა იოვანოვიჩი-შოშოაკე**
*რუმინელი ევროპარლამენტარი*



**ქართველმა ხალხმა ხმა მისცა სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას** — არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვება უდავოა. დასავლეთის ძალების მცდელობა, **მოახდინონ გავლენა არჩევნებზე ან გააბათილონ ის, საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევის დასტურია.** ეს მიუღებელი დამოკიდებულებაა, რომელიც უნდა შეწყდეს.

„იმედინიუსი“




# ირაკლი წერეთელი:

# საქართველოში ყველა ვაჟკაცმა ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“, ხოლო ყველა პედე...ტმა შემოხაზა „პედოპოზიცია!“

***„საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის“ თავმჯდომარე და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი წერეთელი 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს აფასებს და ოპოზიციის ფიასკოზე ხალისობს! მისი განცხადებით, ახლა მთავარია, ხელისუფლებამ გამოიჩინოს მოთმინება და ეს სამარცხვინო ხალხი არ დაარბიოს... ამით ხელისუფლება დაამტკიცებს, რომ მარტო არჩევნების ჩატარებაში კი არ არის დემოკრატი, არამედ იტანს ამ სამარცხვინო „პედოპოზიციასაც“, რომელიც გარყვნილების, უღმერთობისა და უსამშობლობის სიმბოლოა:***

— მინდა, ქართველ ხალხს მივულოცო ის დიდი ბედნიერება, რომელიც ჩემს დაბადების დღეს, 26 ოქტომბერს, დაემთხვა! ამ ბედნიერებას ჰქვია **ღვთის წყალობით ქართველი ერის ისტორიული გამარჯვება უღმერთობაზე, უზნეობაზე, სიცრუესა და გათახსირებაზე!** 2024 წლის 26 ოქტომბერს „ქართულ ოცნებასა“ და ბიძინა ივანიშვილს არ გაუმარჯვიათ, ქართველმა ერმა გაიმარჯვა ე.წ. „პედოპოზიციაზე“!

**— ბატონო ირაკლი, მოგვიანებით გილოცავთ დაბადების დღეს! მაგრამ ეს „პედოპოზიცია“ რას ნიშნავს — „პედაგოგიურ ოპოზიციას“?**

— ზუსტად ვიცი, რომ საქართველოში ყველა ვაჟკაცმა ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“, ხოლო ყველა პედე...ტმა **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** შემოხაზა „პედოპოზიცია“! **„პედოპოზიცია“** ნიშნავს პედე...ტის **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** ოპოზიციას! 26 ოქტომბერს ჩემი დაბადების დღე რომ არის და ღმერთს განსაკუთრებულად ვუყვარვარ, იმიტომ გაიმარჯვა საქართველომ, თორემ **ეს არჩევნები მიხეილ სააკაშვილს ან რომელიმე ოპოზიციონერს რომ ჩაეტარებინა, საქართველო დამარცხდებოდა.** ამიტომ მინდა, ეს გამარჯვება მივულოცო ქართველ ერს და, რა თქმა უნდა, **ბიძინა ივანიშვილსა** და „ქართულ ოცნებას“!

ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ უკვე ცხრაჯერ გაიმარჯვეს ამ სატანებზე, რაც სიმბოლურია... სიმბოლურია ისიც, რომ 26 ოქტომბერს 63 წლის გავხდი და 6-ისა და 3-ის ჯამი არის სწორედ 9. მოკლედ, ძალიან კარგ ხასიათზე ვარ და, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ოპოზიციის ფიასკოზე ვხალისობ. ეს სამარცხვინო ოპოზიცია ქართველი ერის წინაშე სრულად გამასხარავებული და გაბანკროტებულია. მიტინგების ჩატარებას საქართველოში ვერავინ მასწავლის და ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ — **ეს ოპოზიცია რაც მეტ მიტინგს ჩაატარებს, მით უფრო გამასხარავდება, ხოლო ხელისუფლება კიდევ უფრო გაძლიერდება!** ახლა მთავარია, ხელისუფლებამ გამოიჩინოს მოთმინება და ეს სამარცხვინო ხალხი არ დაარბიოს... ამით ხელისუფლება დაამტკიცებს, რომ მარტო არჩევნების ჩატარებაში კი არ არის დემოკრატი, არამედ იტანს ამ სამარცხვინო **„პედოპოზიციასაც“**, რომელიც არის **პედე...ტის (ცენზურა ჩვენია. რედ.)**, გარყვნილების, უღმერთობისა და უსამშობლობის სიმბოლო.

**— ერთი სიტყვით, თქვენ მიიჩნევთ, რომ საქართველოში 2024 წლის 26 ოქტომბერს არჩევნები სამართლიანად ჩატარდა და არაფერი გაყალბებულა?**

— 1990 წლის 28 ოქტომბრის შემდეგ, როცა ხელისუფლებაში ჩვენთვის უსაყვარლესი **ზვიად გამსახურდია და „მრგვალი მაგიდა“** მოვიდნენ, საქართველოში ასეთი დემოკრატიული და პატიოსანი არჩევნები არ ჩატარებულა! 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე ბევრად პატიოსანი იყო ეს არჩევნები... მაშინ სააკაშვილი მაინც შეეცადა გაყალბებას და არაერთი პროცენტი მიიწერა, მაგრამ არჩევნები ბოლომდე მაინც ვერ გააყალბა... უკვდავი არავინაა და მათ შორის, მეც... ცხონებული **მერაბი და ზვიადი,** სამწუხაროდ, ჩემზე ადრე წავიდნენ და, ცხადია, მეც წავალ... ახალი თაობა მოდის, მსოფლიოში ყველაფერი იცვლება, მაგრამ იცით, გული რაზე მწყდება? ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ, თუ საქართველოს საქმე ისე წავიდოდა, რომ რუსთაველზე, სადაც ზვიადი, მერაბი, მე და ყველანი ერთად ვიდექით, **პედე...ტებისა (ცენზურა ჩვენია. რედ.)** და **უნამუსოების** ბაქანალია გაიმართებოდა, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი! საერთოდ, ამ ბოლო დროს იმაზე ვფიქრობ, რომ რამდენიმე მოძღვარს დაველაპარაკო, რათა რუსთაველზე, მთავრობის სასახლის წინ მდებარე ტერიტორია განიწმინდოს და საგანგებოდ ეკურთხოს!

**— უკვე აშკარაა, რომ დასავლეთი და ამერიკის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი 26 ოქტომბრის არჩევნების აღიარების სანაცვლოდ საქართველოს ხელისუფლებას ლგბტ პროპაგანდის დაკანონებას, ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაშვებასა და „უცხოური გამჭვირვალობის შესახებ“ დამტკიცებული კანონის გაუქმებაზე გვევაჭრებიან!**

— ამას ჩვენგან ამერიკა და დასავლეთი კი არა, ის გაპედე...ტებული **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** ელიტა ითხოვს, რომელსაც **ენტონი ბლინკენი** წარმოადგენს. ბოლო ჟამია და თუ ქართველებს გადარჩენა გვინდა, სწორედ მაგ „პედე...ტების **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** ნებას არ უნდა დავყვეთ. პირიქით, რასაც ეგენი გვიბრძანებენ, იმის საწინააღმდეგო ნაბიჯები უნდა გადავდგათ! საქართველოს ხელისუფლებამ პედე...ტებისა **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** და აგენტების წინააღმდეგ ძალიან ღირსეული კანონები რომ მიიღო, სწორედ იმიტომ გაგვამარჯვებინა ღმერთმა 26 ოქტომბრის არჩევნებში!

**— არადა, ოპოზიცია აცხადებს, რომ ჩვენ უკვე რუსეთში ვართ!**

— კიდევ ერთხელ გეუბნებით, საქართველოში ოპოზიცია არ არსებობს, ეს არის **„პედოპოზიცია“,** ანუ **პედე...ტების (ცენზურა ჩვენია. რედ.) ოპოზიცია,** რადგან ამ ოპოზიციამ მხარი არ დაუჭირა „ოჯახური სიწმინდის შესახებ“ კანონს. ეს ის „ოპოზიციაა“, რომელმაც დაადასტურა, რომ ამათთვის **ტრ...ის (ცენზურა ჩვენია. რედ.) მიცემა** სამარცხვინო ფაქტი არ არის. ყველა დამეთანხმება, რომ წინასაარჩევნოდ სოციალურ ქსელებში მაქსიმალურად თავს ვიკავებდი და ძალიან კორექტულად ვიქცეოდი, მაგრამ, როცა ეს ჩვენი ოპოზიცია საბოლოოდ გაცხადდა **„პედოპოზიციად“**, ახლა გაჩუმება დანაშაულია.

მთელი უბედურება ის არის, რომ არ ისვენებენ, კაცო... გეტყვით, მაგათ რაც უნდათ!

## მაგათ მიღებული აქვთ დავალება, რომ მოთმინებიდან გამოიყვანონ გამარჯვებული ხელისუფლება და დააღვრევინონ დემონსტრანტების სისხლი.

ამის შემდეგ უნდათ, ყველანი იძულებული გაგვხადონ, რომ მოვითხოვოთ ამ ხელისუფლების გადადგომა... აქედან გამომდინარე, **მოვუწოდებ ამ ხელისუფლებას: მოიქეცით ისე, როგორც იქცევით. იყავით თავშეკავებული, მაგრამ პრინციპული და იმოქმედეთ კანონის მიხედვით!** მადლობა ღმერთს, არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლისა და შემოხაზული ბიულეტე-



## „მამუკა ხაზარაძე „პედოპოზიციაში“ თუ გაერთიანდებოდა, ვერ წარმოვიდგენდი!“

## კვირგვინოსნები

### ვაჭო შაქარიშვილი
*საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი*



**შიზევროპელებმა სტვენა აუტეხეს** ქვეყნის გამორჩეულ მეგობარს **ვიქტორ ორბანს, ტაში დაუკრეს ლიაკა რუზლოვნას,** რუსეთის მოქალაქე **ნაყოფიას** და პეტერბურგის თეატრის დირექტორ **ბურჭულაძეს.**

„აიპრესი“

### ირაკლი ქეიშვილი
*„ქართული ოცნების“ აჭარის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი*



ბათუმში **„ოცნებამ“ მიიღო 45631 ხმა, ოთხივე პარტიას მოვუგეთ დაახლოებით 6000 ხმით,** მეორე ადგილზე მყოფ **ნაცმოძრაობას მოვუგეთ 33700 ხმით** — ამის შემდეგ რომ იტყვი, არჩევნები გაყალბდაო, უნამუსო უნდა იყო ადამიანი.

„აიპრესი“

### ირაკლი მელაშვილი
*ანალიტიკოსი*



**„ამ ხელისუფლების დედაც, მაგრამ ვის მივცე ხმა?“** — ეს იყო კითხვა, რომელიც მესმოდა ყველგან.

„კვირის პალიტრა“

### გიორგი ქობულია
*ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილი მინისტრი*



ვერ ვნახე **ვერცერთი მტკიცებულება** იმისა, რომ არჩევნები გაყალბდა.

„რეზონანსი“

ნების რაოდენობა ერთმანეთს ემთხვევა. ახლა უკვე საქმე პროკურატურაშია და **„პედოპოზიციას“** მოუწევს, დაამტკიცოს ის სიბინძურე, რასაც ასე მიზანმიმართულად და ურცხვად ავრცელებს.

**რომელ გაყალბებაზეა ლაპარაკი, როცა 26 ოქტომბერს თუ სადმე აყალმაყალი და ძალადობა მოხდა, ყველგან ამ „პედოპოზიციის“ მხარდამჭერები და ზონდერები არიან გამოჭერილი?! ადამიანი იდიოტი უნდა იყო, რომ არჩევნებში ამ „პედოპოზიციის“ განადგურების მიზეზები ვერ იპოვო!**

**— 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის გაფარჩაკების მიზეზი მაინც რა იყო?**

— ხელისუფლებამ ჩაატარა ბრწყინვალე საარჩევნო კამპანია და შეხვდა მთელ საქართველოს მაშინ, როცა **„პედოპოზიციამ“** ერთი მიტინგი ჩაატარა და ლიდერებმა იმ მიტინგზე გამოსვლაც კი ვერ გაბედეს! უფრო მეტიც, ისე სამარცხვინოდ მოიქცნენ, რომ „ქართული ოცნების“ ხალხმრავალი მიტინგის ამსახველი ვიდეოკადრები მიაბეს თავიანთი მიტინგის კადრებს. ამის შემდეგ რაზეა ლაპარაკი?

**კეთილი ინებონ და პროკურატურაში წარმოადგინონ დოკუმენტური მტკიცებულებანი არჩევნების გაყალბების შესახებ! არ მჯერა, რომ არჩევნები გაყალბდა.**

რა ე.წ. „ფაქტებიც“ **„პედოპოზიციამ“** აქამდე წარმოადგინა, სუყველა ფეიკია და ხელისუფლებამ ყველა მათი „არგუმენტი“ გააცამტვერა. ასე რომ, კეთილი ინებონ და უტყუარი ფაქტები დადონ! ხელისუფლებამ კი სასწრაფოდ მოიწვიოს პარლამენტის სხდომა და გააგრძელოს ქვეყნის მართვა... რაც შეეხება **„პედოპოზიციას“**, თუ ესენი პარლამენტში არ შევლენ, მაგათთვის მაქვს საუკეთესო რეცეპტი... კერძოდ, ვინც ბარიერი ვერ გადალახა, იმათთვის დანიშნონ გამოკლებული არჩევნები და ყველაფერი რიგზე იქნება!



მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია და ირაკლი წერეთელი მიტინგზე

**„ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ თუ საქართველოს საქმე ისე წავიდოდა, რომ რუსთაველზე, სადაც ზვიადი, მერაბი, მე და ყველანი ერთად ვიდექით, პედე...ტებისა და უნამუსოების ბაქანალია გაიმართებოდა, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი!“**

**— თქვენ ვის მიეცით ხმა?**

— მე არჩევნებში მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ ჩემმა მეუღლემ „ქართულ ოცნებას“ დაუჭირა მხარი. ჩემი მხრივ, ყველას მოვუწოდებდი, რომ „ქართული ოცნებისთვის“ დაეჭირათ მხარი, რადგან, როცა ერთ მხარეს დგას ჩვენი ტრადიციები, მართლმადიდებლობა, ოჯახის სიწმინდე, ხოლო მეორე მხარეს — **პედე...ტები (ცენზურა ჩვენია. რედ.)** და გათახსირებულები, გასაგებია, ვისაც უნდა მიემხრო! სხვათაშორის, **მამუკა ხაზარაძე** თუ **„პედოპოზიციაში“** გაერთიანდებოდა, ვერ წარმოვიდგენდი! მამუკა ჩოხოსანი მეგონა და მაგას როგორ ვიფიქრებდი? კაცისთვის პოლიტიკას ისე ეწყენინებინოს, როგორც **მამუკა ხაზარაძისთვის**, იშვიათად მინახავს. მაგას რომ დავურეკო, შესაძლოა, ნერვები მომიშალოს. რა უნდა დავურეკო, **ამოდენა გაზეთის საშუალებით ვეუბნები, რომ ის, სადაც დღეს გაერთიანებულია, სინამდვილეში არის „პედოპოზიცია“...** არჩევნები რომ გაყალბებულიყო, მამუკა ხაზარაძე მაჯობებდა აქტიურობაში? მაგრამ მსგავსი არაფერი ყოფილა! სხვათაშორის, **მამუკა ხაზარაძემ** და თოთხმეტმა ქართულმა პარტიამ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ მოაწერეს ხელი ე.წ. „გეიმანიფესტს“, რომლის თანახმადაც საქართველოში **პედე...ტის (ცენზურა ჩვენია. რედ.)** ღირსება უნდა დაიცვან. ყველაფერი გასაგებია, მაგრამ **პედე...ტები (ცენზურა ჩვენია. რედ.)** და ღირსება ერთმანეთთან რა კავშირშია?! ვლოცულობ, რომ **დონალდ ტრამპმა** ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვოს... ბოლოს და ბოლოს, ჩინეთი ძლიერდება, რომელიც შორს დგას ყოველგვარი გათახსირებისგან. ასე რომ, თუ დასავლეთი ამ საზიზღარი სენისგან დროზე არ განიწმინდება, ჩვენ ახალ მოკავშირეებს ვიპოვით.

**როცა მე საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე ვლაპარაკობდი, მაშინ დასავლეთის ლიდერები იყვნენ რეიგანი და ტეტჩერი, მაგრამ ახლა ესენი ისე გათახსირდნენ, ქალსა და კაცს ერთმანეთისგან ვეღარ არჩევენ.**

ხომ ხედავთ, **ტრამპს** ორჯერ ესროლეს, სლოვაკეთის პრეზიდენტს ესროლეს, ირაკლი კობახიძეს დაემუქრნენ... აქ უკვე სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, აქ უკან დახევა არ შეიძლება. ცნობისათვის, მონა ყველა საზიზღარია. **რუსის მონაზე არანაკლებად საზიზღარია ევროპისა და ამერიკის მონა!** ამოდენა რუსეთის არ შეგვშინებია და რა ვქნათ, ევროპელი და ამერიკელი **პედე...ტის (ცენზურა ჩვენია. რედ.)** შეგვეშინდეს? გამორიცხულია!

**— ევროპა არჩევნებში გამარჯვებას ჯერჯერობით არ გვილოცავს. რას ელოდებიან?**

— დასავლეთში ვერ წარმოიდგინეს, რომ **ბიძინა ივანიშვილი** და „ქართული ოცნება“ ასეთ გამბედაობას გამოიჩენდნენ, ასეთ წინააღმდეგობას გაუწევდნენ და ამის გამო გაგიჟებულები არიან! ვერაფერს იზამენ, მაგათ **ტრამპი** მოუღებს ბოლოს! სხვათაშორის, ამ დღეებში „ამერიკან კონსერვატორში“ გამოქვეყნდა ძალიან ცნობილი პოლიტოლოგების წერილი, სადაც საქართველოს აქებენ და ადიდებენ. „ეუთო/ოდირს“ არჩევნების არალეგიტიმურობაზე კრინტი არ დაუძრავს და იმავე გათახსირებულმა **ბლინკენმაც** თქვა — საქართველომ დემოკრატია მიიღოო!.. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში არჩევნები შედგა.

**— ოპოზიცია პარლამენტში რომ შევარდეს, რა იქნება?**

— პარლამენტში თუ შევარდებიან და ხელისუფლება ამას დაუშვებს, მაშინ საქართველოს ჰყოლია დემოკრატიული, მაგრამ თხლე ხელისუფლება. თხლე ხელისუფლება კი ჩემთვის ისევე მიუღებელია, როგორც დიქტატურა. რას მიქვია, პარლამენტი აიღონ? ყველა გონს მოეგოს და ბოლომდე ნუ ჩაიხრჩობიან სიცრუის, სიყალბისა და გათახსირების ჭაობში. კეთილი ინებონ და დაამტკიცონ, რასაც ამბობენ!

●

# ლალი ბარძიმაშვილი: იცოდეს საზოგადოებამ, რომ ზურაბ შარაძისა და გია მაისაშვილის მკვლელობების უკან გიგა ბოკერია დგას!





***ინტერვიუს დასასრულს ქვეყანაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შესახებ აზრის გამოთქმა ისურვა ირაკლი წერეთლის მეუღლემ, საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილმა აქტივისტმა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ წევრმა, ქალბატონმა ლალი ბარძიმაშვილმა:***

— მე ამათ ვუწოდებ **„პრაიდოპოზიციას“...** ესენი არიან კომპრომეტირებული ხალხი, მავნებლები, რომლებიც იმართებიან გარედან. მათ შორის მე ვხედავ ე.წ. „მიშას ზვიადისტებს“. სინამდვილეში ესენი არიან მედროვეები, რომლებიც ჩანერგეს ზვიადის ხელისუფლებაშიც. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ იდეალისტი ადამიანი, ნამდვილი ზვიადისტი ამ გაყიდულებთან და ფულის ღორებთან მივიდეს! **დანტე ალიგიერი,** რომელიც ჯოჯოხეთში სოდომური ცოდვის შედეგად ტანჯული სულების მდგომარეობას აღწერს, გვასწავლის, რომ არასრულყოფილ ადამიანს სიკეთისა და ბოროტების გარჩევის უნარი არა აქვს. ესენი არიან აგენტები, ფული აქვთ აღებული დასავლეთისგან და საქართველოში უნდათ ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება. რომელ რუსეთზე ლაპარაკობენ ისინი, რომლებიც ხელისუფლებაში **იგორ ივანოვმა** მოიყვანა და რომლებმაც მთელი საქართველოს სტრატეგიული სიმდიდრეები, კოდორის ხეობა და ქსნის ხეობა რუსეთს გადასცეს? **მე მივიღე არჩევნებში მონაწილეობა და ხმა მივეცი სახელმწიფოებრიობასა და მშვიდობას — შემოთხაზე „ქართული ოცნება!“** მაგათი სულიერი ლიდერი არის **გიგა ბოკერია,** რომელიც **საშა რუსეცკისთან** და სხვა შეიარაღებულ ბანდიტებთან ერთად უნივერსიტეტში იყო ჩაბუდებული და ეროვნულ ხელისუფლებას ტყვიას ესროდა. იცოდეს საზოგადოებამ, რომ **ზურაბ შარაძისა და გია მაისაშვილის** მკვლელობების უკან სწორედ **გიგა ბოკერია** დგას!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**დავით ქიქინაძე**
*„ტრიბუნას“ ლიდერი*



მე ვაფრთხილებდი ყველას, რომ **ძალიან სარისკო იყო არჩევნების ელექტრონული სისტემა.** ეს ხელისუფლება ან ეს ოპოზიცია, როგორ შეიძლება **ზვიადის და მერაბის** პოლიტიკური მემკვიდრეები იყვნენ? **სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.**

„ახალი თაობა“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



ახლა დროის გაწელვა მხოლოდ **ივანიშვილს** აწყობს. **უცხოეთის რეაქციის იმედზე ყოფნა არ არის საკმარისი,** რადგან უცხოეთიც უყურებს ჩვენს მტკიცებულებებს, მაგრამ, პირველ რიგში, ქუჩაში აქტიურობას და, **საბოლოო ჯამში, ყველაფერი უნდა გადაწყდეს საქართველოს ქუჩებში.**

„პირველი არხი“

**ზურაბ ჩხაიძე**
*„ქართველ ჭკვიანების“ დამფუძნებელი*



დაუკვირდით, **2012 წლიდან როგორი თავისუფალია ბიზნესი.** ბიზნესს განვითარება თან ახლავს და, რა თქმა უნდა, **მთავრობა უსმენს ბიზნესს.**

„რეზონანსი“

**ვახუშტი მენაბდე**
*კონსტიტუციონალისტი*



სამართლებრივად, **პრეზიდენტის ფუნქცია არ არის არჩევნების აღიარება ან არაღიარება,** ის ვალდებულია, მოიწვიოს პარლამენტის სხდომა, თუ არ მოიწვევს, **კონსტიტუციას დაარღვევს.**

„აიპრესი“

*როგორც მოსალოდნელი იყო, გლობალური ომის პარტიის მიერ თავისი აგენტურის — კოლექტიური ნაცმოძრაობის კოორდინატორად დანიშნულმა სალომე ზურაბიშვილმა 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები არ აღიარა და სათავეში ჩაუდგა მილიონზე მეტი ადამიანის მიერ არჩეული „ქართული ოცნების“ დელეგიტიმაციის პროცესს, რომლის კულმინაციაც, კოლექტიური დასავლეთის გეგმის თანახმად, ხელისუფლების ანტიკონსტიტუციური გზით დამხობა უნდა იყოს.*

# სკანდალური ფაქტები სალომე ზურაბიშვილის ავტორიტარული კაპრიზების შესახებ



ყველაზე სამარცხვინო ის არის, რომ **კონსტიტუციის მრავალგზის დამრღვევი და იმპიჩმენტს მხოლოდ ნაცმოძრაობის წყალობით გადარჩენილი ე.წ. პრეზიდენტი** საკუთარ თავს „ერთადერთ ლეგიტიმურ ინსტიტუტად“ აცხადებს და ცდილობს, საზოგადოება დაარწმუნოს, საქართველოს ევროპული მომავლის მთავარი გარანტი ვარო!



## ეს ქალი პროევროპელი პრეზიდენტი კი არა, ნამდვილი ხამი და ქაჯია!



## ინაუგურაციის შემდეგ წინანდლის ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „რედისონ ქოლექშენში“ თავისი მეგობრებისა და ნათესავებისათვის გაშლილი სუფრის საფასური — 150 000 ლარი სალომე ზურაბიშვილმა ბიძინა ივანიშვილს გადაახდევინა!

სინამდვილეში, ქართველმა საზოგადოებამ მშვენივრად უწყის, რომ **სალომე ზურაბიშვილი, რომელსაც საპრეზიდენტო ვადა დაახლოებით ორ თვეში ეწურება,** საქართველოს ევროპულ მომავალზე კი არა, პრეზიდენტობის მეორე ვადით განაღდებაზე ზრუნავს, რისთვისაც ერთადერთ გზად ხელისუფლებაში **კოლექტიური ნაცმოძრაობის** მოყვანა ესახება.

საერთოდ, ვინც **სალომე ზურაბიშვილს,** ასე თუ ისე, იცნობს და მასთან პირადი ან საქმიანი შეხება ჰქონია, ყველამ კარგად იცის, რამდენად მძლავრობს მასში კარიერისტობა, ძალაუფლების სიყვარული, პირადი კეთილდღეობისაკენ სწრაფვა და ფუფუნებაში ცხოვრების ჟინი, რისთვისაც მზად არის, ქვეყნის ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესებიც კი თვალის დაუხამხამებლად გაწიროს.

**საქართველოს ხელისუფლების „შიდა სამზარეულოში“ ჩახედული და ქართული პოლიტიკის კულუარებში ზედმიწევნით კარგად გარკვეული პიროვნება,** რომელიც ამ ეტაპზე ინკოგნიტოდ დარჩენას ამჯობინებს, სალომე ზურაბიშვილის შესახებ სკანდალურ ფაქტებს გვაწვდის და აცხადებს, რომ საქართველოს ე.წ. პრეზიდენტი პროდასავლურობასთან სრულიად შეუსაბამო, ავტორიტარი მმართველისათვის დამახასიათებელი ვნებებით არის შეპყრობილი.

— საქართველოს ხელისუფლების ლიდერები, უბრალოდ, გაოგნდნენ და სახტად დარჩნენ იმ მოთხოვნებისა და პრეტენზიების გამო, რომლებიც 2018 წლის ნოემბერში პრეზიდენტად არჩეულმა **სალომე ზურაბიშვილმა** თავის საინაუგურაციო ღონისძიებასა და ათონელის ქუჩაზე მდებარე რეზიდენციის მოწყობასთან დაკავშირებით წამოაყენა! — **გვიყვება „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული კონფიდენციალური წყარო, რომლის სანდოობასა და უტყუარობაზე შეგვიძლია, თავი დავდოთ.**

საპრეზიდენტო ინაუგურაცია, რომელიც 2018 წლის 16 დეკემბერს თელავში, ერეკლე მეფის ისტორიული სასახლის ეზოში გაიმართა, ღონისძიებაზე მიპატიჟებული სტუმრებისათვის ალაფურშეტის ტიპის ვახშამსაც მოიცავდა, მაგრამ **სალომე ზურაბიშვილი** ამით არ დაკმაყოფილდა და მისი ადმინისტრაციის მომავალი უფროსის **ლაშა ჟვანიას** პირით მთავრობას შეუთვალა — **წინანდალში მდებარე ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „რედისონ ქოლექშენში“ ჩემი სამეგობროსა და სანათესაოსთვის ცალკე ნადიმი უნდა გავმართო და 150 000 ლარი გამომიყავითო!**

არადა, **ზურაბიშვილს,** რომელმაც ნაცმოძრაობის კანდიდატ **გრიგოლ ვაშაძესთან** საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური სამარცხვინოდ წააგო და მეორე ტურში მხოლოდ იმის ხარჯზე გაიმარჯვა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ თავისი მომხრეების არნახული მობილიზაცია მოახდინა, წესით, ნადიმისა და ტაშ-ფანდურის განწყობა არ უნდა ჰქონოდა.

გარდა ამისა, **არცთუ დალხენილი ქვეყნის ახალარჩეულ პრეზიდენტს** საკუთარი თავისათვის ნამდვილად არ უნდა მიეცა იმის უფლება, რომ ფეშენებელური სასტუმროს რესტორანში დაქალ-ნათესავებთან ერთად სახელმწიფო ბიუჯეტის, ანუ საქართველოს მოსახლეობის ხარჯზე ეგრიალა.

თანაც, **სალომე ზურაბიშვილსა** და მის პერსონალურ სტუმრებს 150 000 ლარის რა უნდა ესვათ და ეჭამათ?

სწორედ ამიტომ ხელისუფლების შესაბამისმა უწყებებმა **სალომე ზურაბიშვილის** თხოვნა თუ მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს და წინანდლის „რედისონ ქოლექშენში“ ნადიმის გასამართად 150 000 ლარის გამოყოფაზე უარი თქვეს, თუმცა, **„მადამ პლეზიდანი“** დანებებას არ აპირებდა და ჯიუტად ცდილობდა, სახელმწიფო ბიუჯეტისათვის საქეიფო ფული დაეცინცლა. როგორც ჩვენი წყარო გვიყვება, **ზურაბიშვილმა** თავისი წარმომადგენლების მეშვეობით, ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა პირადად **მამუკა ბახტაძესაც** სთხოვა, რომელსაც იმხანად საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ეკავა, შემდეგ კი „ქართული ოცნების“ პარტიულ ლიდერებსაც მიადგა, მაგრამ **საკუთარი დაქალ-ნათესავებისათვის** წინანდლის მამულებში სამეფო პურმარილის გასაშლელად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 150 000 ლარის გამოყოფას მაინც ვერ მიაღწია.

ამის შემდეგ **სალომე ზურაბიშვილმა** თავისი პირადი სტუმრებისათვის ნადიმის გასამართი ფული, არც მეტი, არც ნაკლები, პირადად **ბიძინა ივანიშვილს** სთხოვა, რომელმაც მისი დიდი ძალისხმევით არჩეულ პრეზიდენტს უარი არ ან ვერ უთხრა და **თავისი პირადი თანხა — 150 000 ლარი ჩაურიცხა.**

უფრო მარტივად რომ ვთქვათ, **წინანდლის ხუთვარსკვლავიან სასტუმროში სალომე ზურაბიშვილისა და მისი საახლობლოს 150 000-ლარიანი სუფრა ბიძინა ივა-**

# სალომე ზურაბიშვილი ხელისუფლებისაგან ითხოვდა, ათონელის ქუჩაზე მისი რეზიდენციის გვერდით მდებარე საცხოვრებელი კორპუსიდან ოჯახები გაესახლებინათ!





**სალომე ზურაბიშვილმა 2 მილიონ ლარამდე ღირებულების ანტიკვარული ავეჯი კულტურის, განათლებისა და მეცნიერების საკითხებში მისივე მრჩევლის — კოტე ნაცვლიშვილისაგან შეიძინა!**



## სალომე ზურაბიშვილმა რეზიდენციაში სპეციალურად დაამონტაჟებინა ლიფტი, რათა სამზარეულოდან მის კაბინეტში ატანამდე ჩაი არ გაცივებულიყო!

**ნიშვილმა საკუთარი ჯიბიდან დააფინანსა.**

იმის შემხედვარე, თუ როგორ დაჟინებით ცდილობდა **ზურაბიშვილი,** თავისი ნათესავებისა და მეგობრებისათვის 150 000-ლარიანი სუფრა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე გაეშალა და როგორ არ დაცხრა მანამ, სანამ ეს ფული **ბიძინა ივანიშვილს** პირადი ანგარიშიდან არ გადაახდევინა, „ქართული ოცნების" ლიდერები მიხვდნენ, რომ ამ ქალის პრეზიდენტობა მათაც და ქვეყანასაც დიდ თავის ტკივილს გაუჩენდა.

თუმცა, ეს კიდევ ყველაფერი არ იყო და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს გაოცებისაგან ყბების ჩამოვარდნა ჯერ კიდევ წინ ელოდათ!

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, **როცა საქმე ორბელიანების სასახლეში საპრეზიდენტო რეზიდენციის მოწყობაზე მიდგა, სალომე ზურაბიშვილმა ხელისუფლებას მოსთხოვა, სასახლის გვერდით მდებარე საცხოვრებელი კორპუსიდან მობინადრეები გაესახლებინათ.**

— ვიღაცებს რატომ უნდა ჰქონდეთ საშუალება, თავიანთი ფანჯრებიდან და აივნებიდან ჩემს რეზიდენციაში შემოიხედონ?! — ამბობდა პრეზიდენტი ზურაბიშვილი და ათონელის ქუჩიდან ათობით ოჯახის გასახლებას ითხოვდა, რაზეც ხელისუფლებისაგან, რასაკვირველია, უარი მიიღო.

**როგორც ჩვენი წყარო გვიყვება,** სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი **ანზორ ჩუბინიძე,** რომელიც ორბელიანების სასახლის საპრეზიდენტო რეზიდენციად ტრანსფორმაციისა და უსაფრთხოების სისტემებით აღჭურვის პროცესში უშუალოდ გახლდათ ჩართული, სალომე ზურაბიშვილის მოთხოვნებით გაოგნებული იყო და სიმწირისაგან ლამის თავში ხელებს იშენდა — **ეს ვისთან მაქვს საქმე!**

**ანზორ ჩუბინიძესა** და მთელ ხელისუფლებას გაოგნების კიდევ ერთმა ტალღამ მაშინ გადაუარა, როცა **სალომე ზურაბიშვილმა მოითხოვა, რეზიდენციაში დაემონტაჟებინათ ლიფტი, რომელიც მის კაბინეტსა და სამზარეულოს შორის იმოძრავებდა.**

ჩვენი წყაროს თქმით, პრეზიდენტის რეზიდენციაში სამზარეულო ნულ სართულზე მდებარეობს, **სალომე ზურაბიშვილი** კი მეორე სართულზე ზის და როცა ჰკითხეს, რისთვის სჭირდებოდა სპეციალური ლიფტი, განსაცვიფრებელი პასუხი გასცა:

**— ჩემი დაქალები სტუმრად რომ მოვლენ, ცხელი ჩაით ხომ უნდა გავუმასპინძლდე? სანამ ნული სართულიდან მეორე სართულზე ფეხით ამოიტანენ, ჩაი ცხელი აღარ იქნება, ამიტომ ლიფტი დამიყენეთ, რომ სამზარეულოდან ჩემს კაბინეტამდე ჩაი არ გაცივდეს!**

რეზიდენციის გვერდით მდებარე საცხოვრებელი კორპუსიდან ხალხის გასახლებისაგან განსხვავებით, **„მადამ პლეზიდანმა"** სამზარეულოსა და მის კაბინეტს შორის ლიფტის დამონტაჟებას მიაღწია და ახლა, როცა **სალომე ზურაბიშვილის** კაბინეტში მისი დაქალები საჭორაოდ იკრიბებიან, გაცივებული თუ შეგრილებული ჩაის დალევა აღარ ემუქრებათ.

**რას იტყვით, ხომ შეესაბამება სალომე ზურაბიშვილის კაპრიზები ნამდვილი პროევროპელი პოლიტიკოსის თვისებებს?**

**აბა, რა, თუ ნამდვილი პროდასავლელი პოლიტიკოსი ხარ,** შენი ახლობლებისა და ნათესავებისათვის ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს რესტორანში **150 000-ლარიანი სუფრის** გაშლა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე უნდა მოინდომო!

**თუ ნამდვილი ევროპული ფასეულობების მიმდევარი და დამცველი ხარ,** შენი რეზიდენციის მეზობლად მცხოვრები ხალხის სხვა ქუჩაზე გადასახლება უნდა მოითხოვო, რათა სასახლეში ვიღაც მდაბიო პლებეიმ არ შემოგიჭვრიტინოს და საპრეზიდენტო მყუდროება არ დაგირღვიოს!

**თუ ნამდვილი ევროპელი ლიდერი ხარ,** რეზიდენციაში ერთი დამატებითი ლიფტი მარტო იმისათვის უნდა დაამონტაჟებინო, რომ შენთან საჭორაოდ მოსული დაქალებისათვის მისართმევმა ჩაიმ და ყავამ სართულებს შორის გაცივება ვერ მოასწროს!

**პატივცემულო მკითხველო,** შეიძლება, თქვენ გგონიათ, რომ ასე მხოლოდ ავტორიტარიზმისაკენ მიდრეკილი, ძალაუფლებით გაყოყოჩებული, ხარბი და თავკერძა მმართველები იქცევიან, მაგრამ **სალომე ზურაბიშვილი** ხომ საქართველოს ევროპული მომავლის მთავარი გარანტი გახლავთ? ის ხომ ერთადერთია, ვისაც დღეს ძალუძს, ქართველები გარუსებისაგან გადაარჩინოს და ქართული სახელმწიფო პირიდან გამოგლიჯოს ივანიშვილსა და პუტინს?

ჰოდა, ასეთ პროევროპელ ლიდერს, ყველა სიკეთესთან ერთად, რეზიდენციაში ანტიკვარული ავეჯი და ინტერიერის აქსესუარები, მათ შორის, **რუსეთის საიმპერატორო ქარხანაში დამზადებული მე-19 საუკუნის ჭაღიც უნდა ჰქონდეს,** რომელიც **პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან** 2019 წელს 59 000 დოლარად იქნა შეძენილი.

საერთოდ, **პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან,** რომელიც, კანონმდებლობის თანახმად, გაუთვალისწინებელი და გადაუდებელი საჭიროებებისათვის არის განკუთვნილი, სალომე ზურაბიშვილმა ანტიკვარული ავეჯის შესაძენად **1 999 558 ლარი** დახარჯა.

როგორც ჩვენი წყარო გვიყვება, **სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი ანზორ ჩუბინიძე,** რომლის უწყებრივ კომპეტენციაში სახელმწიფო შესყიდვებიც შედის, ყველანაირად ცდილობდა, **პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან** ანტიკვარული ავეჯის შესაძენად 2 მილიონამდე ლარის გამოყოფისაგან თავი შეეკავებინა, მაგრამ საბოლოოდ მაინც იძულებული გახდა, **გაჯიქებული სალომე ზურაბიშვილის** კაპრიზს დაჰყოლოდა.

ამ ამბავში ყველაზე საინტერესო და სკანდალური ის არის, რომ **პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა** ანტიკვარული ავეჯის დიდი ნაწილი კულტურის, განათლებისა და მეცნიერების საკითხებში მისივე მრჩევლის — **კოტე ნაცვლიშვილისაგან** შეიძინა, რომელიც, ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ანტიკვარული ავეჯით ვაჭრობის ბიზნესშია ჩართული.

თანაც, **პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან** ანტიკვარული ავეჯის შეძენა ყოველგვარი ტენდერის გარეშე, პირდაპირი შესყიდვის წესით მოხდა.

**ვფიქრობთ, ამ საკითხით საგამოძიებო ორგანოები უნდა დაინტერესდნენ და დაადგინონ — იყო თუ არა შესაძლებელი, პრეზიდენტ ზურაბიშვილს ტენდერის გზით უფრო ოპტიმალურ ფასად ეყიდა ანტიკვარული ავეჯი, რომელიც საკუთარი მრჩევლისაგან პირდაპირი შესყიდვის წესით შეიძინა?**

ასევე ვფიქრობთ, რომ **პრეზიდენტ ზურაბიშვილის მიერ საკუთარი მრჩევლისაგან შეძენილ ავეჯს ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდეს იმის დასადგენად, რამდენად აკმაყოფილებს ანტიკვარიატის კრიტერიუმებს და გადახდილი თანხა რამდენად შეესაბამება მის რეალურ საბაზრო ღირებულებას?**

სანამ **სალომე ზურაბიშვილს** საპრეზიდენტო იმუნიტეტი იცავს, მის მიერ **პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან** თანხების შესაძლო არამიზნობრივ ხარჯვაზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, ალბათ, ვერ მოხერხდება, მაგრამ **სულ რაღაც ორიოდე თვეში, როცა იგი პრეზიდენტი აღარ იქნება, პროკურატურას გამოძიების დაწყებაში, წესით, არაფერმა უნდა შეუშალოს ხელი.**

სამაგიეროდ, არავითარი გამოძიება არ სჭირდება იმას, რომ ევროპელობისა და პროდასავლურობის მანტიამოსხმული **სალომე ზურაბიშვილი,** სინამდვილეში, ჩვეულებრივი ხამი და ქაჯია, რომლისთვისაც პრეზიდენტობა ქვეყნის მსახურებასა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობასთან კი არა, პირად კომფორტსა და განცხრომასთან ასოცირდება.

## ის ანტისახელმწიფოებრივი პროვოკაციაც, რომლის მოწყობასაც სალომე ზურაბიშვილი ახლა საქართველოს წინააღმდეგ ლამობს, მხოლოდ მისი პირადი კომფორტისა და განცხრომის კიდევ 6 წლით გახანგრძლივებას ემსახურება!

თუმცა, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში **საქართველოს მილიონზე მეტმა მოქალაქემ** პოლიტიკური განაჩენი არამხოლოდ კოლექტიურ ნაცპარტიებს, არამედ ე.წ. პრეზიდენტ ზურაბიშვილსაც გამოუტანა და მისივე სიტყვებით უთხრა, რომ **ქაჯები კი არ მოდიან, ქაჯები მიდიან!**

**ჯაბა ხუბუა**


მდედრი თემურ ალასანია


მამრი თემურ ალასანია

# საქართველოს მტერზიდენტი

## სალომე ზურაბიშვილი, როგორც მდედრი თემურ ალასანია

***იმას, რასაც სალომე ზურაბიშვილი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში და, განსაკუთრებით, 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ აკეთებს, ერთადერთი სახელი ჰქვია — საქართველოს მტრობა!***

ბოლო დროს ზურაბიშვილს ბევრი რამ უწოდეს... „ქართული ოცნების" ლიდერები მას **ნაცმოძრაობის პრეზიდენტსა** და **უცხო ძალების აგენტს** ეძახიან, მისი დღევანდელი პოლიტიკური პარტნიორი და მეხოტბე **ნიკა გვარამია** კი ცოტა ხნის წინათ საქვეყნოდ ეძახდა **რეზიდენტ ყ...ქალას** *(ცენზურა ჩვენია. რედ.)*, თუმცა, არცერთი უცხო ქვეყნის არცერთ აგენტსა და რეზიდენტს არ ძალუძს, საქართველოს ისეთი ზიანი მიაყენოს, როგორსაც **სალომე ზურაბიშვილი** აყენებს.

ქართული სახელმწიფოს ისე დაზიანება, როგორც ამას **სალომე ზურაბიშვილი** აკეთებს, მხოლოდ საქართველოს მტერს შეუძლია!

შესაბამისად, „ქართული ოცნების" დიდი შეცდომისა და ბედის უკუღმართობის გამოისობით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე მოხვედრილ **სალომე ზურაბიშვილს** საქართველოს **მტერზიდენტი** უნდა ეწოდოს!

**საქართველოს მტერზიდენტი!** — ვფიქრობთ, ეს არის ყველაზე ზედგამოჭრილი თიკუნი სალომე ზურაბიშვილისათვის, რომელიც ცდილობს, 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს 1 120 000 მოქალაქის მიერ გაკეთებული არჩევანი გააუქმოს და დასავლელი ლიდერები დაარწმუნოს, **თითქოს „ქართულმა ოცნებამ" 350 000 ხმა მოიპარა.**

ცხადია, ასეთ აბსურდსა და სისულელეს, რომლის უკანაც არავითარი სამხილი და მტკიცებულება არ დგას, რომელიმე დასავლელი ლიდერი კი არა, დედამიწის ზურგზე მოსიარულე არცერთი ჭკუათამყოფელი არ დაიჯერებს, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ საქართველოს პრეზიდენტის სტატუსის მქონე პოლიტიკოსი თავის უცხოელ კოლეგებს ურეკავს — ჩემს ქვეყანაში არჩევნები გაყალბდაო, უბრალო მავნებლობა, აგენტობა და რეზიდენტობა კი არა, ქართული სახელმწიფოს დაუნდობელი და დაუძინებელი მტრობაა!

ამიტომაც არის სალომე ზურაბიშვილი **საქართველოს მტერზიდენტი!**

დასავლელ პოლიტიკოსებს კოლექტიური ნაცმოძრაობის რომელიმე ლიდერი, მაგალითად, 26 ოქტომბრის არჩევნებში მეორე ადგილზე გასული **ნიკა გვარამია** რომ შესჩიოდეს — მიშველეთ, ხმები გამიყალბესო, მას დიპლომატიურად მიანიშნებენ ან სულაც პირდაპირ მიახლიან — თავი რამეზე ხომ არ მიგირტყამს, პირველ ადგილზე გასულმა „ქართულმა ოცნებამ" თითქმის 900 000 ხმით გაჯობა და რა გაყალბებაზე გველაპარაკებიო?!

**მაგრამ, როცა დასავლელ პოლიტიკოსებს საქართველოში არჩევნების გაყალბებაზე სალომე ზურაბიშვილი, ანუ საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტი ელაპარაკება, ამას სულ სხვა დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს, რასაც ევროპელი ლიდერები, ნებსით თუ უნებლიეთ, ანგარიშს უწევენ.**

აბა, წარმოვიდგინოთ გერმანიის, საფრანგეთის ან თუნდაც პოლონეთის პრეზიდენტის მდგომარეობა, როცა მას საქართველოს პრეზიდენტი საგანგებოდ ურეკავს და ეუბნება — საქართველოში არჩევნები გაყალბდაო! **როგორ უნდა მოიქცეს ასეთ დროს უცხო ქვეყნის ლიდერი? ცხადია, კოლეგის ნათქვამს მეორე ყურიდან ვერ გაუშვებს და იძულებული ხდება, რეაგირება თუნდაც ერთი კრიტიკული განცხადების დონეზე მაინც მოახდინოს, რაც პირდაპირ ქართულ სახელმწიფოს ურტყამს და ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის გაღრმავებას უწყობს ხელს.**

სწორედ ამ მიზანს — ქართული სახელმწიფოს დისკრედიტაციასა და საქართველოში პოლიტიკური დესტაბილიზაციის გამოწვევას ემსახურება **სალომე ზურაბიშვილის პერმანენტული ინტერვიუები** უცხოურ მედიაში და მისი **კონვულსიური სატელეფონო ზარები უცხო ქვეყნების პრეზიდენტებთან, პრემიერებთან და საგარეო საქმეთა მინისტრებთან.**

სწორედ ეს არის საქართველოსა და ქართველი ხალხის მტრობა!

სწორედ ამიტომ არის სალომე ზურაბიშვილი **საქართველოს მტერზიდენტი!**

სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქართული სახელმწიფოს მტრობა და საქართველოში კონსტიტუციური წესრიგის დამხობის პირდაპირი გეგმა გახლავთ **ე.წ. ტექნიკური მთავრობის** ფორმირება, რომელსაც **ზურაბიშვილი** ჯერ კიდევ 26 ოქტომბრის არჩევნებამდე ახმოვანებდა და ახლაც სწორედ იქითკენ ცდილობს საქმის წაყვანას, რომ მილიონზე მეტი ადამიანის მიერ არჩეული ხელისუფლების საპირწონედ პარალელური, ანტიკონსტიტუციური სტრუქტურა შექმნას.

სხვათაშორის, **მტერზიდენტ ზურაბიშვილის** ეს გეგმა საქართველოს კიდევ ერთი მტრის, **მტერზიდენტ სააკაშვილის ბიძის თემურ ალასანიას** იდეის პირდაპირი გამოძახილია!

გავიხსენოთ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების კვალდაკვალ გავრცელებული სატელეფონო საუბრის ფარული აუდიოჩანაწერი, რომელშიც **თემურ ალასანია გუბაზ სანიკიძეს** სახელმწიფო გადატრიალების 5-პუნქტიან გეგმას აცნობს:

> *„**პირველი:** არავითარი ლეგიტიმაცია ამ მთავრობას; **მეორე:** სრული სამოქალაქო დაუმორჩილებლობა; **მესამე:** არავითარი დიალოგი, არავითარი კოოპერაცია, არავითარი თანამშრომლობა; **მეოთხე:** დროებითი მთავრობის შექმნა სასწრაფოდ! უნდა გამოცხადდეს, რომ ეროვნული გადარჩენის მთავრობა იქმნება, პარალელური მთავრობა, რომელიც თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე, მსოფლიოს წინაშე და იღებს ძალაუფლებას თავის ხელში; **მეხუთე:** მიმართვა მსოფლიოს ქვეყნებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ არ გთხოვთ თქვენ მხარდაჭერას, უბრალოდ, გაცნობებთ, რომ საქართველოს სახალხო გადარჩენის კომიტეტმა ხელში აიღო სრული ძალაუფლება".*

აი, სააკაშვილის ბიძის სწორედ ამ 5-პუნქტიანი გეგმით არის ნასაზრდოები სალომე ზურაბიშვილის მიერ შეთითხნილი **ე.წ. ქართული ქარტია და ტექნიკური მთავრობის იდეა,** რომელიც მხოლოდ ქართული სახელმწიფოს მტრის თავში შეიძლებოდა, მოხარშულიყო.

ამიტომაც არის **სალომე ზურაბიშვილი** საქართველოს **მტერ**ზიდენტი და **მდედრობითი სქესის თემურ ალასანია,** რომელიც სააკაშვილს პოლიტიკურ მამიდად ერგება!

და კიდევ, **მტერ**ზიდენტ ზურაბიშვილის მიერ 26 ოქტომბრის საღამოს გაკეთებული განცხადება — საქართველოში რუსული არჩევნები ჩატარდაო, ქართველი ხალხის ისეთივე შეურაცხყოფაა, როგორიც თემურ ალასანიამ სააკაშვილთან სატელეფონო საუბარში იმავე ქართველ ხალხს მიაყენა **(ცენზურა ჩვენია. რედ.):**

> *„ეს არის ავადმყოფი ერი, ამათ **სანამ არ დააჯ...ავ თავ-***

**თუ სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანიამ ქართველებს ავადმყოფი ერი უწოდა და დედა აგინა, მტერზიდენტმა ზურაბიშვილმა მილიონზე მეტი ქართველი რუსად გამოაცხადა!**

## კვირგვინოსნები

**ბიძინა გიორგობიანი**
*საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს" წევრი*



**ზურაბიშვილი** გვევლინება უცხო ძალის წარმომადგენლად, რომლის მიზანია **რევოლუციის გზით არალეგიტიმური ხელისუფლების ფორმირება,** მაგრამ გარედან დაგეგმილ რევოლუციას არავინ დაუშვებს.

„პირველი არხი"

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი*



**ზურაბიშვილის** თამადობით **მიბრძანდნენ და მტკიცებულებები წარადგინონ** — გამომძიებელს ვერ მოუყვებიან სიზმრებს, ვერც აღქმებზე ილაპარაკებენ და ვერც იმას იტყვიან, რომ **ცესკოს შედეგებზე წნევამ აუწიათ.**

„ინტერპრესნიუსი"

**ანჯეი დუდა**
*პოლონეთის პრეზიდენტი*



პრეზიდენტმა **ზურაბიშვილმა** მითხრა, რომ **არჩევნები არა იმდენად გაყალბდა,** რამდენადაც ბევრ დონეზე დამახინჯდა, მას ასევე **მკაფიოდ არ უთქვამს, ჩაერია თუ არა რუსეთი არჩევნებში.**

„პირველი არხი"

**სოსი ბაბიკიანი**
*სომეხი ექსპერტი*



**სალომე ზურაბიშვილს — არ არის საჭირო განტევების ვაცად სომხების გამოყვანა** და ჩვენთან დაკავშირებული არასასურველი ასოციაციების შექმნა. მოვუწოდებდი ქართველ ლიბერალებს, **არ გაავრცელონ ანტისომხური სტერეოტიპები.**

„პირველი არხი"



მიხეილ სააკაშვილი, თემურ ალასანია და სალომე ზურაბიშვილი

# გელა ნიკოლაიშვილი:

# ზურაბიშვილს იმუნიტეტი იცავს, მაგრამ, თუ სისხლის სამართლის დანაშაული დაუდასტურდება, წავა ციხეში!



**ზე და სანამ დედას არ მოუ...ნავ,** *ვერ იგებენ ვერაფერს.* **მაგათი დედა მოვ...ან** *მე, ქართველების, „პროსტა“,* **ქართველების დედა „მოვ...ან!“**

თუ სააკაშვილის ბიძამ — **მამრობითი სქესის თემურ ალასანიამ** ქართველებს ავადმყოფი ერი უწოდა და დედა აგინა, **მდედრობითი სქესის თემურ ალასანიამ** — მტერზიდენტმა ზურაბიშვილმა „ქართული ოცნებისათვის“ ხმის მიმცემი მილიონზე მეტი ქართველი რუსად გამოაცხადა, როცა 26 ოქტომბრის არჩევნებს **„რუსული არჩევნები“** უწოდა!

ესე იგი, **მტერ**ზიდენტ ზურაბიშვილის ლოგიკით, 2024 წლის 26 ოქტომბერს საქართველოში ჩატარებულ „რუსულ არჩევნებში“ „რუსულ ოცნებას“ 1 120 000-მა „რუსმა“ მისცა ხმა!

**თუ ქართველი ხალხი არ გძულს, მას ასეთ რამეს არ და ვერ აკადრებ!**

**თუ საქართველოს მტერი არ ხარ, ასეთ რამეს არ და ვერ იტყვი!**

სალომე ზურაბიშვილი — ეს **მდედრი თემურ ალასანია** — საქართველოსა და ქართველი ხალხის გაცხადებული მტერია!

ის არის საქართველოს **მტერ**ზიდენტი!

## ბოლოთქმა

დასანანია, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ 100 საპარლამენტო მანდატი ვერ მოიპოვა, რაც **მტერ**ზიდენტ ზურაბიშვილისათვის იმპიჩმენტის მოსაწყობად იყო აუცილებელი! თუმცა, კარგი ის არის, რომ **მტერ**ზიდენტ ზურაბიშვილის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ორიოდე თვეღა დარჩა, რის შემდეგაც მას არანაირი რესურსი აღარ ექნება, საქართველოსა და ქართველ ხალხს უმტროს!

**უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ სალომე ზურაბიშვილისაგან მხოლოდ მდედრი თემურ ალასანიაღა დარჩება!**

***ჯაბა ხუბუა***

## სალომე ზურაბიშვილის მიერ შეთითხნილი ე.წ. ქართული ქარტია და ტექნიკური მთავრობის იდეა თემურ ალასანიას 5-პუნქტიანი გეგმის პირდაპირი გამოძახილია!

## ქვირგვინოსნები



**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*

**არ ვაღიარებ** ამ არჩევნებს, **ამის აღიარება** არის **რუსეთის შემოსვლის აღიარება.**

„ახალი თაობა“



**გიორგი ბახუნია**
*საზოგადოება „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

პრეზიდენტის მეთაურობით მიმდინარეობს **გარედან დაკვეთილი რევოლუციისთვის** მზადება!

„იმედინიუსი“

***უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სალომე ზურაბიშვილისა და სხვა ოპოზიციონერი ლიდერების დაბარების ფაქტს ეხმიანება და აცხადებს, რომ, თუ ზურაბიშვილი და მასთან დაკავშირებული ოპოზიციონერები გამოკითხვაზე არ მივლენ, მაშინ პროკურატურას უფლება აქვს, სასამართლოში შუამდგომლობა შეიტანოს და მოითხოვოს განჩინება, რათა სიცრუის გამავრცელებლებმა მოსამართლის თანდასწრებით მისცენ ჩვენება:***

— ოპოზიციამ არათუ არჩევნების მასობრივი და ტოტალური გაყალბების ფაქტები ვერ დადო, არამედ ვერ მოიტანა ვერც პირადობის მოწმობების ჩამორთმევის, ფარულობის დარღვევისა და ფულის დარიგების დამადასტურებელი ვერცერთი ცალკეული შემთხვევაც კი... მარნეულში, 69-ე უბანზე, მოხდა ბიულეტენების ჩაყრა და ყველამ ვიცით, რომ უბნის შედეგები გაბათილებულია, ხოლო ორი კაცი უკვე დაჭერილია.

**— ე.წ. ოპოზიცია გამუდმებით მანიპულირებს ხელისუფლების მიერ ვითომდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ცრუ ისტორიით!**

— ვერც ამას ადასტურებენ! ყველამ ვიცით, რომ სახელმწიფო უწყებებში ბევრია ნაცების მომხრე, მაგრამ ერთი მათგანიც ვერ ნახეს, რომელიც გამოვიდოდა და იტყოდა — ჩემზე ზეწოლას ჰქონდა ადგილიო! ბოლოს და ბოლოს, ვიღაცას გამოიყვანდნენ და ტყუილს ათქმევინებდნენ, მაგრამ იცით, რაშია საქმე? ეს რომ ჩაიდინონ, მაშინ ვიღაცას ხელი უნდა დაადონ, რასაც მოჰყვება სისხლის სამართლის გამოძიება და იციან, რომ აი, აქ გაიჭედებიან. **სალომე ზურაბიშვილი** გამოვიდა, რაღაც სულელური „ვიდეოფაქტები“ აჩვენა და განაცხადა — ერთმა კაცმა ჩვიდმეტჯერ მისცა ხმაო! საბოლოოდ გაირკვა, რომ საქართველოს პრეზიდენტი პროვოკატორობდა და საქმე ეხებოდა გადასატან ყუთში არსებულ ბიულეტენებს, რომლებიც კომისიის წევრებს მანქანაში რიგრიგობით შეჰყავდათ.

**— სალომე ზურაბიშვილი გენერალურ პროკურატურას ჩვენებას რომ არ აძლევს, ეს კანონდარღვევა არ არის?**

— მიუხედავად იმისა, რომ **პრეზიდენტმა ბაიდენმა** და სახელმწიფო მდივანმა **ბლინკენმა** მოუწოდეს, რომ გენერალურ პროკურატურას არჩევნებზე მომხდარი დარღვევების შესახებ მასალები მიაწოდოს, **ზურაბიშვილი** პროკურატურაში მისვლაზე მაინც უარს ამბობს და აცხადებს — პროკურატურამ თვითონ გამოიძიოს, არჩევნები გაყალბდა თუ არაო! **სალომე ზურაბიშვილი** იმდენად უვიცია, ეტყობა, წარმოდგენა არა აქვს, როგორ ხდება გამოძიება და რას ნიშნავს მოწმეთა ჩვენებები. შე დალოცვილო, თუ პრეზიდენტი ხარ, მოწმე ხარ და არჩევნების გაყალბების შესახებ რაღაც ფასეულ ინფორმაციას ფლობ, მაშინ მიდი გენერალურ პროკურატურაში და თქვი, რატომ მისცა იმ ვიღაცამ ხმა ჩვიდმეტჯერ და არა ოცდაჩვიდმეტჯერ, მაგრამ

### ვერ მიდიან პროკურატურაში, რადგან სათქმელი არც არაფერი აქვთ!

ახლა რაც შეეხება იმას, რომ **სალომე ზურაბიშვილი** უარს აცხადებს გენერალურ პროკურატურაში მისვლაზე... კანონის თანახმად, მას ისევე, როგორც ყველა მოქალაქეს, აქვს ამის უფლება, მაგრამ შემდეგ პროკურატურასაც აქვს უფლება, შეიტანოს სასამართლოში შუამდგომლობა და მოითხოვოს სასამართლოსგან განჩინება, რათა სალომე ზურაბიშვილმა მოსამართლის თანდასწრებით მისცეს ჩვენება!

**— ამაზეც შეუძლია უარის თქმა?**

— არა, ამაზე უარის თქმა **სალომე ზურაბიშვილს** უკვე აღარ შეუძლია!

**— თუ მაინც უარი თქვა ჩვენების მიცემაზე, მაშინ რა მოხდება?**

— თუ **სალომე ზურაბიშვილი** ამ შემთხვევაშიც უარს იტყვის ჩვენების მიცემაზე, მაშინ საგამოძიებო ორგანოს უფლება აქვს, პრეზიდენტი პოლიციის ძალით, იძულებით მიიყვანოს სასამართლოში დაკითხვაზე!

**— როგორ ფიქრობთ, პროკურატურა ისარგებლებს განჩინების ძალით და სალომე ზურაბიშვილს იძულებით წაიყვანს დაკითხვაზე?**

— მგონი, სახელმწიფო მაინც თავს შეიკავებს და ამ ნაბიჯს არ გადადგამს, რადგან აქ უკვე პოლიტიკური გადაწყვეტილებაა მისაღები!

**— დავუშვათ, სალომე ზურაბიშვილი იძულების წესით, პოლიციის ძალით წაიყვანეს სასამართლოში ჩვენების მისაცემად და თქვა, რომ არ მისცემს ჩვენებას, ამ შემთხვევაში რა მოხდება?**

### – ჩვენების მიცემაზე უარის თქმა და ცრუ ჩვენების მიცემა, სისხლის სამართლის დანაშაულია და 381-ე მუხლით მკაცრად ისჯება!

დიახ, სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა დასჯადი ქმედებაა.

**— საქართველოს კონსტიტუციით პრეზიდენტს იმუნიტეტი არ იცავს?**

— **სალომე ზურაბიშვილს** იმუნიტეტი იცავს, მაგრამ, თუ სისხლის სამართლის დანაშაული დაუდასტურდება, წავა ციხეში! თუ საკითხს პრინციპულად მივუდგებით, დანაშაულის დადასტურების შემთხვევაში, ვიდრე სასამართლო სასჯელს დააკისრებს, პრეზიდენტი შესაძლოა, არ დააკავონ, მაგრამ ბოლოს მაინც მოუწევთ დაკავება... თან არ დაგვავიწყდეს ის ამბავი, რომ **სალომე ზურაბიშვილს** საპრეზიდენტო ვადა ძალიან მალე გასდის, რის შემდეგაც მისი დაპატიმრება აღარ იქნება პრობლემა. **ძალიან ბევრი პრეზიდენტია, რომელიც სასჯელს იხდის. თუმცა, კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება სალომე ზურაბიშვილთან მიმართებაში ამაზე, ალბათ, არ წავა!**

### „26 ოქტომბრის არჩევნების შედეგების აღიარება გაგრძელდება და ოპოზიციას არავითარი რესურსი არა აქვს!“

**— ოპოზიცია გაიძახის, ახალი არჩევნები საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა ჩაატარონო! მსგავსი პრეცედენტი მსოფლიოში არსებობს?**

— მგონი, ასეთი რამ თავად ოპოზიციასაც ვერ წარმოუდგენია!

**— ფაქტია, რომ ეუთო/ოდირმა 26 ოქტომბრის არჩევნების აღიარების საკითხი საჭილდაო ქვად დაგვიტოვა. თქვენ რას ფიქრობთ, საბოლოოდ მოხდება ამ არჩევნების აღიარება?**

— ხაზგასმით ვაცხადებ, რომ ეს არ არის სამართლებრივი პროცესი, ეს პოლიტიკური პროცესია... ოპოზიცია ტყუის, როცა აცხადებს — არჩევნების შედეგები ცხრა სახელმწიფომ აღიარა და აქედან სამს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს „დამოუკიდებლობა“ აქვს ნაღიარებიო! ვენესუელას, რუსეთსა და ნიკარაგუას, რომლებმაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს „დამოუკიდებლობა“ აღიარეს, საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვთ და ვერც არჩევნების შედეგებს აღიარებენ. რაც შეეხებათ, უნგრეთს, აზერბაიჯანს, სომხეთს, თურქეთს, საუდის არაბეთსა და ჩინეთს, არცერთი ეს სახელმწიფო ხელწამოსაკრავი არ არის... **26 ოქტომბრის არჩევნების შედეგების აღიარება გაგრძელდება და ოპოზიციას არავითარი რესურსი არა აქვს!** ამერიკაში გამარჯვებულ პრეზიდენტს 100 მილიონი კაცი აძლევს ხმას, ხოლო დამარცხებულს — რამდენიმე მილიონით ნაკლები, დავუშვათ 98 მილიონი. **ჩვენი ოპოზიციის ლოგიკით, დამარცხებული კანდიდატის მხარდამჭერი ის 98 მილიონი უნდა გამოვიდეს და ქარვებში დაწვეს?** ეს ხომ სიგიჟე იქნება? ასე ხომ არაფერი გამოვა და ყოველგვარი არჩევნები აზრს დაკარგავს? ახლა რომ დაინახეს, ქართველ ხალხს ამ არჩევნების შედეგების მიმართ არავითარი პროტესტი არა აქვს, გაიძახიან — **ხალხი უნდა გავაბრაზოთო!**

**— გენერალურ პროკურატურაში გიორგი ვაშაძე და დანარჩენი ოპოზიციონერებიც არიან დაბარებული. როგორია თქვენი პროგნოზი?**

— ცხადია, არ მივლენ, რადგან არავითარი ფაქტები არ გააჩნიათ. სავსებით შესაძლებელია, თითოეული ოპოზიციონერი, რომელიც ცრუ ინფორმაციას ავრცელებს, ძალით წაიყვანონ და აიძულონ ჩვენების მიცემა, მაგრამ ეს უკვე, როგორც გითხარით, პოლიტიკური საკითხია და ამის შესახებ პოლიტიკური გადაწყვეტილებაა მისაღები!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***



## „ჯერ შენს ქვეყანას შეხედე და მერე ილაპარაკე „საქართველოში რუსეთის გამარჯვებაზე“, ზელენსკი ხარ თუ ვიღაც დედამო...ული!“



## ზაზა პაპუაშვილი:

# პირდაპირ ასე დაწერეთ – ზელენსკის დედა მოვ...ან!

## (ცენზურა ჩვენია. რედ.)

***2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებსა და მის კვალდაკვალ განვითარებულ მოვლენებზე ქართული თეატრისა და კინოს ბრწყინვალე მსახიობს, საქართველოს პარლამენტის ყოფილ დეპუტატ ზაზა პაპუაშვილს ვესაუბრებით, რომელსაც ინტერვიუს დასაწყისშივე ვთხოვეთ, შეეფასებინა პრეზიდენტად წოდებული სალომე ზურაბიშვილის განცხადება საქართველოში „რუსული არჩევნების“ ჩატარების შესახებ:***

— კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ **სალომე ზურაბიშვილი** აბსოლუტური იდიოტია! როგორ გინდა, გვარამიასა და მისნაირ ჩუხჩნებს რამეში დაეთანხმო, მაგრამ ძნელია, არ აღიარო, რომ **გვარამია მართალი ყოფილა, როცა ზურაბიშვილს იმას ეძახდა, რაც მთელმა საქართველომ იცის!**

**— გვარამია სალომე ზურაბიშვილს „რეზიდენტ ყ...ქალას“ (ცენზურა ჩვენია. რედ.) ეძახდა!**

— ეს არის ძალიან ცუდად გაზრდილი ქალი, დაქირავებული ნასედკა და აბსოლუტური „ტუპიაკი“. **კიდევ კარგი, პრეზიდენტის თანამდებობაზე დიდი დრო აღარ დარჩენია და დაახლოებით ორ თვეში ქვეყანა სამუდამოდ დაისვენებს ამ მავნებლისაგან.**

არ დავმალავ, ძალიან გაბრაზებული და ნერვებმოშლილი ვარ იმის გამო, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ მოიპოვა, არადა, ეს აუცილებელი იყო, რათა ქვეყანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივას მაქსიმალურად მომზადებული შეხვედროდა. ლგბტ პროპაგანდის აკრძალვისა და ოჯახური ღირებულებების დაცვის კონსტიტუციაში ჩადებაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და მმართველ პარტიას საკონსტიტუციო უმრავლესობა რომ გაენაღდებინა, ამით ქვეყანა პოლიტიკურ ჯეკპოტს მოიგებდა.

რაც შეეხება აგვისტოს ომის გამოძიებას, დამნაშავეთა გასამართლებასა და ნაცბანდის აკრძალვას, რასაც „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნოდ დაგვპირდა, საკონსტიტუციო უმრავლესობა სულაც არ სჭირდება!

**— ანუ იმის მიუხედავად, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ მოიპოვა, მისი ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირების შესრულება — ნაცმოძრაობის გასამართლება და აკრძალვა მაინც უნდა მოვთხოვოთ?**

— რასაკვირველია, უნდა მოვთხოვოთ! „ქართული ოცნება“ მეოთხე ვადით რომ დარჩა ხელისუფლებაში, ეს მარტო მისი დამსახურება კი არ არის, ჩვენი — ქართველი ხალხის დამსახურებაა! ქვეყანაში ომი რომ არ არის, ეს მარტო ხელისუფლე-



## „ოპოზიციის ეს უნიკო კინო ოთხი წლის წინათ უკვე ნანახი გვაქვს – პარლამენტშიც შევლენ და თავიანთ დედებსაც ატირებენ!“

## „კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სალომე ზურაბიშვილი აბსოლუტური იდიოტია!“

## კვირგვინოსნები



**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*

**პუტინის** წინააღმდეგ არანაირი სანქცია არ არის, **საქართველოში ბევრი რუსია.**

„რეზონანსი“



**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*

**ვადამდელი არჩევნები თუ დაინიშნება** და კიდევ თუ ვერ გაერთიანდება ოპოზიცია და **კიდევ თუ წააგებენ,** მერე შეუძლიათ, ქუდები დაიხურონ და წავიდნენ სახლებში!

„ახალი თაობა“



**ლაშა ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*

ერთი დეპუტატიც თუ შევა პარლამენტში, **ეს იქნება თანამონაწილეობა იმ დანაშაულის,** რომელიც **ივანიშვილმა** ჩაიდინა.

„ახალი თაობა“



**ლევან მამალაძე**
*„სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის“ ხელმძღვანელი*

მინდა, გითხრათ, რომ **ვერც დასავლეთი და ვერც ვერავინ, აქ გადატრიალებას ვერ მოახდენს.** მოსახლეობის, მინიმუმ, 54 პროცენტი მათ მხარს არ უჭერს.

„საერთო გაზეთი“



**სოსო არჩვაძე**
*ეკონომიკის ექსპერტი*

თუ უცხოეთიდან დახმარების ნაკადის შემოდინება შემცირდება, **ეს ტრაგედიად არ უნდა მივიჩნიოთ.** ჩვენ ორივე ფეხზე საკმაოდ მყარად ვდგავართ.

„საერთო გაზეთი“



**ნიკა გვარამია**
*კოალიცია „ცვლილებებისთვის“ ლიდერი*

არჩევნების შედეგები გაბათილდება, **ჩატარდება ახალი არჩევნები, ვინც გაიმარჯვებს, გაიმარჯვებს.** ეს ვერ იქნება „ქართული ოცნება“, აგერ ნახავთ.

„რეზონანსი“

ბის ძალისხმევის შედეგი როდია, დღეს საქართველოში მშვიდობა მოსახლეობის შეგნებული და მოაზროვნე ნაწილის მხრებზე დგას! ასე რომ, ხელისუფლებამ კეთილი ინებოს და ჩვენი დაკვეთა შეასრულოს!

## ჯერ დალაგდეს ყველაფერი, შეიკრიბოს ახალი პარლამენტი, დამტკიცდეს მთავრობის ახალი შემადგენლობა და მერე მოვითხოვთ ყველაფერს, რაც მოსათხოვია!

**— იმედი გაქვთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი საქართველოს 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს, საბოლოო ჯამში, მაინც აღიარებენ?**

— რატომ არ უნდა აღიარონ, როცა საქართველომ 26 ოქტომბრის არჩევნები იდეალურად ჩაატარა?! შეხედეთ, ამერიკაში საარჩევნო ყუთებს პირდაპირ ქუჩაში წვავენ და ამ დროს ბაიდენის ხელისუფლებას ჩვენს არჩევნებზე ძვირი როგორ უნდა დასცდეს?!

მართლაც ყოჩაღ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **გიორგი კალანდარიშვილს,** რომელმაც უდიდეს ზეწოლას, წნეხს, ბულინგს, ათას სიბინძურეს გაუძლო და იდეალური არჩევნები ჩაატარა. მოხიბლული ვარ ამ ახალგაზრდა კაცის სიმტკიცითა და სიმშვიდით, რომელიც ტელევიზიიდან ტელევიზიაში დაუზარებლად დადის და არგუმენტირებულად აბათილებს ყველა ბინძურ ტყუილს, რომელსაც ეს გამყიდველი ოპოზიცია და არასამთავრობოები გაყალბებასთან დაკავშირებით ავრცელებენ. პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილიც** ბრიფინგს ბრიფინგზე მართავს და ყველა უბადრუკ ბრალდებას კონკრეტული მტკიცებულებით სკრუპულოზურად აბათილებს, რისთვისაც ბარაქალა მას!

საქართველოს მეზობლებმა — **სომხეთმა, აზერბაიჯანმა და თურქეთმა** მეორე დღესვე აღიარეს ჩვენი არჩევნების შედეგები. სტრატეგიული პარტნიორის — **ჩინეთის** ხელისუფლებამ „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის — **უნგრეთის** პრემიერი თავის მთავრობის წევრებთან ერთად არჩევნების მეორე დღესვე თბილისში ჩამოვიდა. **გეკითხებით, ამაზე მეტი აღიარება და ლეგიტიმაცია რაღა უნდა იყოს?**

**— თუმცა, თბილისში ჩამოსულ უნგრეთის პრემიერ-მინისტრს ნაცმომიტინგეებმა სტვენა აუტეხეს და შეურაცხმყოფელი შეძახილებით გაუმასპინძლდნენ!**

— ეს დაქირავებული მონები აბა, რას იზამდნენ?! შეხედეთ, რას გვანან! როცა აწყობთ, **ეუთოსა და ოდირს** ენდობიან, მაგრამ, როცა არ აწყობთ, უნდობლობას უცხადებენ! ამერიკის ელჩს ხან ლანძღავენ და ხან აგინებენ! ევროკავშირის ელჩს — ამ ვიღაც იდიოტ **ჰერჩინსკის** ხან მოიწონებენ და ხან აკენწლიან! **გესმით, როგორ ვიგინდარებს უნდოდათ ხელისუფლების ხელში ჩაგდება? ძალიან მაინტერესებს, ამათთან ლოლიავი როდემდე უნდა გაგრძელდეს და როდის უნდა დამშვიდდეს ქვეყანა?**

**— როგორ ფიქრობთ, ოპოზიცია, რომელიც ახლა ჭინჭყლობს — პარლამენტში არ შევალო, საბოლოო ჯამში, რას იზამს?**

— ოპოზიციის ეს უნიჭო კინო ოთხი წლის წინათ უკვე ნანახი გვაქვს — **პარლამენტშიც შევლენ და თავიანთ დედებსაც ატირებენ!** გამოდის ეს იდიოტი **ანა დოლიძე** და იძახის — ქართველი ხალხი უნდა გავაბრაზოთო! შე უპატრონო, დაამშვიდე და მოეფერე, რატომ აბრაზებ? შეიძლება, პოლიტიკოსი გამოდიოდეს და ადამიანებს ეუბნებოდეს — ნერვები უნდა მოგიშალოთ და წყობიდან გამოგიყვანოთო? ვინ არიან ესენი და რა თესლიდან აღმოცენდნენ?! კიდევ ოთხი წელიწადი ამათ თუ უნდა ვუყუროთ, ქართველ ხალხს ჯანმრთელობა აღარ შერჩება! ამიტომ ხელისუფლებას ვეუბნები — გააკეთე ის, რაც მე, ქართველმა ამომრჩეველმა, დაგიკვეთე და რისთვისაც ხმა მოგეცი, დაამთავრე ეს კინო!

**— უცხოელ პოლიტიკოსთა საჯარო განცხადებებში აშკარად იკითხება ქვეტექსტი, რომ კოლექტიური დასავლეთი საქართველოს ხელისუფლებას ევაჭრება — თუ გინდა არჩევნების შედეგები ვაღიარო და შენი ლეგიტიმაცია ვცნო, უცხოური გავლენის გამჭვირვალობისა და ლგბტ პროპაგანდის ამკრძალავი კანონები გააუქმეო! თქვენი აზრით, „ქართული ოცნება“ ამ პირობას უნდა დათანხმდეს?**

— „ქართულ ოცნებას“ ერთხელ უკვე წააღებინეს უკან უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონი და ამით დიდი პოლიტიკური დარტყმა მიაყენეს! იმედი მაქვს, ხელისუფლებამ ჭკუა ისწავლა და მსგავს შეცდომას აღარ დაუშვებს! თუ მიღებული კანონები უკან გაგაწვევინეს, მაშინ რაღა ჯანდაბად გინდა ეს პარლამენტი?! თუ იმაზე წახვედი, რომ დასავლეთისაგან ლეგიტიმაციის მიღების სანაცვლოდ შენ მიერ მიღებული კანონები გააუქმე, მაშინ ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება კი არა, დასავლეთის ხელდასხმული მარიონეტი გამოდიხარ! რა თავში იხლი ამერიკისა და ევროპის მიერ მონიჭებულ ლეგიტიმაციას, როცა შენი ხალხის თვალში, იმ მილიონზე მეტი ამომრჩევლის თვალში, რომელმაც ხმა მოგცა, ლეგიტიმური აღარ იქნები!

**— დაბოლოს: საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ განაცხადა — სამწუხაროდ, საქართველოში რუსეთმა გაიმარჯვაო! რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— პირდაპირ ასე დაწერეთ — **ზელენსკის დედა მოვ...ან (ცენზურა ჩვენია. რედ.)!** საკუთარი ქვეყანა გაანადგურა, მილიონი უკრაინელი მიწაში ჩააწვინა და საქართველოზე სალაპარაკოდ როგორ იცლის, **ეგ დედა და მამა მო...ნული (ცენზურა ჩვენია. რედ.)!** ჯერ შენს ქვეყანას შეხედე და მერე ილაპარაკე „საქართველოში რუსეთის გამარჯვებაზე“, ზელენსკი ხარ თუ ვიღაც **დედამო...ული (ცენზურა ჩვენია. რედ.)!** გეუბნებით, პირდაპირ ასე დაწერეთ!

ბოლოს ისევ ჩვენების გასაგონად მინდა, ვთქვა — ქართველმა ხალხმა ამდენი ბრძოლის, ამდენი ნერვების წყვეტის, ამდენი ხნის განმავლობაში ხელისუფლების გვერდით ვაჟკაცურად დგომის შედეგი თუ ვერ დავინახეთ და კიდევ ოთხი წელი ვუყურეთ ამ გათახსირებული ნაცნაძირალების პარპაშს, ეს ჩვენს სულში ჩაფურთხება იქნება და ამას არავითარ შემთხვევაში არ გაპატიებთ!

# „შეხედეთ, ამერიკაში საარჩევნო ყუთებს პირდაპირ ქუჩაში წვავენ და ამ დროს ბაიდენის ხელისუფლებას ჩვენს არჩევნებზე ძვირი როგორ უნდა დასცდეს?!“



აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში წინასწარი ხმის მიცემის დაწყებიდან რამდენიმე დღეში პორტლენდსა და ვანკუვერში საფოსტო საარჩევნო ყუთები დაწვეს, რის შედეგადაც ათასობით ბიულეტენი განადგურდა

**„გამოდის ეს იდიოტი ანა დოლიძე და იძახის — ქართველი ხალხი უნდა გავაბრაზოთო! შე უპატრონო, დაამშვიდე და მოეფერე, რატომ აბრაზებ?“**





## „მართლაც ყოჩაღ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილს, რომელმაც უდიდეს ზეწოლას, წნეხს, ბულინგს, ათას სიბინძურეს გაუძლო და იდეალური არჩევნები ჩაატარა!“



*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**გიორგი გახარია**
*„გახარია საქართველოსთვის“ ლიდერი*



ეუთო/ოდირი **ვერასდროს მიკარნახებს,** მე როგორ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მივიღებ.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**კახა ოქრიაშვილი**
*დამოუკიდებელი პარლამენტარი*



დაკომპლექტდეს **დროებითი პარლამენტი დროებითი ტექნიკური მთავრობით,** რომელიც 6 თვის ვადაში მოამზადებს და უზრუნველყოფს **ახალი საპარლამენტო არჩევნების** ჩატარებას.

„ინტერპრესნიუსი“

**თამარ ჩარკვიანი**
*პარტია „კანონი და სამართალის“ ლიდერი, ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**აქციები უნდა იყოს პერმანენტული** და უფრო სერიოზული მიდგომით, ვიდრე ეს 28 ოქტომბერს დავინახე! **მიხეილ სააკაშვილის დროს სამ-სამი თვე იყო კარვები გაშლილი რუსთაველზე!** ახლა რა ხდება, ეს ვერ გავიგე?! რა არის ეს, **სუფთა წერით მოძრაობა სამშობლოს დასაცავად!**

„ახალი თაობა“

**მამუკა ხაზარაძე**
*კოალიცია „ძლიერი საქართველოსთვის“ ლიდერი*



**მანქანამ ნორმალურად დაითვალა,** მაგრამ მნიშვნელოვანია, **რა ჩასძახეს ამ მანქანას.**

„პირველი არხი“

**გრიგოლ გეგელია**
*კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ წევრი*



ჩვენ ვართ **ტოპ ტვინები** და მალე გამოვავლენთ, **როგორ მიიტაცეს თითოეული ქართველის ხმა.**

„რეზონანსი“

# ვიქტორ ორბანს თბილისში მამუკა ხაზარაძის უბორნიის მგოსნებმა და ნიკუშა გვარამიას კუტა-ბიჭებმა დაუსტვინეს!



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე და უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი. თბილისი, 2024 წლის 29 ოქტომბერი

ორბანმა საქართველოს ხელისუფლებას 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მსოფლიოში პირველმა მიულოცა!



პოლიტიკურად გა-ბან-ძებული ბანი პაატა ბურჭულაძე ნაცოპოზიციის მიტინგზე აპროტესტებს არჩევნების შედეგებს. 2024 წლის 28 ოქტომბერი



ნაცმომიტინგეების ობსტრუქცია თბილისში ჩამოსული ვიქტორ ორბანისადმი. 2024 წლის 28 ოქტომბერი

## *2024 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს ისტორიაში გაუგონარი და სამარცხვინო ამბავი მოხდა — სტუმარს დაუსტვინეს!*

შემთხვევა მაშინ მოხდა, როცა თბილისში ვიზიტად მყოფი **უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი** რუსთაველის პროსპექტზე მდებარე სასტუმრო „თბილისი მარიოტიდან“ გამოდიოდა... როგორც კი სტუმრის სამთავრობო კორტეჟი გამოჩნდა, საქართველოს მთავარ გამზირზე შეკრებილმა ნაცსექტანტებმა, რომლებიც საპარლამენტო არჩევნების შედეგებს აპროტესტებდნენ, ორბანს დაუსტვინეს და შეურაცხმყოფელი სიტყვებიც აკადრეს... **ნაცები სწორედ ასე მოექცნენ კაცს, რომელმაც, სხვათაშორის, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ნაწვნევი გამანადგურებელი მარცხის შემდეგ საქართველოდან გაქცეული ცნობილი კრიმინალი, საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი, წყეული ნაცსექტანტი ზურაბ ადეიშვილი უნგრეთში შეიკედლა.**

**ორბანი,** რომელმაც საქართველოს ხელისუფლებას 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მსოფლიოში პირველმა მიულოცა, საქართველოს 28-29 ოქტომბერს ორდღიანი ვიზიტით სტუმრობდა. **უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ის ლიდერია, რომელიც ლგბტ ევროკავშირსა და მის გახრწნილ კომისრებს ქედს არ უხრის და დაჟინებით აცხადებს, რომ მისი ქრისტიანული და ტრადიციების მოყვარული ქვეყანა ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებასა და სოდომისტთა ე.წ. უფლებების პროპაგანდას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს.**

ამის გამო უნგრეთს, რომელიც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანაა, ევროკავშირმა გარკვეული შეზღუდვებიც კი დაუწესა, რაც **ვიქტორ ორბანსა** და მის გუნდს დიდად არ ანაღვლებთ.

ლგბტ გახრწნილების მორევში ჩაყურყუმელავებული ევროკავშირის მესვეურების წინაშე უნგრელთა პრინციპულობა და ბრძოლისუნარიანობა შემთხვევითი არ გახლავთ. საქმე ისაა, **უნგრელები თავს იმ ჰუნი მომთაბარეების შთამომავლებად მიიჩნევენ, რომლებმაც ლეგენდარული ატილას ხელმძღვანელობით მთელი ევროპა მოითარეშეს და როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ რომის იმპერია მოხარკედ გაიხადეს.** მაგალითად, ბიზანტიის იმპერატორი **თეოდოსიუს მეორე** იძულებული იყო, **ატილასთვის** ყოველწლიურად 230 კილოგრამი ოქრო ეძლია, რათა ამ ძლევამოსილ და შეუბრალებელ ძალას, რომელმაც მთელი ევროპა დააჩოქა, იმპერიის აყვავებული ქალაქები არ გაენადგურებინა.

სასაცილოა, მაგრამ ფაქტია, რომ **ასეთი მეომარი ხალხის შთამომავალ უნგრელებს უსიცოცხლო და უმწეო ევროკომისრები აბუჩად იგდებენ და ტოლად და სწორად არ მიიჩნევენ. არადა, ეს ის ევროკომისრები არიან, რომლებმაც დიდი ხანია, თავიანთი უბიწოება ლგბტ სოდომისტებს ჩააბარეს!**

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ როგორც კი ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, უნგრეთის პრემიერ-მინისტრი თბილისს ვიზიტად ეწვია, ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში **ჟოზეფ ბორელმა** ესპანეთის საზოგადოებრივ რადიოსთან ინტერვიუში ასეთი რამ განაცხადა — **„რაც არ უნდა თქვას ბატონმა ორბანმა საქართველოში ვიზიტისას, ის არ წარმოადგენს ევროკავშირს. კავშირის როტაციის წესით არჩეულ პრეზიდენტს საგარეო პოლიტიკაში უფლებამოსილება არ გააჩნია!“**

მოკლედ, იმდენად დიდია **ევრო-ამერიკელი ლგბტ აქტივისტებისა და გეი-პოპულისტების** სურვილი, საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია არიონ და ქვეყნის სათავეში თავიანთი გარყვნილი აგენტურა მოათრიონ, ევროკავშირის ხელმძღვანელებმა სინდისნამუსზე საბოლოოდ აიღეს ხელი და თავიანთი თავმჯდომარე ქვეყნის პრემიერ-მინისტრზე გაიძახიან — **ორბანი** ევროკავშირს არ წარმოადგენსო!

საინტერესოა, აბა, ვის და რას წარმოადგენს **ორბანი** — **გიგული ალასანიას „ბოიფრენდს“ თუ ხატია დეკანოიძის ხელისმომკიდეს?**

**ვიქტორ ორბანი ის კაცია, რომელმაც უსინდისო ევროპელებს ერთი ამბავი დააწია, რათა საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი, ბოლოს და ბოლოს, გამოემეტებინათ!** გარდა ამისა, ეს კაცი ძალიან მეგობრობს **დონალდ ტრამპთან** და ნორმალური, წმინდა წყლის დიპლომატიური ურთიერთობა აქვს **ვლადიმერ პუტინთან.** აქედან გამომდინარე,

**ხვალ და ზეგ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ქვეყანას შესაფერისი ისტორიული საათი რომ დაუდგეს, როგორ ფიქრობთ, ვინ უნდა იყოს ჩვენი კეთილი შუამავალი, გნებავთ, პუტინისა და, გნებავთ, ტრამპის კარზე? ცხადია, დიდი ალბათობით. ასეთი კაცი სწორედ ვიქტორ ორბანი იქნება,**

რომელმაც საქმით არაერთხელ დაამტკიცა, რომ ქართველების დიდი გულშემატკივარი და მეგობარია. თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ, როცა **ორბანი** საქართველოს წინსვლას ლობირებს და 2024 წლის 26 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების სამართლიანობას უყოყმანოდ აღიარებს, ამით თავისი ქვეყნის ინტერესებსაც იცავს, რომელსაც სოდომისტებისა და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ დამონებული თუ დაშანტაჟებული ევროკომისრები აგერ უკვე რა ხანია, უჩხიკინებენ!

აი, სწორედ ასეთ სტუმარს დაუსტვინეს თბილისში და დაუსტვინა ვინ — ლგბტ აქტივისტებმა, **მამუკა ხაზარაძის უბორნიის მგოსნებმა და ზურაბ-გირჩი შარვალჩახდილისა თუ ნიკუშა გვარამიას კუტა-ბიჭებმა!**

ამ ყველაფერმა შეუძლებელია, არ გაგვახსენოს ცნობილი განცხადება — **„კახა თარგამაძის დაბრუნებული აფხაზეთი არ გვინდა!“**

ეს სიტყვები ეკუთვნის ცნობილ მოღალატესა და სერიულ მკვლელს **გიორგი ბარამიძეს,** რომელმაც სვანეთში **აფრასიძეების ოჯახი** დაბომბა, ხოლო ხელფეხშეკრული **ომეხ აფრასიძე** დახვრიტა! **ბარამიძემ** ეს სიტყვები მაშინ გააჟღერა, როცა 2000-2001 წლებში საქართველოს რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთზე კონტროლის აღდგენის მცირედი შანსი გაუჩნდა. მაშინ მოსკოვთან მოლაპარაკებებს შინაგან საქმეთა მინისტრი **კახა თარგამაძე** უძღვებოდა. **იმის შიშით, რომ შევარდნაძეს სწორედ კახა თარგამაძისთვის არ გადაელოცა ხელისუფლება, ჟვანია-სააკაშვილის აგენტურულმა დაჯგუფებამ პირდაპირ დაიწყო ქვეყნის მტრობა და სახელმწიფოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობა!**

აი, სწორედ ამ პროცესების გამოძახილი იყო ზემოხსენებული განცხადება!

ამავე პროცესებთან გვაქვს საქმე დღესაც და საქართველოს უბედურება ის არის, რომ მაშინდელი აგენტები ახლაც ცოცხლები არიან და ქვეყანას კიდევ უფრო გამძვინვარებული ებრძვიან!

მოკლედ, ასეა — **მოღალატეები და მტრები საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ხან აფხაზეთში სცემენ და ხან რუსთაველის პროსპექტზე უსტვენენ!**

უნგრელი ორბანი საქართველოს მეგობარია, მაგრამ საქართველოს მტრობს ყველა ის ბანი და მომბანი, რომელთა სამარცხვინო ცხოვრებაც სააკაშვილის **უკანალის მოწმენდა-მოპრიალებაში** გადის!

*დიტო ჩუბინიძე*

**უნგრელი ორბანი საქართველოს მეგობარია, მაგრამ საქართველოს მტრობს ყველა ის ბანი და მომბანი, რომელთა სამარცხვინო ცხოვრებაც სააკაშვილის უკანალის მოწმენდა-მოპრიალებაში გადის!**

# ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡᲘᲛᲣᲡᲘ

№53 (289) ★ 2024 ᲬᲚᲘᲡ 4 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ ★ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 2003 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ


***26 ოქტომბრის არჩევნებზე ქართველმა საზოგადოებამ ხმა მისცა მშვიდობას და ეროვნული ცნობიერების განმტკიცებას, გლობალისტური დასავლეთი კი ამ არჩევანის გამო ქართველ ხალხს დასჯას უპირებს! — აცხადებს პარტია „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ საერთაშორისო მდივანი***

## *ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲤᲘᲤᲘᲐ:*

# ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ ᲣᲕᲘᲖᲝᲓ ᲓᲐ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲕᲚᲘᲡ ᲛᲧᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲡ 1945 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ !

— ევროკავშირი ვიზალიბერალიზაციის შეწყვეტით იმუქრება და საქართველოში ჩატარებული არჩევნების ლეგიტიმურობის აღიარებას აჭიანურებს. ამ ფონზე, რუსეთმა აღადგინა საქართველოსთან პირდაპირი ავიარეისები, გააუქმა სავიზო რეჟიმი და ამჟამად საქართველოს თითოეულ მოქალაქეს შეუძლია, რუსეთში ქართული პასპორტით ნებისმიერი ვადით ჩამოვიდეს და სამუშაოდ მოეწყოს. რუსეთს ასეთი ურთიერთობა მხოლოდ ბელარუსთან, სომხეთთან და ყირგიზეთთან გააჩნია, არადა, საქართველოსგან განსხვავებით, ეს ქვეყნები კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (ОДКБ) და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (СНГ) წევრები არიან.

რუსეთი ყოველმხრივ ცდილობს, რომ საქართველოს, რომელთანაც დიპლომატიური ურთიერთობაც კი არა აქვს, კეთილი ჟესტი აჩვენოს, იმ ფონზე, როცა ევროკავშირი პირდაპირ მტრული დამოკიდებულების დემონსტრაციას ახდენს, და თავს გვახვევს ლგბტ ცხოვრების უზნეო წესს. ასეთი მითითებების შესრულების შემთხვევაში ღირსების შენარჩუნება სრულიად გამორიცხულია! მაგრამ ასევე შეუძლებელია ქართველების მოტყუება, რომლებსაც ევროპაში უვიზოდ და ღირსებით შესვლის მყარი გამოცდილება გააჩნიათ, როგორც ეს 1945 წლის მაისში მოხდა. მაშინ ფაშიზმზე გამარჯვების დროშა ევროპის ცენტრში სწორედ ქართველმა **ᲛᲔᲚᲘᲢᲝᲜ ᲥᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐᲛ** აღმართა!

**— ოპოზიცია აცხადებს, რომ სამოქმედო გეგმას ორშაბათს გაამხელს. ეყოფათ კი რესურსი რევოლუციური სცენარის განსახორციელებლად?**

— ეს არ არის ოპოზიცია, ისინი იარაღით უკანონოდ მოვაჭრე, „გლობალური ომის პარტიის“ მიერ დაფინანსებული რეზიდენტები არიან. **ᲛᲐᲗ ᲖᲣᲠᲒᲡ ᲣᲛᲐᲒᲠᲔᲑᲔᲜ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ ᲒᲐᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲡᲢᲣᲚ-ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲛᲝᲠᲑᲔᲓᲔᲑᲡ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲒᲔᲛᲐ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘ ᲛᲐᲠᲪᲮᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ!** რეზიდენტები ჯერჯერობით კვლავ საშიშები და ყველაფერზე წამსვლელები არიან. ამ ეტაპზე უკვე დარწმუნდნენ, რომ ხალხის რესურსი არ გააჩნიათ, ამიტომ მათგან განსაკუთრებით მზაკვრული სხვა პროვოკაციებია მოსალოდნელი. მინიმალური სახელმწიფოებრივი ან ეროვნულ-პატრიოტული თვითშეგნება რომ გააჩნდეთ, პირად პოლიტიკურ ამბიციებს გადადებდნენ და სამოქალაქო დაპირისპირების არიდების მიზნით, პარლამენტში შესვლასაც დათანხმდებოდნენ, მაგრამ მათ სძულთ საქართველო, მართლმადიდებელი სარწმუნოება და ქართული ტრადიციები! მწყრალად არიან იმ ზნეობრივ ღირებულებებთან, რაც ქართველმა საზოგადოებამ მრავალათასწლოვანი არსებობის განმავლობაში ჩამოაყალიბა. ქართველმა ხალხმა ბევრი დათმო ტოლერანტობის ფარგლებში, მაგრამ ამჯერად დასათმობი და უკან დასახევი არაფერი დარჩა — **ᲩᲕᲔᲜ ᲣᲙᲐᲜ ᲡᲐᲚᲝᲪᲐᲕᲔᲑᲘ, ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲘᲐ,** რის გარყვნასაც დასავლური ფაშისტურ-ლიბერასტული ძალები გულმოდგინედ ცდილობენ.

**— რა კომენტარს გაუკეთებთ დასავლეთის მედიაში გაჟღერებულ ვერსიას, რომ 26 ოქტომბრის არჩევნები საქართველოში რუსეთმა გააყალბა?**

— რახანია, საქართველოს საშინაო საქმეებში რუსეთის ჩარევის არცერთი ობიექტური ფაქტი არ არსებობს. სინამდვილეში, პირიქითაა — სწორედ დასავლეთი ერევა საქართველოს საშინაო საქმეებში, ხოლო ელჩები და დიპლომატები თავიანთი სუბიექტური განცხადებებით აშკარა ზეწოლას ახდენენ ხელისუფლებაზე, თბილისში მოვლენილი ევროდეპუტატები პირდაპირ ოპოზიციის მიტინგებსა და დემონსტრაციებში მონაწილეობენ და მუქარანარევი სიტყვითაც კი გამოდიან. **ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲐᲗᲮᲝᲕᲘᲚᲘ ᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲖᲜᲔᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲡᲐᲑᲐᲛᲝ ᲩᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ.** მე დაზუსტებით ვიცი, რაზე დაყრდნობით შეეცდება დასავლეთი მითის აგორებას, თითქოს 26 ოქტომბრის ქართული არჩევნები რუსეთმა გააყალბა და ამას ექსკლუზიურად, „ასავალ-დასავალის“ მკითხველს გავუმხელ:

2021 წელს შეერთებულმა შტატებმა პერსონალური სანქციები დააწესა რუსი ჟურნალისტის **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲐᲚᲙᲔᲕᲘᲩᲘᲡ** წინააღმდეგ **„ᲐᲨᲨ-ᲘᲡ 2020 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢ ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲮᲓᲔᲜᲘᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲘᲡ“** გამო. მალკევიჩის წინააღმდეგ პერსონალური სანქციები კანადას და ევროკავშირსაც აქვს დაწესებული. თავისთავად ვერსია, რომ რუსმა ჟურნალისტმა ამერიკაში არჩევნებზე გავლენა მოახდინა, უკვე აბსურდია! როგორც სჩვევიათ, დასავლურმა პროპაგანდამ მას შავი პიარი მოარგო, მაგრამ მსგავს მონაჩმახს დასავლეთი საქართველოსთან მიმართებაშიც გაიმეორებს.

**— რის საფუძველზე?**

— რადგან **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲐᲚᲙᲔᲕᲘᲩᲘ** საარჩევნო საკითხების გასაშუქებლად ჟურნალისტის რანგში საქართველოში იმყოფებოდა და რამდენიმე სიუჟეტი გადაიღო. მე საკმაოდ ახლოს ვიცნობ მას, შეხვედრილი ვარ თბილისში და არაერთხელ მის გადაცემაშიც მიმიღია მონაწილეობა. **ᲕᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲐᲚᲙᲔᲕᲘᲩᲗᲐᲜ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲡ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲧᲐᲚᲑᲔᲑᲘᲡ“ ᲪᲠᲣ ᲡᲥᲔᲛᲐᲡ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲨᲔᲗᲘᲗᲮᲜᲘᲡ.** მათი პროპაგანდით ტვინგამორეცხილი საზოგადოებისთვის კი ამ ვერსიის ასატაცებლად სრულიად საკმარისი იქნება ჩემი და მალკევიჩის საერთო კადრში ხილვა! სინამდვილეში **ᲛᲐᲚᲙᲔᲕᲘᲩᲡ** არც ამერიკაში და არც საქართველოში საარჩევნო პროცესთან არანაირი შეხება არ ჰქონია. დიახ, არჩევნებში გასამარჯვებლად „ქართულ ოცნებას“ არც **ᲛᲐᲚᲙᲔᲕᲘᲩᲘ** სჭირდება და არც — **ᲤᲘᲤᲘᲐ,** განსხვავებით ოპოზიციისგან, რომელსაც თბილისში მიტინგზე ურცხვად გამოჰყავს **ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ 4 ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘ!** ხაზგასმით ვამბობ — უშუალოდ არჩევნების წინა საღამომდე ისინი ოპოზიციას აქეზებდნენ და უხეშად ერეოდნენ საარჩევნო პროცესში!

**— თქვენ თავად როგორ თვლით — არჩევნები ობიექტურად ჩატარდა?**

— ქართველ ხალხს არც ევროპელი და არც რუსი პოლიტიკოსებისგან არაფერი ესწავლება. 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგები არის ობიექტური და გამომდინარეობს იქიდან, რომ **ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲛᲘᲮᲕᲓᲐ, ᲠᲐᲡ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲡᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲓᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ ᲒᲐᲔᲛᲘᲯᲜᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ 30-ᲬᲚᲝᲕᲐᲜ ᲛᲖᲐᲙᲕᲠᲣᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ!**

დასავლეთმა თავად აგვიხილა თვალი და საკუთარი მოქმედებებით დაგვარწმუნა, რომ საქართველოს ტერიტორია მათ მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ — სამხედრო ბაზის რანგში, ხოლო ქართველი ხალხი კი საზარბაზნე ხორცად სჭირდებათ! ამ ყველაფერზე ქართველი ხალხის მოჭრილი პასუხი სწორედ 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგებით გამოვლინდა!

**— და მაინც, რაში სჭირდება რუსეთს საქართველო და ქართველი ხალხი?**

— საქართველოს მიმართ რუსეთის ერთადერთი ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ სამხრეთიდან მის სახელმწიფოს საფრთხე არ ემუქრებოდეს! თავად საქართველო რუსეთს საფრთხეს ვერ შეუქმნის, მაგრამ საქართველოს და რუსეთს შორის 860-კილომეტრიანი საერთო საზღვარი მრავალეთნიკურ ჩრდილოეთ კავკასიაზე გადის და ბოლო 30 წლის განმავლობაში გლობალისტები აქტიურად იყენებდნენ რუსეთისათვის სამხრეთიდან დისკომფორტისა და დესტაბილიზაციის შესაქმნელად. **ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲜᲔᲘᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲓᲐᲔᲙᲐᲕᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲘ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲘᲡ — ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ, ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲘᲗ.**

უფრო მეტიც, საქართველოსთვის იდეალური ვარიანტი მდგომარეობს რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულების გაფორმებაში, რის შემდეგაც აღარავის გაუჩნდება ქართველების ცთუნების ან რაიმე ავანტიურაში ჩათრევის სურვილი! სწორედ ამის შემდეგ დაიწყება საქართველოს ეკონომიკური აღმავლობა. ჩვენ აგურ-აგურ უნდა დავშალოთ კედელი, რომელიც დასავლეთმა ქართველებსა და რუსებს შორის ბოლო 30 წლის მანძილზე ააგო.

**— 26 ოქტომბრის არჩევნების ლეგიტიმურობა დასავლეთს ჯერ არ უღიარებია. რა მიზნით აჭიანურებენ?**

— არჩევნების ლეგიტიმაციას მარტო დასავლეთი არ უნდა განსაზღვრავდეს. თავის დროზე ჩვენ თავად დავისვით თავზე, როცა ქედი მოვუდრიკეთ, განუსაზღვრელი უფლებები მივანიჭეთ და საკუთარი ბედის განმსაზღვრელ მენტორებად მოვნათლეთ. **ᲐᲠ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ? ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲡ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ!** უფრო მეტიც, საქართველომ სასწრაფოდ უნდა გამოთქვას, უპირველესად, „3+3“ ფორმატში, შემდეგ კი **ᲑᲠᲘᲥᲡᲨᲘ** გაწევრების სურვილი, რომელიც დასავლეთის გლობალისტური მიზნების საპირწონედ ყალიბდება. **ᲘᲥ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲧᲝᲗ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡ ᲡᲪᲔᲛᲔᲜ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲙᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲕᲘᲒᲔᲒᲛᲐᲕᲔᲜ!**

**— ბრიქსში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე უნდა შევიდეთ?**

— „3+3“ ფორმატში რუსები „დამოუკიდებელ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს“ კი არა, საქართველოს უხმობენ, რაც, ფაქტობრივად, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღიარების დასაწყისია. **ᲛᲔᲠᲬᲛᲣᲜᲔᲗ, ᲐᲠᲪ ᲑᲠᲘᲥᲡᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲓᲐᲜᲐᲬᲔᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲝᲡᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ.** მით უფრო, წარმოუდგენელია, ბრიქსმა თავის შემადგენლობაში „დამოუკიდებელი აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი“ შეიყვანოს. ყველაფერი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებისკენ მიდის, მთავარია, დასავლეთის ლიბერასტულ-ფაშისტური ძალების წაქეზებით შიდა დესტაბილიზაცია და რუსეთთან ომში ჩაბმა ავირიდოთ!

**— გლობალისტებმა „რევოლუციონერებს“ სათავეში სალომე ზურაბიშვილი ჩაუყენეს. რამდენად გაუმართლებს დასავლეთს ასეთი ფსონი?**

— ხალხს კრუასანებზე გაზრდილი უცხოეთის აგენტი **ᲛᲐᲓᲐᲛ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ** არც მთავარსარდლად და არც ლეგიტიმურ პრეზიდენტად არ მიაჩნია. ამასთან, **ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ** ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, რათა მის რომელიმე მოწოდებას სისხლისღვრა არ მოჰყვეს. თუ ასე მოხდება, იგი უკეთეს შემთხვევაში სიცოცხლეს სამუდამო პატიმრობაში დაასრულებს, უარეს ვარიანტად კი მსოფლიოს ისტორიაში ცნობილი ავტორიტარი მმართველების ბედი რჩება. **ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲡ, ᲕᲣᲠᲩᲔᲕ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲣᲬᲝᲓᲔᲑ, ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲗ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ“ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲪᲘᲓᲐ ᲤᲔᲮᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲓᲒᲐᲛᲘᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲝᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲒᲠᲩᲐᲗ!** სხვა შემთხვევაში, იმგვარად დაასრულებთ საქართველოში მოღვაწეობას, როგორც ავღანეთში, საიდანაც თქვენმა აგენტებმა აფრენილი თვითმფრინავის შასზე ჩამოკიდებულებმა გამოაღწიეს!

*ესაუბრა*
***ᲖᲐᲖᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ***



ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲚᲘᲢᲝᲜ ᲥᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐᲛ ᲠᲣᲡ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲔᲒᲝᲠᲝᲕᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲠᲐᲘᲮᲡᲢᲐᲒᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲐ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲐ!

## ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ ★

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2024 წლის №43-52*



მიხეილ კვესელავა

# ას ერგასის

## უსიტყვო მეტყველება...

გერინგი ასე განსაზღვრავდა გერმანიის ეკონომიურ პოლიტიკას აღმოსავლეთში: „ჩვენი მთავარი მიზანია, მივიღოთ გერმანიისათვის რაც შეიძლება მეტი სურსათი და ნავთი!“ ან უფრო პირდაპირ: „ჩვენ უნდა ვძარცვოთ და ვძარცვოთ რაც შეიძლება ეფექტურად“. რაიხსმარშალი არც ასეთ თქმებს თაკილობდა:

— ისე უნდა ვიყოთ, როგორც დაგეშილი ძაღლები...

ნიურნბერგში წინასწარი დაკითხვების დროს გერინგს ვკითხეთ:

— რამ გაიძულათ, ამგვარი სიტყვები გეთქვათ და ისიც ასე საჯაროდ?

გერინგს სრულიადაც არ უგრძნია უხერხულობა ასეთი კითხვის გამო, პირიქით, რაღაც უდარდელი გამომეტყველება მიიღო და თქვა:

— თქვენ მართალი ბრძანდებით: ჩემს გამოთქმებს, საერთოდ, აკლია სალონური სინატიფე.

საქმე, რა თქმა უნდა, გამოთქმების „სინატიფეს“ კი არ ეხებოდა, არამედ ამ დირექტივების ამორალურ ცინიკურობას.

ეს, როგორც ჩანს, ძნელი შესათვისებელი „სიბრძნე“ იყო გერინგისათვის. იგი საერთოდ ვერ იტანდა ისეთ ცნებებს, როგორიცაა: მორალი, ზნეობა, სინდისი, პატიოსნება. არც ესმოდა მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა, მითუმეტეს — შეგონებისა:

— პატიოსნება უსიტყვოდაც მეტყველებს!..

ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არც არავინ დებდა ამაზე თავს.

ერთხელ ნიურნბერგის ციხის სასადილოში სხვა ბრალდებულებთან საუბრის დროს პაპენმა რამდენჯერმე ახსენა სიტყვა „პატიოსნება“. ეს არ მოეწონა გერინგს და გულმოსულმა იყვირა:

— რა ჯანდაბას ნიშნავს ეს „პატიოსნება“? ან „პატიოსანი სიტყვა?!“ ამაზე შეგიძლიათ ილაპარაკოთ, თუ რამე საქონელზე ურიგდებით ვინმეს. მაგრამ, როცა ერის ინტერესებზეა ლაპარაკი, ვის რა ოხრობად უნდა ეგ თქვენი პატიოსნება?!

ადრე ხომ სინდისზეც ასე ამბობდა: „მე არა მაქვს სინდისი, ჩემი სინდისი ადოლფ ჰიტლერიაო“. ჰიტლერმა კი, მოგეხსენებათ, ამ „ქიმერისაგან“ მთელი კაცობრიობის გათავისუფლება მოინდომა. მერე მანაც „გულუბრყვილოდ“ წარმოთქვა:

— მე არ მესმის: გერმანელი, რომელიც ერთ ნატეხ პურს ჭამს, რატომ უნდა იტანჯებოდეს სინდისის ქენჯნით, რომ ეს პური მოპოვებული გვაქვს მახვილით. როცა ვინმე კანადის პურს ჭამს, ხომ არ იტანჯება იმაზე ფიქრით, რომ იმ ქვეყნებიდან განდევნილ იქნენ ინდიელები?!

ეს უკვე მოწოდება იყო. მართალია, ოდნავ შენიღბული, მაგრამ მაინც საკმაოდ აშკარა. მერე ეს ნიღაბიც მოიხსნა და გერმანელ ხალხს მიმართა:

— თქვენ თვითონ გამდიდრდით!..

საკითხავია: რითი? შრომით? მოღვაწეობით? პატიოსანი გზით? არა! ვთქვათ პირდაპირ: სხვისი მიწა-წყლისა და ქონების ძარცვა-გლეჯით. თუმცა, მიკერძოება რომ არ დამბრალდეს, რაღა მე ვამბობ ამას, ჯობს, თვითონ იმათ მივცეთ სიტყვა:

მე ერთხელ კიდევ შეგახსენებთ გერინგის ნათქვამს:

— ჩვენ უნდა ვძარცვოთ და ვძარცვოთ რაც შეიძლება ეფექტურად.

ჰიტლერი უფრო „სალონურად“ გამოთქვამდა ამავე აზრს.

— არ მესმის, მე რატომ უნდა ვიზრუნო სხვების კეთილდღეობაზე. გააკეთონ, რაც უნდათ, როგორც უნდათ, და თვითონ გამდიდრდნენ!

ჰიტლერმა აქ „მცირე კორექტივი“ შეიტანა გერინგის ცნობილ ლოზუნგში: „ჩვენ ისე უნდა ვიყოთ, როგორც დაგეშილი ძაღლები...“

მართალია, გერინგზე ნაკლებ არც მას უყვარდა თავისი „ბლონდი“, მაგრამ ამ შემთხვევაში „ძაღლებს“ მაინც ნიცშეანური „ლომები“ ამჯობინა და თქვა:

— მე მინდა ლომები, რომელთაც ყველაფრის უფლებას ვაძლევ, აკეთონ, რაც უნდათ და როგორც უნდათ. აბა, დედაკაცებს კი არ უნდა ჰგავდნენ, მოწყალების სათხოვნელად რომ ეკლესიის კართან არიან ატუზული. ღმერთმა იცის, რომ ჩემი ბიჭები ანგელოზები არ არიან. ისინი მომხვეჭები არიან და კიდეც უნდა იყვნენ ასეთები. მე მინდა ადამიანები, რომლებიც არაფრის წინაშე არ შეჩერდებიან და არც შედრკებიან, რომ მოკლან ვინმე თავიანთი შეხედულების მიხედვით. ყველა მათგანს შეუძლია თქვას: „ფიურერმა გვითხრა: თითოეულ მებრძოლს უნდა ჰქონდეს პური და სამსახური. ჩვენ იმისათვის კი არ გვიბრძოლია, რომ ხელცარიელნი დავრჩენილიყავით. აბა, რა მებრძოლები ვიქნებით, თუ უზრუნველყოფილი მომავლის იმედი არ გვექნება!..“

რაკი მითითება ასეთი იყო, ისინიც მდიდრდებოდნენ. რითი? სულერთია: ებრაელთა ქონების ექსპროპრიაციით, რეპრესირებულთა ფულებით, უცხო ქვეყნების ძარცვა-გლეჯით, ყალბი ფულის მოჭრით, საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსებულთა ნივთებითა და ტანისამოსით, ცოცხალი ადამიანების კანით, დახოცილთა ქონით, ოქროს კბილებითა და თმებით, ძვლის ფხვნილითა და, ვინ იცის, კიდევ რით!

სახელმწიფოს მეთაურები ისე იხრჩობოდნენ სიმდიდრეში, როგორც ბუზი თაფლში. ჰიტლერი „ოქროს აბებს“ აყლაპებდა თავის გაულაიტერებსა და გენერლებს. ყველას გაუტკბა სხვის დოვლათზე ჯდომა და ალაფობა. ყველა სასახლეს იშენებდა, მამულებს იძენდა და „ყოველი შემთხვევისათვის“ უცხოეთის ბანკებშიც ინახავდა უამრავ თანხას...

ამბობდნენ, ერთადერთი ჰიტლერი იყო გამონაკლისიო. ეს მხოლოდ ნაწილობრივაა სწორი. შეიძლება, იგი მართლაც არ იყო გერინგივით დაავადებული გამდიდრების „სეკრეციის ჯირკვლებით“, მაგრამ „ხელცარიელი მაინც არ დარჩენილა.“ „ჩემი ბრძოლის“ იძულებითი გავრცელებით მიღებულ უზარმაზარ ჰონორარს რომ თავი დავანებოთ, მან რამდენიმე მილიონი მარკა მხოლოდ იმაში მიიღო, რომ ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროს ნება მისცა, საფოსტო მარკებზე მისი პორტრეტი გამოესახათ... ჰიტლერმა უამრავი ძვირფასი სურათი მიიღო „საჩუქრად“ დაპყრობილ ქვეყნებში გაძარცული სამხატვრო გალერეებისა და მუზეუმების ფონდებიდან.

ის, ვინც ამ სიხარბეს არ აჰყვა, ზიზღით უყურებდა გამდიდრების მანიით შეპყრობილ თანამემამულეებს, მაგრამ აშკარა პროტესტს ვინ გაბედავდა... ისე კი გმობდნენ... ჩუმჩუმად...

...დოქტორმა ლეიმ ასი ათას მარკად ღირებული ვილა რომ აიშენა, ღამით ალაყაფის კარებზე ვიღაცამ ცარცით მიაწერა:

— სად იშოვა ლეიმ ასი ათასი მარკა?

დილით ლეიმ ეს წაიკითხა და ისე გაბრაზდა, რომ პოლიციას უბრძანა, დაუყოვნებლივ მოეძებნათ და დაეპატიმრებინათ „დამნაშავე“. თან ათას მარკას დაჰპირდა ჯილდოდ, ვინც ამას გააკეთებდა.

მეორე დღეს კი ისევ გაჩნდა წარწერა, მაგრამ ახლა ასეთი:

— სად იშოვა ლეიმ ას ერთი ათასი მარკა?..

...პატივმოყვარე გაულაიტერი კოხიც არ უდებდა ტოლს თავის „უფროს კოლეგებს“. ერთხელ იგი გერინგმა მიიწვია თავის სახელგანთქმულ „კარინჰოლში“. შურიანმა კოხმა მეორე დღესვე დაიტრაბახა, მე უკეთეს სასახლეს ავაგებო, და გახურებული ომის დროსვე შეუდგა ბუხენჰოფში თავისი ძველი სასახლის რეკონსტრუქციას, რაც მილიონ მარკაზე მეტი დაჯდა. ამბობენ, იგი შვედეთიდან ეზიდებოდაო მარმარილოსა და სხვა მასალებს.

სასახლეების მშენებლობას, მათი აზრით, პრინციპული ხასიათიც ჰქონდა. ჰიტლერი ამის მიხედვითაც აფასებდა თავის თანამებრძოლებს, არკვევდა, ვის როგორი გემოვნება აქვსო: ზოგჯერ მათი კარიერაც ამაზე იყო დამოკიდებული.

ოფიციალური განცხადების მიხედვით, ჰიტლერს თავის მომაგიერედ რუდოლფ ჰესი ჰყავდა დანიშნული. ჰესმაც აიშენა სასახლე, მაგრამ ჰიტლერს არ მოეწონა ის და თქვა: „კაცი, რომელსაც ამაზე მეტი გემოვნება არა აქვს, არ შეიძლება, ჩემი მემკვიდრე იყოსო“. და... ჰესის ნაცვლად თავის მომაგიერედ დანიშნა გერინგი, რომლის ზღაპრული „კარინჰოლით“ იგი აღტაცებული იყო...

კოხმა კი მაინც ვერ მოახერხა დანაქადის შესრულება. მისი სასახლე ბევრად ჩამოუვარდებოდა გერინგისას, რამაც დიდ მწუხარებაში ჩააგდო იგი.

— მეტის მდომი მდიდარიც ღარიბიაო, — უთქვამს ილიას. ასეთი „სიღარიბე“ შურითა და მწუხარებით ავსებდა გაუმაძღარი კოხის გულს...

და თუ ისევ ჩვენს თანამემამულეთა სიბრძნეს მოვუხმობთ, საბა-სულხანი გაგვახსენდება:

„შური (არს) მწუხარებაჲ სხუისა კეთილსა ზედა“ — ასე განმარტა მან ეს სიტყვა.

ამ შურმა და მწუხარებამ შემდეგში უკრაინის რაიხსკომისარი კოხი ისე გაახელა, რომ მთელი „თავისი სამფლობელო“, სადაც მისი სიტყვით, „მზე არასოდეს არ ჩადის“, გაუგონარი ყვლეფისა და ძარცვა-გლეჯის არენად აქცია.

აქაოდა, არნადით მოსახვეტი ვიშოვეო, თვითონაც ჩაება ამ ძარცვა-გლეჯაში.

— ჩემს სამფლობელოში, თუ მინდა, კლდიდან რძეს ვადენო, — ტრაბახობდა იგი.

ყოველივე ეს შედეგი იყო ჰიტლერის ლოზუნგისა: „გამდიდრდით, ვისაც როგორ შეგიძლიათო“. კანონიერად თუ უკანონოდ, ამის ფიქრი და დარდი არავის ჰქონდა. აქედან კი ერთი ნაბიჯი იყო ბრძანებამდე დაპყრობილ ტერიტორიებზე ჯარისკაცების ყოველგვარი მსჯავრდებისაგან გათავისუფლების შესახებ, რასაც ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯის სრული ლეგალიზაცია მოჰყვა..









...შუა საუკუნეებში რომის პაპი და მისი კარდინალები ინდულგენციებს ყიდდნენ ცოდვების წინასწარ შესანდობად. ვინც განსაზღვრულ თანხას გადაიხდიდა, შეეძლო, ყოველგვარი ცოდვა ჩაედინა და მაინც გულდამშვიდებული ყოფილიყო, რადგან უკვე ნაყიდი ჰქონდა „მიტევება“ და ადგილი სამოთხეში. ცოდვების ასეთი წინასწარი მიტევება — Absolutio გზას უხსნიდა ყოველგვარ გახრწნილებას.

მაშინ თუ ასე იყო, ახლა რა შეუშლიდა ხელს მსჯავრდებისაგან წინასწარ გათავისუფლებულ გერმანელ ჯარისკაცებს, როგორიც უნდოდათ, ისეთი დანაშაული ჩაედინათ დაპყრობილ ქვეყნებში. ამის Absolutio-ს მათ ჰიტლერისა და კაიტელის ჩვენ მიერ უკვე მოხსენიებული ბრძანება ანიჭებდათ...

## გამოხრული ძვალი...

ასეთ ბრძანებებს კანონის ძალა ჰქონდათ. ფელდმარშალი კაიტელი ყოველ მათგანს არმიათა ჯგუფებს უგზავნიდა, როგორც სავალდებულოს. ამით არმიაც სრულიად ოფიციალურად ჩაება მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვაში. ან კი რა გასაკვირია, თუ ასეთ შეგონებათა შემდეგ ჰიტლერისა და კაიტელის „ღირსეული ჯარისკაცებიც“ თავიანთ ბედისკვერს მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვასა და ალაფობაში ეძებდნენ. მათ არამცთუ არავინ უშლიდა ამაში ხელს, პირიქით, აქეზებდნენ კიდეც ოფიცრები.

1941 წლის 25 ივნისის ბრძანებით ჰიტლერმა დაპყრობილ ტერიტორიებზე სრული ძალაუფლება არმიათა სარდლებს გადასცა. იღრინებოდა კიდეც, ნადავლის გაყოფაში არავინ ჩამერიოსო. მას ხომ გამოხრული ძვლის გადაგდებაც ენანებოდა სხვისთვის. საიდუმლო თათბირებზე ზოგჯერ თავის სატელიტებსაც „ამკობდა“ უშვერი სიტყვებით, სხვის ანაბარა უნდათ ფართო კარვის დადგმაო.

იმ დღეებში საფრანგეთის ვიშისტური მთავრობის რომელიღაც გაზეთმა განაცხადა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გერმანიის ომით მთელი ევროპა ნახავს სარგებლობასო. ამან სულ გააცოფა ჰიტლერი.

— როგორ? ეს რა უსირცხვილობაა! — ყვიროდა იგი, — მაგათ ხომ არ ჰგონიათ, რომ ჩვენ მთელი ევროპის სასარგებლოდ ვეწევით ამ ომს?!..

მერე დაემუქრა კიდეც „ვიღაცებს“. არც იმ მოკავშირე სახელმწიფოებს დაერიდა, ვისთანაც საერთო უღელს წევდა. ესენი დღეს ჩვენ გვეხმარებიან, მაგრამ, ვინ იცის, ხვალ რას იზამენო, — და სცადა აღეკვეთა მათთვის „ნადავლის გაყოფაში“ მონაწილეობის მიღების სურვილიც კი...

სხვის სურვილებს ჰიტლერი, საერთოდ, არავითარ ანგარიშს არ უწევდა. ცხადია, არც როზენბერგივით იტყოდა, დაპყრობილი ხალხები ოდესმე გაამართლებენ ჩვენს ღონისძიებებსო. იგი მხოლოდ შამპულაჰის შიშველ ძალასა და „დაშინების მეთოდს“ ეყრდნობოდა. ძალამ კი გზადაგზა უმტყუნა მას. მართალია, ქაღალდზე კი შექმნა რაიხსკომისარიატები, მაგრამ იმ ოთხიდან, „სარეზერვოზე“ რომ არაფერი ვთქვათ, სამი არ გამოვიდა: მოსკოვის, ლენინგრადისა და კავკასიის (ბაქოსი). გერმანელებმა ვერც მოსკოვი აიღეს, ვერც ლენინგრადი და ვერც ამიერკავკასიაში შემოდგეს ფეხი. ამით გაცოფებულმა ჰიტლერმა ერთხელ კიდევ აურია კარტები და... ის იყო, მოსკოვისა და ლენინგრადის ტოტალური მოსპობა რომ გადაწყვიტა:

— მოსკოვი უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა, როგორც კი იქიდან გამოზიდული იქნება მთელი სიმდიდრე, — განაცხადა მან.

მისი აზრით, „პეტრე დიდის მიერ პეტერბურგის დაარსება ფატალური მოვლენა იყო ევროპის ისტორიაში“, ამიტომ ეს ქალაქიც უნდა მოისპოს მთლიანადო.

კაიტელმა მაშინვე აფრინა შესაფერი მითითება:

— ფიურერმა ისევ მიიღო გადაწყვეტილება — არ დავეთანხმოთ ლენინგრადის კაპიტულაციას, არც მოსკოვისას, კიდევაც რომ შემოგვთავაზონო... ეს შეეხება აგრეთვე სხვა ქალაქებსაც. აღების წინ ისინი მოსპობილ უნდა იქნენ არტილერიის ცეცხლითა და საჰაერო თავდასხმებით, მოსახლეობა კი უნდა ვაიძულოთ, გაიქცეს... რაც უფრო მეტი ქაოსი იქნება რუსეთში, მით უკეთესი ჩვენთვის. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ქალაქების მცხოვრებთა სურსათით მომარაგება გერმანული სამშობლოს ხარჯზე... ფიურერის ამ გადაწყვეტილების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ყველა მეთაურს.

მერე მოსახლეობისათვის „გაქცევის საშუალების“ მიცემის „ჰუმანიზმიც“ გაქრა. ლენინგრადისა და მოსკოვის „საბოლოოდ მოსპობის“ გეგმებში ამ მხრივ უფრო მკაცრი ზომები იქნა გათვალისწინებული. გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შტაბის უფროსმა 1941 წლის 24 სექტემბერს გამოსცა საიდუმლო ბრძანება ლენინგრადისა და მისი მოსახლეობის მთლიანად მოსპობის შესახებ.

— ადრინდელი მოთხოვნა, — წერია ამ ბრძანებაში, — გემთმშენებელ-სანავსადგურო და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სხვა მნიშვნელოვან ნაგებობათა შენარჩუნების შესახებ, ცნობილია შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობისათვის, მაგრამ ამის დაკმაყოფილება შეუძლებელია პეტერბურგის შესახებ საერთო მითითების მიღების გამო. გადაწყვეტილია, მჭიდრო ალყა შემოერტყას ქალაქს, რომ ყველა ყალიბის არტილერიის ცეცხლითა და განუწყვეტელი

საჰაერო თავდასხმებით მიწასთან იქნეს გასწორებული. შექმნილი მდგომარეობის გამო, ალბათ, მიღებული იქნება თხოვნა დანებების შესახებ, რაც უნდა უარვყოთ, რათა ქალაქში მოსახლეობის დარჩენისა და მათი სურსათით მომარაგების პრობლემები არ გავიხადოთ სადავიდარაბოდ. ამ ომში, რასაც ჩვენი არსებობისათვის ვეწევით, დაინტერესებული არა ვართ მოსახლეობის თუნდაც ნაწილობრივი შენარჩუნებით.

ასეთივე ბრძანებები იყო შედგენილი მოსკოვისა და კიევის მოსპობის შესახებ.

კალტენბრუნერმა წინასწარ დაკითხვაზე ყოველივე ამის „აუცილებლობა“ შემდეგნაირად „აგვიხსნა“:

— რაკი რუსეთის ვრცელ ტერიტორიებზე სოფლის მეურნეობა უნდა განვითარებულიყო და არა ინდუსტრია, დიდი ქალაქები ზედმეტ ტვირთად დააწვებოდა სურსათით მომარაგების ორგანოებს... ჰიტლერმა ამიტომ გადაწყვიტა ამ დასახლებული პუნქტების მოსპობა...

მერე, ჩვენს გაოცებულ სახეებს რომ შეხედა, დასძინა:

— რას იზამთ, ბატონებო, შეიძლება ეს მართლაც საშინელია, მაგრამ აუცილებელი!..

დოე

## მოძალადე ნათლიები...

ასეთი იდეებით შეიარაღებულმა ჰიტლერელებმა კავკასიის მისადგომებამდე მოაღწიეს. საშინელი საფრთხე ემუქრებოდა მაშინ ჩვენს ხალხს. ჰიტლერს, როგორც მოგახსენეთ, საქართველო გერმანიის იმპერიის ფარგლებში ჰქონდა შეტანილი. ადმინისტრაციული დაყოფის თანახმად, იგი შედიოდა რაიხსკომისარიატ „კავკასიაში“, რომლის საზღვრები ასე მოხაზა როზენბერგმა:

— კავკასიაში საზღვრები მიემართება ვოლგის აღმოსავლეთით, შემდეგ — როსტოვის სამხრეთით, დანარჩენი კი — ძველებურად თურქეთისა და ირანის გასწვრივ. ეს ოლქი მოიცავს 500 ათას კვ. კილომეტრს, სადაც 18 მილიონი მცხოვრებია. იგი დაყოფილი იქნება ექვს გენერალურ კომისარიატად.

საქართველოს მაგივრად ერთ-ერთი ასეთი კომისარიატი უნდა ყოფილიყო და ფილიალი ბათუმში ჰქონოდა. გენერალური კომისრის რეზიდენციად, ისევე როგორც კავკასიის რაიხსკომისრისა, გამოცხადდა თბილისი...

ამრიგად, ჰიტლერი, როზენბერგი და სხვა არამკითხე ნათლიები არამარტო სპობდნენ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე სახელმწიფოებს, არამედ მათი სახელების მოშლასაც ცდილობდნენ. პოლონეთი ჰიტლერელებმა „საგენერალგუბერნატოროდ“ აქციეს. ბალტიისპირეთის დაპყრობილ ტერიტორიებს „ოსტლანდი“ უწოდეს, ხოლო ნოვგოროდის, ფსკოვისა და ლენინგრადის ოლქს — ინგერმანლანდია. „ნაზუქის“ ოთხ ნაჭერს ოთხი კოდური სახელი შეარქვეს: „ჰოლშტაინი“, „საქსონია“, „ბადენი“ და „ვესტფალია“. ქალაქებიც გერმანულად მონათლეს: გოტენბურგი, თეოდორიხსჰაფენი და ა.შ. საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ჩრდილოეთი კავკასია და ყუბანი გენერალურ კომისარიატებად სურდათ ექციათ. ჩვენი ქვეყნის აწმყო და მომავალი საშინელი საფრთხის წინაშე დადგა. საქართველოსაც ის ემუქრებოდა, რაც ჰიტლერელების მიერ ადრე „რუსეთისა“ და „რუსების“ შესახებ იყო თქმული. იგივე მოელოდა საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ხალხს, ვინც გერმანიის „ათასწლოვანი იმპერიის“ ფართოდ მოხაზულ საზღვრებში მოხვდებოდა. დოკუმენტებში კი უმთავრესად „რუსეთსა“ და „რუსებზეა“ ლაპარაკი. ამან შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. როცა ჰიტლერელები ამბობენ „რუსეთიო“, გულისხმობენ „საბჭოთა კავშირს“, ხოლო „რუსებს“ მასში მცხოვრებ ხალხებს უწოდებენ. მხოლოდ იშვიათ ან სპეციალურ შემთხვევებში აზუსტებენ ისინი ცალკეულ ეროვნებათა სახელწოდებებს. ეს სრულიად ცხადი გახდა ნიურნბერგის პროცესზე: როცა ინგლისელმა ბრალმდებელმა ეიმენმა შეცდომით იხმარა გამოთქმა „რუსი ტყვეები“, ლოურენსმა მაშინვე ჩაქუჩი დაჰკრა მაგიდას, ლაპარაკი შეაწყვეტინა და გაუსწორა:

— პოლკოვნიკო ეიმენ, მე ვფიქრობ, „რუსი ტყვეების“ ნაცვლად თქვენ უნდა თქვათ „საბჭოთა ტყვეები“.

— დიახ, EXcelece!.. — დაეთანხმა ეიმენი.

ასე რომ, რაც ადრე ჰიტლერელების საერთო გეგმებისა და მიზანდასახულობათა შესახებ ითქვა, „რუსეთსა“ და „რუსებთან“ ერთად ეხება კავკასიასა და მის მრავალრიცხოვან ხალხებს, მათ შორის, საქართველოსა და ქართველებს...

ამიტომაც ადგენდა ჰიტლერი ასე გულმოდგინედ „გერმანული ევროპის“ ფარგლებს და, როგორც კი მის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებს მიადგებოდა, მაშინვე საქართველოს დაადგამდა თვალს.

— დიდი გერმანიის საზღვრები იქნება, — ამბობდა იგი, — ჩრდილო-აღმოსავლეთით — ფინეთი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით — საქართველო.

სწორედ ასე ამბობდა, საქართველოო, და თან განმარტავდა Georgiene, ანუ Gruzia-ო.

„ცისფერი კავკასია“ ხომ სულ პირზე ეკერა. იგი მოითხოვდა, აქ „საგანგებოდ მკაცრი ღონისძიებანი“ გაეტარებინათ. ეუბნებოდა კიდეც თავის თანამშრომლებს:

— კავკასია ჩვენთვის ნავთის უზარმაზარ რეზერვუარად უნდა იქცეს. თუ ჩვენ გვინდა, ეს ნავთი ხელთ ვიგდოთ, კავკასიაში უნდა უმკაცრესი ღონისძიებანი გავატაროთ, თორემ ისე ვერაფერს გავხდებით ამ სისხლის აღებით დაორსულებულ (Geschwangert) მხარეში...

საქართველოს შესახებაც ასევე გეშავდა თავის ქვეშევრდომებს და მოუწოდებდა: ეს ქვეყანა in scharfsten Ansicht zu nehmen!..

...ბუნებრივია, რომ ნიურნბერგის პროცესში მონაწილეობის დროს მე განსაკუთრებით მაინტერესებდა ყველაფერი, რაც კავკასიას, კერძოდ კი საქართველოს შეეხებოდა. საგანგებოდაც ვაგროვებდი მასალებს ამ საკითხზე: ვიღებდი გერმანული დოკუმენტებისა და სამხედრო დამნაშავეთა დაკითხვის ოქმების ასლებს, ვესაუბრებოდი მთავარ სამხედრო დამნაშავეებსა და პროცესზე მოწმედ გამოძახებულ პირებს. შვიდი თვის განმავლობაში, რაც მე იქ დავყავი, საკმაო მასალაც დამიგროვდა, მაგრამ თბილისში რომ შევბრუნდებით ჩამოვედი, მხოლოდ მცირე ნაწილი ჩამომყვა თან. დანარჩენი იქ დატოვე, სამუშაო ოთახში. მერე, როგორც მოგახსენეთ, უკან აღარ დავბრუნებულვარ და ის მასალებიც დაკარგული მეგონა, ყოველ შემთხვევაში — ჩემთვის. დიდი ხანი არც მიფიქრია ამაზე. ახლა კი, როცა ამ ამბების მოყოლა დავიწყე, გული დამწყდა, საქართველოს შესახებ შეგროვილი მასალები რომ ხელთ არ მქონდა. ალალბედზე ვცადე მათი მოძებნა მოსკოვის ცენტრალურ არქივში, სადაც ნიურნბერგის პროცესის მასალები ინახება. ამ დოკუმენტებში (აღწერილობა №1) ადვილად მივაგენი ჩემთვის საინტერესო მასალებსაც (დოკ. 31, საქმეები №№1692, 1693 და ა.შ.), მათ შორის საკუთარსაც, რაც არქივში ახლაც ჩემს გვარზეა ჩაწერილი.



იბეჭდება შემოკლებით. ტ. I „თემიდას თვალები“

მთელი ეს მასალა ხელმისაწვდომია ყველასათვის, ვინც აქ მოთხრობილი ამბების სისწორის დოკუმენტურ შემოწმებას მოისურვებს...

## ცისფერი კავკასია...

კავკასიის საკითხი როგორღაც მოულოდნელად ამოტივტივდა ნიურნბერგის პროცესზე. იგი პირველად გერინგის დამცველმა, დოქტორმა შტამერმა წამოჭრა, მერე კი საერთო მსჯელობის საგნად იქცა. მართალი გითხრათ, მე ჯერ მიკვირდა კიდეც, რატომ მიიპყრო ამ საკითხმა გერინგისა და მისი დამცველის ასე დაჟინებული ყურადღება! მერე კი მივხვდი ყველაფერს. თურმე ნუ იტყვით, ყოფილ რაიხსმარშალსა და შტამერს განუზრახავთ თვით ინგლისელი და ფრანგი მოსამართლეების „გაყვანა ბრალდებაში“, რისთვისაც გულმოდგინედ შეუგროვებიათ უამრავი ისტორიული და საარქივო მასალა იმის შესახებ, რომ კავკასიის დაპყრობის გეგმა გერმანელებზე ადრე თვით ინგლისელებსა და ფრანგებს ჰქონდათ შედგენილი.

— აი, ვინ არიან საბჭოთა კავშირის ნამდვილი მტრები!.. — განაცხადეს მათ, რომ ამით უთანხმოება ჩამოეგდოთ მოკავშირეთა შორის.

ეს არცთუ ისე სასიამოვნო მოსასმენი იყო იმათთვის, ვინც მხოლოდ სხვის ბრალდებასაა მიჩვეული. ტრიბუნალის ინგლისელმა თავმჯდომარემ ლორდმა ლოურენსმა რამდენჯერმე დაჰკრა ხის ჩაქუჩი მაგიდას და გააჩერა დოქტორი შტამერი, ეს განხილვის საგანს არ ეხებაო, მაგრამ მრავალ პროცესში გამობრძმედილმა იურისტმა მაინც თავისი გაიტანა და შეუდგა დაცვის მასალების წარდგენას...

ისე, კაცმა რომ თქვას, აქ ახალი არაფერი თქმულა. ჩვენთვის ადრეც ცნობილი იყო, რომ სამივე იმპერიალისტურ სახელმწიფოს — ინგლისს, საფრანგეთსა და გერმანიას ყოველთვის საკუთარი ინტერესები ჰქონდათ კავკასიის მიმართ. იყო დრო, როცა სხვა სახელმწიფოებიც ერეოდნენ ამ საქმეში, როგორც შორეულნი — ამერიკა, იტალია, ისე ახლობლებიც — თურქეთი, ირანი. კავკასიის ნავთის სუნი ერთნაირად იზიდავდა ყველას. პირველი პოლიტიკური ბანქოს თამაში ამ საკითხზე ჯერ კიდევ 20-იან წლებში გაიმართა. მთავარ პარტნიორებად მაშინ ლოიდ ჯორჯი და კლემანსო გამოდიოდნენ. მერე ვილსონიც გააქტიურდა, ვითომ იტალიის ინტერესების დასაცავად, მაგრამ, რაკი თავისი მოკავშირე „პულკაში“ ვერ გაიყვანა, თურქებისათვის „გამოიდო თავი“: კავკასიის საკითხი უნდა განვიხილოთ როგორც თურქეთის იმპერიის პრობლემაო, განაცხადა მან. საქმე ისაა, რომ თურქეთში თვით ამერიკას ჰქონდა ფეხი მოკიდებული და ვილსონი ფიქრობდა, სხვების მაზიარებელი უზიარებლად არც თვითონ დარჩებაო. მერე ერაყისა და ქურთისტანის ნავთობის საკითხიც წამოიჭრა. ლოიდ ჯორჯმა იფიქრა, ამერიკას აქაც დავასწრებო, და ეს რაიონიც თავისი ინტერესების სფეროში შეიტანა.

„დიდი სომხეთის“ საკითხიც დაისვა, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ, ვისთვის რა ებოძებინათ. იტალია უკვე არავის ახსოვდა. სომხებს ნავთი არა ჰქონდათ და „დიდ სომხეთზე“ მაინცდამაინც არავინ იკლავდა თავს. ბოლოს სომხეთიცა და საქართველოც ამერიკის გავლენის ზონაში მოექცა. ვილსონი კავკასიაში „აწესრიგებდა“ საკითხებს, მაშინ როცა საკუთარი სახელმწიფო საქმეები აწეწილ-დაწეწილი ჰქონდა. მალე იგი გადააყენეს კიდეც. იტალიაშიც საყოველთაო გაფიცვები დაიწყო. თურქეთში ქემალ ათათურქის მოძრაობა გაიშალა და „წითელქუდა დამპყრობლებს“ კავკასიის თავი აღარ ჰქონდათ.

შემდეგ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა, მაგრამ ძველი გეგმები მხოლოდ დროებით მიივიწყეს.

გერინგმა და შტამერმა ახლა 1939-1940 წლების ამბები გაიხსენეს და განაცხადეს, კავკასიის დაპყრობას ამ პერიოდშიც ჩვენზე ადრე ინგლისელები და ფრანგები აპირებდნენო.

ვინ ვისზე ადრე აპირებდა, ამის თქმა მართლაც ძნელია. ყოველ შემთხვევაში, დოკუმენტები ამჯერადაც გერმანიის სასარგებლოდ არაფერს ღაღადებდნენ. მათ ხომ პირველი მსოფლიო ომის დროსაც შეადგინეს ასეთი გეგმა. ცნობილ მრეწველ ტისენს უკვე მაშინ ჰქონდა კავკასიის ნავთი თავის ბალანსში შეტანილი, ხოლო გენერალი ლუდენდორფი საქართველოში ეძებდა „კარგ ჯარისკაცურ მასალას“ (cute Soldatenmaterial).

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ „ცისფერი კავკასია“ ისევ „განხეთქილების ვაშლად“ იქცა...

...როგორც კი ევროპაში წყალი აიმღვრა, სამივე სახელმწიფომ ერთად მოამზადა ბადე სასროლად. გერმანია რომ „ბარბაროსას“ გეგმავდა, არც ინგლისელებსა და ფრანგებს ეძინათ. კავკასიის ნავთის სუნი ერთდროულად სცემდათ როგორც ბერლინში, ისე პარიზსა და ლონდონში. 1940 წლის თებერვალში დალადიე თავის ანკარელ ელჩს მასილიის დირექტივებს უგზავნიდა კავკასიის, კერძოდ ბაქოს, ნავთის თაობაზე. ლონდონშიც მოაგონდათ, რომ მათ ამ საქმის ჩინებული სპეციალისტი ჰყავთ — გენერალი დიდსი, რომელიც 1918-1919 წლებში დიდი ბრიტანეთის ჯარებს სარდლობდა კავკასიაში. მართალია, იგი კარგა ხანს დავიწყებული იყო, მაგრამ მოძებნეს, „წესრიგში მოიყვანეს“ და ანკარაში გაგზავნეს. გენერალმა გამელენმა და ადმირალმა დარლანმაც მიიღეს საფრანგეთის მთავრობის დავალება, შეედგინათ კავკასიის დაპყრობის გეგმა.

„ბაქოდან ბათუმამდე!“ — ასეთი იყო მარშრუტი. მაშინ ახლო აღმოსავლეთში საფრანგეთის ჯარებს გენერალი ვაიგანი სარდლობდა, რომელმაც საიდუმლო მემორანდუმი გაუგზავნა თავის მთავრობას, აქ ამ საქმისათვის ინგლისელებიც ემზადებიანო. ოცი წლის წინანდელი მეტოქენი ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. საქმე ამჯერადაც ისე იყო, თუ ვინ ვის დაასწრებდა. ფრანგებმა აეროდრომები გამართეს დიარბექირში, ერზერუმსა და ყარსში. ამ „მომგებიან საქმეში“ ჩაბმული იყო თურქი მარშალი ჩაკმაკი. საფრანგეთი თურქეთის საშუალებით აპირებდა კავკასიის დაპყრობას. ვაიგანმაც გამელენთან დაიტრაბახა, „კავკასიას რომ დავიპყრობ, ისე შევალ რუსეთში, როგორც დანა კარაქშიო“. ის კი არ იცოდა, რომ ჰიტლერს უკვე ალესილი ჰქონდა დანა თვითონ საფრანგეთის ყელის გამოსაჭრელად, არც ინგლისი ჰყავდათ გერმანელებს დავიწყებული.

ინგლისელები და ფრანგები ზედმეტად თვითდაჯერებული არიან, როცა ასეთ გეგმებს ადგენენ. ეს სენი გერმანიასაც გადაედო. მათ უნდოდათ, თურქეთიც აეყოლიებინათ, მაგრამ „წითელქუდა“ დიპლომატია ეშმაკია: იგი ასე უცებ არ იღებს გადაწყვეტილებებს და უცდის, ვიდრე გამარჯვების სრული გარანტია არ ექნება. ამ გარანტიას ის 1940 წელს ჯერ კიდევ ვერ ხედავდა და ამიტომ თავი შეიკავა საფრანგეთის ავანტიურაში მონაწილეობისაგან. ფრანგები ახლა ირანელებს მიადგნენ და პარტნიორობა შესთავაზეს, რის შემდეგაც თურქი ჩაკმაკის მაგივრად პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე ირანელი გენერალი ალი რაზმარა ამოტივტივდა.

1940 წლის 4 აპრილს დამტკიცდა კავკასიაში შეჭრის გეგმა. ოპერაციები უნდა დაწყებულიყო ივნისის ბოლოს ან ივლისის დასაწყისში...

მაშინ რა იცოდა გენერალმა ვაიგანმა, რომ ამ დროისთვის საფრანგეთის რესპუბლიკა უკვე აღარ იარსებებდა და თავად მას კავკასიაზე ლაშქრობის მაგივრად კომპიენის ტყეში მოუხდებოდა კაპიტულაციაზე ხელისმოწერა...



კადრი ფილმიდან „დიდი დიქტატორი“

ღმერთო, რა პოზებში და მდგომარეობაში არ იყო გადაღებული! ყველაზე მეტად — მიტინგებსა და აღლუმებზე, ტრიბუნაზე ქადაგების დროს. ვისაც ჩარლი ჩაპლინის ფილმი „დიქტატორი“ უნახავს, მხოლოდ იმას თუ შეუძლია წარმოიდგინოს ამ უცნაური პოზებისა და მანერების გროტესკულობა...

## რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან ★

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# არნო ხიდირბეგიშვილი:

# ვინც საქართველოში დარჩენა ვარჩიეთ, გვაცალეთ პარლამენტის, მთავრობისა და პრეზიდენტის არჩევა!






## მოღალაქეთა კავშირი ★

ვინ იფიქრებდა, რომ **შევარდნაძე-ჟვანია-სააკაშვილის „მოქალაქეთა კავშირის“** მერე საქართველოში **სააკაშვილი-გვარამია-ხაზარაძის „მოღალაქეთა კავშირი“** ჩამოყალიბდებოდა და ძალაუფლებაზე პრეტენზიას, როგორც სამართალმემკვიდრე, განაცხადებდა! სამი პრეზიდენტი — **სააკაშვილი, მარგველაშვილი, ზურაბიშვილი,** სამი მსჯავრდადებული — **სააკაშვილი, გვარამია, ხაზარაძე** — უარყოფენ წმინდა მეფე ერეკლე მეორის, წმინდა ილია მართლისა და კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის მოღვაწეობასა და მემკვიდრეობას.

## გამორიცხულია, ბევრჯერ მოტყუებულმა ქართველმა ხალხმა ეს მოითმინოს,

## იესოს ათი მცნება ევროკავშირის ცხრა დათქმაზე გაცვალოს!

საქართველო არსად წავა — არც ევროპაში ღირსებით და არც ჩრდილოეთში, ის კავკასიაში დარჩება და ღმერთის მიერ ნაჩუქარ მეზობლებთან იმეგობრებს! **ღირსებით ევროპაში ქართველი იოსებ ჯუღაშვილი შევიდა, მაგრამ ევროპას ეს გაკვეთილი, როგორც ჩანს, მხოლოდ 80 წელი ეყო!**

ან რა ყალბი დასახელებებით გახვედით არჩევნებზე — **„ერთობა საქართველოს გადასარჩენად“, „კოალიცია ცვლილებისათვის“, „ძლიერი საქართველო“, „საქართველოსთვის“** — ასეთი პარტიები საქართველოში არავინ იცის! ხალხი თქვენ სხვაგვარად გიცნობთ — მიშას ნაცჯალათებისა და ზონდერების, გეებისა და ნარკომანების, მევახშეებისა და ყაჩაღ-ბანკირების პარტიების სახელწოდებით!

## გამოსულიყავით არჩევნებზე თქვენი ნამდვილი სახელებით და ვნახავდით, რა 700 ათას ხმას მიიღებდით!

დაბოლოს — რა უფლება აქვს ემიგრანტს, ამირჩიოს ხელისუფლება, რომელთანაც მე მომიწევს ცხოვრება მომდევნო 4 წელი?! **ემიგრანტს საქართველოს მოქალაქეობა ან უკვე დაკარგული აქვს, ან მისი დაკარგვის გზას ადგას, რადგან იმ ქვეყნის მოქალაქეობას ლამობს, სადაც ცხოვრება ამჯობინა.** ჰოდა, ვინც საქართველოში დარჩენა ვარჩიეთ, გვაცალეთ პარლამენტის, მთავრობისა და პრეზიდენტის არჩევა! **როდის ვერეოდით თბილისიდან ტრამპის, პუტინისა თუ მაკრონის არჩევაში?!**

## დაიმახსოვრეთ: მტკვარში აშშ-ის ავიამზიდი ვერასოდეს შემოვა!

და კიდევ: **თუ ამერიკა-ევროპაში ქართველი ემიგრანტი საქართველოს შვილია, რუსეთში რა, ნაბიჭვარია, ხმის მიცემის უფლება რომ წავართვით?!**






## ღირსებით ევროპაში ქართველი იოსებ ჯუღაშვილი შევიდა, მაგრამ ევროპას ეს გაკვეთილი, როგორც ჩანს, მხოლოდ 80 წელი ეყო!



კადრები მიხეილ ჭიაურელის ფილმიდან „ბერლინის დაცემა“. 1949 წელი

გენერალისიმუსი
2024 წლის 4 ნოემბერი, №53 (289)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# ლაზარე ჯორბენაძე: ეს სიმსივნე მოსაკვეთია!

*დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2024 წლის №30–45*



***უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე 2024 წლის 26 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს ეხმიანება და საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები მათ წინააღმდეგ, ვინც მიზნად ისახავს ქვეყნის კონსტიტუციური წყობის დამხობას:***

— 2024 წლის 26 ოქტომბერს ქართველმა ერმა წარმოუდგენლად დიდი გონიერება გამოავლინა და არჩევნებში უარი უთხრა ეშმაკის მსახურებს. დავესესხები **ბიძინა ივანიშვილს** და ვიტყვი, რომ, სამწუხაროდ, უკეთესი არჩევანის საშუალება არ გვქონდა. საბოლოოდ დადასტურდა, რომ ქართველ ერს უნდა მშვიდობა, ხოლო არჩევნებს საქართველოში სინამდვილეში იგებს ერთი კაცისადმი პატივისცემა და ეს ერთი კაცი ისევე, როგორც 2012 წელს, ახლაც არის ბიძინა ივანიშვილი!

**— რას ითხოვს და რა უნდა ოპოზიციას?**

— დავიწყოთ იმით, რომ პრეზიდენტად წოდებული **სალომე ზურაბიშვილი,** რომელიც პროკურატურაში მისვლაზე უარს ამბობს, არის ავანტიურისტი და სისხლის სამართლის დამნაშავე. იგი ცდილობს, გამოიწვიოს რევოლუცია და დაღვაროს სისხლი. ახალი არაფერია იმაში, რომ ეს ქალი არის უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის აგენტი. დააკვირდით მის საქციელს — არჩევნებიდან ორი დღის განმავლობაში გადამალეს, რადგან მოფიქრებული არ ჰქონდათ, რა ეთქმევინებინათ. საბოლოოდ მოიფიქრეს რევოლუციური სცენარი, მაგრამ ზურაბიშვილსა და სხვა ოპოზიციონერებს ამ სცენარში ძალიან ბევრი სისულელე გაახმოვანებინეს!

**— მაინც რა სისულელეები ათქმევინეს ოპოზიციონერებს ევრო-ამერიკელმა პატრონებმა?**

— დავიწყოთ **გიორგი ვაშაძით,** რომელიც ავრცელებს ცრუ ინფორმაციას არჩევნების გაყალბების შესახებ. თუ ვაშაძე გენერალურ პროკურატურაში გამოკითხვაზე არ მივა და ჩვენების მიცემაზე უარს იტყვის, მაშინ ის ცრუ დასმენისთვის უნდა დაიჭირონ! რადგან გიორგი ვაშაძე წინა პარლამენტის წევრი იყო და ახალი პარლამენტის წევრადაც არის არჩეული, **ამ შუა პერიოდში, წინა პარლამენტის უფლებამოსილების ცნობამდე, ვაშაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა შეიძლება.**

**— როგორ და როდის?**

— მოგეხსენებათ, 2024 წლის 21 ნოემბრამდე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა გამოაცხადოს 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები, ხოლო 21 ნოემბრიდან ათი დღის ვადაში უნდა შეიკრიბოს ახალი პარლამენტი. სწორედ ამ ათ დღეში არის შესაძლებელი გიორგი ვაშაძისა და იმ პროვოკატორების დაპატიმრება, რომლებიც საპარლამენტო არჩევნების ვითომდა გაყალბების შესახებ ცრუ დასმენას ახორციელებენ! მაგრამ საკითხავია, გაბედავს საქართველოს გენერალური პროკურატურა მათ დაპატიმრებას? **ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით, რომ სალომე ზურაბიშვილი, სალომე სამადაშვილი, ანა ნაცვლიშვილი, გიორგი ვაშაძე, ნიკა გვარამია, ნინო ლომჯარია, ეკა ბიგაური, ლევან ცუცქირიძე, მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე, ალეკო ელისაშვილი, თინა ხიდაშელი, დავით უსუფაშვილი, ნინო დოლიძე და ყველა ის ყარტაყურტა ხალხი, ვინც იქ დგას, სისხლის სამართლის ჩამოყალიბებული დამნაშავეები არიან, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ დანაშაულს ღიად ამზადებენ!** გენერალური პროკურატურის გასაგონად ვაცხადებ, რომ დანაშაულს აქვს სამი სტადია — მომზადება, მცდელობა და აღსრულება. ცალკე აღებული სამივე სტადია სისხლის სამართლის დანაშაულია. ესენი ახლა სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებენ.

**— მცდელობა ექნებათ?**

— აგენტებს ქვეყანაში გადატრიალების მოწყობის მცდელობა აუცილებლად ექნებათ და ღმერთმა ნუ ქნას, გაიმარჯვონ! ესენი არამარტო დღევანდელი სახელმწიფო ხელისუფლების, არამედ ქვეყნის დასამხობადაც ემზადებიან, რადგან წარმოადგენენ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ მართულ და დაფინანსებულ ძალას. ეს რომ ასეა, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის უკანასკნელი განცხადებებიც ადასტურებს — არჩევნები მთლად ისე არ ჩატარებულა და გამოიძიეთო!

**— გამოძიება გენერალურმა პროკურატურამ უკვე დაიწყო, მაგრამ ქვეყნის გადატრიალების მოსურნენი — ევროკავშირი, „ჰელსინკის კომისია,“ უცხო ქვეყნების აგენტურა — აცხადებენ, პროკურატურასა და დღევანდელი ხელისუფლების სახელმწიფო ინსტიტუტებს არ ვენდობით, გამოძიება საერთაშორისო სტრუქტურებმა ჩაატარონო!**

— გასაგებია, რომ შეერთებული შტატები საქართველოს სახელმწიფოდ არ მიიჩნევს, მაგრამ გაეროს წევრ სუვერენულ სახელმწიფოში გამოძიების ფუნქციას ვის ვანიჭებთ — უცხო ძალებს? ასეთ ქვეყანასა და სახელმწიფოს საერთაშორისო ასპარეზზე რა ფასი და აზრი აქვს? ჩვენ სახელმწიფო არ ვართ? ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს, ევროკავშირსა და ევროპისა და ამერიკის სპეცსამსახურებს საქართველოში თავიანთი აგენტების ხელით უნდათ გადატრიალების მოწყობა. ამიტომ ის პირები, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალე, სასწრაფოდ არიან დასაჭერი, რადგან სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებენ. აი, ამათ რომ ციხეში შეაგდებენ, მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ უცხო ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, გამოთქვან აზრი, რამდენად სამართლიანად მოხდა მათი დაპატიმრება.



„თუ გიორგი ვაშაძე გენერალურ პროკურატურაში გამოკითხვაზე არ მივა და ჩვენების მიცემაზე უარს იტყვის, მაშინ ის ცრუ დასმენისთვის უნდა დაიჭირონ!“

**— ვინ არის გიორგი ვაშაძე?**

— **გიორგი ვაშაძე** ჩვეულებრივი კრიმინალია. 2008 წელს, როგორც იუსტიციის სახლის დირექტორმა და 2012 წელს, როგორც **ზურაბ ადეიშვილის მოადგილემ** საარჩევნოდ გააყალბა დაახლოებით 250 ათასი ცალი პირადობის მოწმობა. „ქართულმა ოცნებამ“ გიორგი ვაშაძეს ამ დანაშაულის გამო რომ არ მოჰკითხა, იმიტომაც არის გათავხედებული და დიდგულზე. **ბარეწარი ზურაბ ადეიშვილის მოადგილეს რომ არ გაასამართლებ, რალაც უბედურება აუცილებლად დაგემართება!**





**— ვინ არის ნიკუტა გვარამია?**

— **გვარამია** განსაკუთრებული შემთხვევაა, რადგან ის იყო მთავარი პროკურორის მოადგილე და მერე — მთავარი პროკურორი. იგი მხოლოდ „იმედისა“ და **ბადრი პატარკაციშვილისთვის** ქონების წართმევის საქმეზე იმსახურებს 15 წლით ციხეში ყოფნას, მაგრამ გაასამართლეს რაღაც სისულელის გამო. სულ მცირე, ასი ბიზნესმენი მაინც იქნება ასეთი, ვინც ნიკა გვარამიამ კუდის რიკამდე გაატყავა, მაგრამ პასუხი არ უგია.

**— ვინ არის თინა ბოკუჩავა?**

— **თინა ბოკუჩავა და მარიამ საჯაია,** რომელთა პარლამენტში შესაყვანად სააკაშვილმა კანონი შეცვალა და საპარლამენტო ასაკი შეამცირა, ძალიან პატარა ასაკიდან ფანატიკურად შეყვარებული იყვნენ სააკაშვილზე... პიროვნულად არ ვეხები, ვიცი, რომ ჰყავს ოჯახი და ორი შვილი, მაგრამ თინა ბოკუჩავა სააკაშვილმა პირდაპირ აკვნიდან შეიყვანა პარლამენტში!



„ელენე ხოშტარია პროვოკატორი და რუსეთის სპეცსამსახურების აგენტია!“

**— ვინ არის ელენე ხოშტარია?**

— **ელენე ხოშტარია** პროვოკატორი და რუსეთის სპეცსამსახურების აგენტია! თავიდან მიშას მზეს ფიცულობდა, მაგრამ, როცა ნავი გადაუბრუნდა, შექმნა „დროა“ და ხან ვის აეტორღიალა და ხან — ვის... ძალაუფლება რომ ვერ მოიპოვა, ისევ მიშას შეუძვრა. მაგ ქალს ორი მიზანი აქვს — ფული და ძალაუფლება! ფულს რუსები აძლევენ, ხოლო ძალაუფლებას — პარლამენტში შეძრომა.

**— მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს რაღა უნდათ?**

— ესენი ნებისმიერ ხელისუფლებას დაუწვებიან, ოღონდაც ის ასეულობით მილიონი შეინარჩუნონ, რომელიც შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელდასხმით ხალხს წაგლიჯეს. მამუკა ხაზარაძეზე ჩვენ სალაპარაკო ბევრი გვექნება, მაგრამ აქვე გეტყვით, რომ მან დღევანდელ ხელისუფლებასთან სცადა დაწოლა, მაგრამ მოსთხოვეს სააკაშვილის ოფშორების მისამართების დასახელება და მუცელში ენა ჩაიგდო. მამუკა ხაზარაძეს ეს რომ ეთქვა, სააკაშვილი ზურაბ ჟვანიასავით გააგორებდა!



„ალეკო ელისაშვილს პარტია ვანო მერაბიშვილმა შეუქმნა!“

**— ანა ნაცვლიშვილი საიდანღა გამოჩხრიკეს?**

— აგენტ **ანა ნაცვლიშვილის** პოლიტიკური კარიერა დაკავშირებულია აგენტ **სანდრა რულოვსთან,** რომელიც საქართველოში კურირებდა „წითელ ჯვარს“ — მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ სპეცსამსახურს. „წითელ ჯვარში“ **სანდრა რულოვსი** ადამიანის ორგანოებით ვაჭრობასა და მედიკამენტების ბიზნესს ხელმძღვანელობდა. თავდაპირველად **ანა ნაცვლიშვილი** „წითელი ჯვრის“ იურიდიულ სამსახურში სტაჟიორად მიიღეს, ხოლო შემდეგ, როცა აგენტად გაიხადეს, გადაისროლეს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“, რომელიც ასევე აგენტურის ბუნაგს წარმოადგენს. სწორედ აქ გაუსინჯა მან გემო ლიბერასტების მილიონებს და გახდა უსამშობლო აგენტი!

**— ვინ არის ალეკო ელისაშვილი?**

*გაგრძელება მე-20 გვერდზე*

# ლაზარე ჟორბენაძე:

# აგენტ ანა ნაცვლიშვილის პოლიტიკური კარიერა დაკავშირებულია აგენტ სანდრა რულოვსთან!

დასაწყისი მე-19 გვერდზე





— როგორც გინდა, გაგიკვირდეთ, **ალეკო ელისაშვილი** ვანო მერაბიშვილის პროექტია და პარტიაც მან შეუქმნა ბიძინა ივანიშვილის სალანძღავად. ძველ თბილისში ფონდი „ქართუ" რასაც კი კარგს გააკეთებდა, გამოხტებოდა „თბილისის ჰამქრის" უსტაბაში ალეკო ელისაშვილი და ლანძღავდა ივანიშვილს. სწორედ ეს დაუფასეს და თბილისის საკრებულოში შეათრიეს, ხოლო მერე პარლამენტშიც ამოაყოფინეს თავი. ადრეც გითხარით და კიდევ ერთხელ ვიმეორებ — **ალეკო ელისაშვილი და მამუკა ხაზარაძე „სომხური ლობის" მიერ იმართებიან, ამიტომაც შეარიგეს და დასვეს ერთად!**

**— დავით გამყრელიძე საიდანღა ამოთხარეს, ხაზარაძეს რომ მიუსვეს გვერდით?**

— **დავით გამყრელიძის** მატარებელმა შევარდნაძისა და სააკაშვილის შემდეგ ჩაიარა! მას რომ სინდისი ჰქონდეს, პოლიტიკაში არ დაბრუნდებოდა, მითუმეტეს, როცა შევარდნაძემ სადაზღვევო კომპანია „ალდაგით" გამყრელიძეს დიდძალი ფული აშოვნინა. დავით გამყრელიძე, რომელსაც ეს ყველაფერი შერჩა, უკან, პოლიტიკაში არ უნდა მოტრიალებულიყო.

**— ზვიად ძიძიგური რატომღა ჩახტა გახარიას ნავში?**

— მან გათვალა, რომ „ქართულ ოცნებასთან" მოტივტივე **გახარია**, რომელიც საქართველოს მოქალაქეთა დიდ ნაწილს დღესაც „ქართული ოცნების" პროექტი ჰგონია, პარლამენტში შეიყვანდა. არადა, სინამდვილეში **გიორგი გახარია** არ არის „ქართული ოცნების" პროექტი და ის ნაცების სამსახურში დგას. ზვიად ძიძიგური ძალიან პრაგმატული კაცია, ის საპარლამენტო მანდატზე უარს არ იტყვის და პარლამენტში აუცილებლად შევა!

**— გუბაზ სანიკიძე ვინ არის?**

— გუბაზის დახასიათება არ შეიძლება, რადგან ეს კაცი დაუხასიათებლადაც დახასიათებულია!

**— ვინ არიან ნინო ლომჯარია და ეკა გიგაური?**

— **ნინო ლომჯარია, ეკა გიგაური, გიგა ბოკერია, ბათუ ქუთელია, თინა ხიდაშელი, დავით უსუფაშვილი, თამარ კორძაია და გიორგი მარგველაშვილი** საქართველოში წარმოადგენენ ამერიკის სპეცსამსახურების აგენტურის ელიტას და ყოველთვის გააკეთებენ იმას, რასაც ამერიკელები უბრძანებენ!

**— როგორ განვითარდება პოლიტიკური პროცესები და რას დაავალებენ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები თავიანთ ქართველ აგენტებს — პარლამენტში შეეთრიეთ თუ არ შეეთრიოთო?**

— თუ საქართველოს ხელისუფლება შეძლებს და ამ აგენტებს ვირის აბანოში მიაბრძანებს, მაშინ დასავლეთი და ამერიკა იძულებული გახდებიან, ნელ-ნელა მოკეტონ... შეგახსენებთ, სუს-ში კარგა ხანია, აღძრულია საქმე კონსტიტუციური წყობილების დამხობის მიზნით დანაშაულის მომზადების შესახებ, ხოლო გენერალურმა პროკურატურამ უკვე აღძრა საქმე არჩევნების შესაძლო გაყალბების მუხლით... ახლა ხელისუფლებას დარჩენილი აქვს ერთი ნაბიჯი — სუს-მა ეს ხალხი ნელ-ნელა უნდა წამოკრიფოს და გაუყენოს გლდანის ციხის გზას! როგორც კვალიფიციური იურისტი და ადვოკატი ვადასტურებ, რომ ამისთვის ყველა იურიდიული მდგენელი სახეზეა... **ყველამ კარგად დაიმახსოვროს — კონსტიტუციური წესრიგის დამხობის მომზადება, მიუხედავად იმისა, განხორციელდება ის თუ არა, მაინც სისხლის სამართლის დანაშაულია!**

ესაუბრა
**დიტო ჩუბინიძე**






**„დავით გამყრელიძე, რომელსაც ეს ყველაფერი შერჩა, უკან, პოლიტიკაში აღარ უნდა მოტრიალებულიყო!"**



*„— მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არც კი იცის, რომ პარტია, რომელიც ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების თუნდაც მხოლოდ 1 პროცენტს მოიპოვებს, 4 წლის განმავლობაში საქართველოს ბიუჯეტიდან ყოველწლიურად საკმაოდ მსუყე თანხას მიიღებს!" —* ***გვითხრა ორგანიზაცია „ერი და სახელმწიფოს" ლიდერმა ზვიად ტომარაძემ:***

— საპარლამენტო არჩევნებში მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, პოლიტიკური პარტიების საქართველოს ბიუჯეტიდან დაფინანსების საკითხს **„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ"** საქართველოს ორგანული კანონის **30-ე მუხლი** არეგულირებს. წინა არჩევნებში პარტიის პარლამენტში შესაღწევად **1-პროცენტიანი ბარიერი** იყო დაწესებული, შესაბამისად, ამ ბარიერის გადალახვა დაფინანსების მოპოვებას ნიშნავდა. შემდეგ საარჩევნო ბარიერი **5 პროცენტამდე** ასწიეს, მაგრამ ბიუჯეტიდან დაფინანსების რეგულაცია არ შეუცვლიათ, ძველებური დარჩა.

***მუხლი 30***

*1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა თანხა პარტიების საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერისა და პარტიული სისტემის განვითარებისთვის.*

*2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხას იღებს პარტია, რომელმაც საქართველოს პარლამენტის ბოლო არჩევნებში ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 1% მაინც მიიღო.*

*3. პარტია ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღებს თანხას საქართველოს პარლამენტის ბოლო არჩევნებში პირველი 50 000 ნამდვილი ხმის ფარგლებში მიღებული თითოეული ხმისთვის* ***15 ლარის,*** *ხოლო თითოეული შემდგომი მიღებული ნამდვილი ხმისთვის —* ***5 ლარის*** *ოდენობით.*

*4. პარტია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას მიიღებს შესაბამისი მოწვევის საქართველოს პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შეძენის მეორე დღიდან მომდევნო მოწვევის საქართველოს პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შეძენის დღემდე.* ***პარტიას უფლება აქვს, მისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების უფლების წარმოშობიდან 1 თვის ვადაში უარი თქვას ამ დაფინანსების მიღებაზე. ამისთვის მან სათანადო წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.***

*5. პარტია კარგავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების უფლებას, თუ ამ პარტიის წარდგენით არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრთა ნახევარს ან ნახევარზე მეტს ვადამდე შეუწყდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება და შეუძლებელია მისი/მათი ადგილმონაცვლე იმდენი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობა, რომ აღნიშნული პარტიის წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთა რაოდენობა იმავე პარტიის მიერ მიღებული პარლამენტის წევრთა მანდატების ნახევარზე მეტი იყოს. ამ გარემოების წარმოშობის შემთხვევაში პარტიას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება შეუწყდება მომდევნო კალენდარული თვის პირველი დღიდან.*

## რა მიზნით მონაწილეობენ საპარლამენტო არჩევნებში ისეთი პარტიები, რომელთაც პარლამენტში შესაღწევად 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვის შანსი არ გააჩნიათ?



## კვირგვინოსნები

**ალეკო ელისაშვილი**
*კოალიცია „ძლიერი საქართველოსთვის" წევრი*



მინდა, **გახარიას** კაცურადაც და ადამიანურადაც ვუთხრა — **პრანჭვის დრო არ არის, ერთად დგომის დროა.** გულზე ხელი დავიდოთ, **ახლაც დიდად არ გვეხატება ერთმანეთი,** მაგრამ ოთხი პოლიტიკური პარტია და კოალიცია, რომელმაც გადალახა ბარიერი, ვალდებული ვართ, ბრძოლაში ვიყოთ ერთმანეთის მხარდამხარ. **ამათ რომ დავამარცხებთ, მერე დავერიოთ, ერთმანეთის ლანძღვაში კი ვართ მსოფლიო ჩემპიონები.**

„აიპრესი"

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*



კონსტიტუციის თანახმად, **პარლამენტი უფლებამოსილია, შეიკრიბოს, თუ მას ესწრება 150 წევრიდან სრული შემადგენლობის უმრავლესობა — 76 დეპუტატი.** ცესკოს წინასწარი მონაცემებით, „ქართულ ოცნებას" **89 მანდატი** აქვს. ამდენად, **არ გაუჭირდებათ პირველი სხდომის მოწვევა.**

„ახალი თაობა"

**ნინო ლომჯარია**
*პარლამენტარი*



ოპოზიციის მიერ **მანდატებზე უარი იქნება თავიანთი ამომრჩევლის ღალატი,** ჩვენთვის კი იმ დაპირების შესრულება, რომელიც **კოლექტიური ნაცმოძრაობის პოლიტიკიდან ჩამოშორებას** გულისხმობს.

„პირველი არხი"



# ზვიად ტომარაძე: არჩევნებში მონაწილეობა არ შეიძლება, ბიზნესის წყაროდ გადაიქცეს!

## პოლიტიკური პარტიების წლიური საბიუჯეტო დაფინანსება 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით




*6. პარტია შესაბამისი მომდევნო 6 კალენდარული თვის საბიუჯეტო დაფინანსებას ვერ მიიღებს, თუ მისი წარდგენით არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრთა ნახევარზე მეტი პარლამენტის შესაბამისი წინა მორიგი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრება პარლამენტის მორიგი პლენარული სხდომების ნახევარზე მეტს. ამ გარემოების წარმოშობის შემთხვევაში პარტიას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება შეუჩერდება მომდევნო კალენდარული თვის პირველი დღიდან.*

**— არჩევნების შედეგიდან და ამ კანონიდან გამომდინარე, ბიუჯეტიდან რომელი პარტიები დაფინანსდებიან?**

— ეს ზუსტად მას მერე გაირკვევა, როდესაც საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგები გამოცხადდება. კანონის თანახმად, **ცესკოს** საბოლოო დასკვნა არჩევნებიდან **26-ე დღემდე,** ამ შემთხვევაში, **21 ნოემბრამდე** უნდა დადოს. პარლამენტის წევრთა მანდატები იმ პოლიტიკურ პარტიებზე განაწილდება, რომელთაც არჩევნებში ხმების, მინიმუმ, **5 პროცენტი** ექნებათ მოპოვებული. არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების რაოდენობაში ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა არ ჩაითვლება.

საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო **2 060 412 ამომრჩეველმა,** რაც ამომრჩეველთა მთლიანი რაოდენობის **58,94%**-ს შეადგენს.

1-პროცენტიან ბარიერგადალახული პოლიტიკური პარტია არჩევნებზე მიღებულ თითოეულ ხმაზე **15 ლარს** მიიღებს. ოღონდ, თუ პარტიას 50 ათასზე მეტმა ამომრჩეველმა მისცა ხმა, მაშინ 50 ათას თითოეულ ხმაზე — 15 ლარს, ხოლო 50 ათასზე ზემოთ მიღებულ თითოეულ ხმაზე 5 ლარს მიიღებს.

**— წინასწარი მონაცემებით, კონკრეტული პარტიები რა რაოდენობით თანხას მიიღებენ ყოველწლიურად, 4 წლის განმავლობაში?**

— პარლამენტში შევიდა **5 კოალიცია,** თუმცა, დაფინანსებას მიიღებს **7 კოალიცია.** დანარჩენებმა დაფინანსებისთვის საკმარისი 1-პროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახეს.

**პარლამენტში შესული 5 პარტიის დაფინანსება ამნაირად გადანაწილდა:**

1. **„ქართულმა ოცნებამ“** 1 119 908 ხმა (53,9%) მიიღო, შესაბამისად, ის მიიღებს პირველ 50 ათას ხმაზე — 15 ლარს **(750 000);** ამას დაემატება დანარჩენ თითოეულ ხმაზე 5 ლარი, ანუ 1 069 908 ხმა გამრავლებული 5-ზე **(5 349 540)** და ჯამში გამოდის **(5 349 540+750 000)** — 6 099 835 (6 მილიონ ოთხმოცდაცხრამეტი ათას რვაას ოცდათხუთმეტი) ლარი. ამ თანხას მიიღებს ყოველწლიურად, 4 წლის განმავლობაში.

მაგრამ ამ ციფრს კიდევ ემატება ბონუსები, რასაც საარჩევნო სიაში ქალების რაოდენობა განაპირობებს. ასეთი ბონუსები ყველა პარტიას დაემატება.

ანალოგიური გამოთვლით დგინდება სხვა პარტიების მიერ მოპოვებული დაფინანსებაც:

2. **„კოალიცია ცვლილებებისთვის“** (11% — 229 109 ხმა) — ყოველწლიურად 1 645 815 (მილიონ ექვსას ორმოცდახუთი ათას რვაას თხუთმეტი) ლარი;

3. **ნაციონალური მოძრაობა** (10,1% — 211 099 ხმა) — ყოველწლიურად 1 555 650 (მილიონ ხუთას ორმოცდათხუთმეტი ათას ექვსას ორმოცდაათი) ლარი;

4. **„ძლიერი საქართველო“** (8,8% — 182 904 ხმა) — ყოველწლიურად 1 414 775 (მილიონ ოთხას თოთხმეტი ათას შვიდას სამოცდათხუთმეტი) ლარი;

5. **„გახარია საქართველოსთვის“** (7,7% — 161 284 ხმა) — ყოველწლიურად 1 306 635 (მილიონ სამას ექვსი ათას ექვსას ოცდათხუთმეტი) ლარი.

რაც შეეხება კიდევ 2 პარტიას, რომლებმაც საარჩევნო ბარიერი (5%) ვერ დაძლიეს, თუმცა, გადალახეს ბიუჯეტიდან დაფინანსებისთვის საკმარისი ბარიერი (1%), ისინი მიიღებენ:

1. **„გირჩი“** (3% — 62 304 ხმა) — ყოველწლიურად 811 670 (რვაას თერთმეტი ათას ექვსას სამოცდაათი) ლარი;

2. **„პატრიოტთა ალიანსი“** (2,4% — 50 584 ხმა) — ყოველწლიურად 752 985 (შვიდას ორმოცდათორმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდახუთი) ლარი.

**— რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ბიუჯეტის, ანუ ხალხის ჯიბიდან არჩევნებში მონაწილე სუბიექტების დაფინანსების წესი?**

— არჩევნებში მონაწილეობა არ შეიძლება ბიზნესის წყაროდ იქცეს. მიმაჩნია, რომ ჩვენნაირ გაჭირვებულ ქვეყანაში, სადაც სოციალური დახმარებით ნახევარი მილიონი მოქალაქე, აქედან 155 ათასი ბავშვი სარგებლობს, პოლიტიკური ორგანიზაციები სახელმწიფოს ხარჯზე საერთოდ არ უნდა ფინანსდებოდნენ, არამცთუ — მილიონებით. დაფინანსებისთვის უნდა კმაროდეს შემოწირულობა, რასაც მომხრეები ნებაყოფლობით იღებენ პარტიის სასარგებლოდ. ეს შესაბამისად დაარეგულირებდა ქვეყანაში პარტიების რაოდენობასაც, რადგან იმ პარტიებს, რომლებსაც მოსახლეობაში საკმარისი მხარდაჭერა არ ექნებოდათ, არსებობას უბრალოდ შეწყვეტდნენ. **ბიუჯეტიდან დაფინანსების მოპოვება საკმაოდ მიმზიდველი საცდურია პოლიტიკური პარტიებისთვის.** ამომრჩეველთა 1% უტოლდება 20 ათას ხმას და თუ პარტია ამდენს აიღებს, გარანტირებულად მოიპოვებს წელიწადში 300 ათას ლარს, რაც 4 წლის განმავლობაში 1 200 000 (მილიონ ორასი ათასი) ლარია.

**— ანუ 4 წლის განმავლობაში პარტიული ელიტები ნებივრობას, მოგზაურობას, ხინკალს და ხაჭაპურს არ დაიკლებენ? ნაცები საერთოდ უნდა აგვეკრძალა, როგორც დამნაშავე პარტია... არადა, მომავალ 4 წელიწადში ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 1 555 650 (საერთო ჯამში, 4 მილიონ-ნახევარზე მეტს) ლარს მივართმევთ?**

— ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება უნდა ხმარდებოდეს პარტიის წევრთა ხელფასებს, ოფისის ქირას, საკანცელარიო, სარეკლამო და სხვა პარტიულ ხარჯებს. ამ თანხის ხარჯვას კანონი არეგულირებს და სახელმწიფოს მხრიდან კონტროლდება, თუმცა, არც ისე მკაცრად, რომ იმ პარტიების ლიდერებმა, რომლებსაც სახელმწიფოებრივი თვითშეგნება არ გააჩნიათ, უარი თქვან მსუყე საცდურზე. **ყველამ კარგად ვიცით, რომ სარეკლამო და ნებისმიერი სხვა ხარჯებიდანაც ჩვენს დროში ჯერ კიდევ თავისუფლად შეიძლება „ატკატების“ გაკეთება.** ამიტომაც საზოგადოებაში ჯერ კიდევ ბევრი სულმდაბალი ადამიანია, რომლებიც პოლიტიკურ პარტიას ქვეყნის სამსახურში ჩადგომის კი არა, ბიუჯეტიდან დაფინანსების მოპოვების მიზნით ქმნიან, არჩევნებშიც ამ მიზნით მონაწილეობენ.

**— პარტიული სისტემის ასეთი მოდელი, რომელიც მმართველობის შესაბამისი ფორმის საფუძველია და ქვეყანაში მუდმივ ქაოსს განაპირობებს, თავის დროზე მიხეილ სააკაშვილმა დაამკვიდრა.**

— ეს მოდელი — სრული პროპორციული სისტემა — დაუყოვნებლივ შესაცვლელია. ჩვენთვის ამ შემთხვევაში ამერიკული მოდელია უფრო მისაღები, სადაც პარტიებს კი არ ირჩევენ კონგრესსა და სენატში, არამედ — მაჟორიტარ კანდიდატებს. საქართველოს პარლამენტში 150 დეპუტატი ძალიან ბევრია. 100 დეპუტატიც საკმარისი იქნება, თუ მთლიანად მაჟორიტარული პრინციპით იქნებიან არჩეულები. ამომრჩეველი მისთვის უცნობი ბიოგრაფიის მქონე წევრებით დაკომპლექტებულ პარტიას კი არ უნდა აძლევდეს ხმას, არამედ უნდა ირჩევდეს კონკრეტულ ღირსეულ კანდიდატს, რომლის საქმიანობას და ბექგრაუნდს ზედმიწევნით იცნობს.

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## „ამომრჩეველთა 1 პროცენტი უტოლდება 20 ათას ხმას და თუ პარტია ამდენს აიღებს, გარანტირებულად მოიპოვებს წელიწადში 300 ათას ლარს, რაც 4 წლის განმავლობაში 1 200 000 ლარია!“

## კვირგვინოსნები

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*



შესაძლოა, იზოლაციაში აღმოვჩნდეთ, **თუკი დასავლეთის ქვეყნები გადაწყვეტენ, რომ საქართველოში ხელისუფლება შეცვალონ.** მთელი ეს პროცესი ამისკენ მიდის. **მათ არ აინტერესებთ,** ქართველმა ხალხმა ვინ აირჩია, **მათ აინტერესებთ,** ხელისუფლებაში იყოს ის, ვინც აწყობთ.

„რეზონანსი“

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



არა მგონია, დასავლეთმა არ აღიაროს არჩევნები, **ეს ნიშნავს, საქართველოს სხვა მიმართულებით უბიძგო ხელი.** რუსეთის თემა აქ გამორიცხულია, იმიტომ, რომ ვერცერთი პოლიტიკური ძალა, მათ შორის, „ქართული ოცნება“, **დღევანდელ ვითარებაში პრორუსულ პოლიტიკას საქართველოში ვერ გაატარებს.**

„კვირის პალიტრა“

**თინა ბოკუჩავა**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



ერთადერთი რაციონალური მოთხოვნა არის **ხელახალი არჩევნები,** რომელსაც ჩაატარებს **საერთაშორისო აქტორებით დაკომპლექტებული საარჩევნო ადმინისტრაცია.**

„პირველი არხი“

**ლევან ცუცქირიძე**
*კოალიცია „ძლიერი საქართველოსთვის“ წევრი*



**მე არ ვიქნები პარლამენტში,** სადაც უმრავლესობაში უსამართლოდ იქნება „ქართული ოცნება“ — **ეს არჩევნები მოიგო ოპოზიციამ.**

„ინტერპრესნიუსი“

**ლევან სანიკიძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ პრესსპიკერი*



26 ოქტომბერს **საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა** — ჩვენი ხალხის ურყევი ნება არის ნიველირებული, **არჩევნები არის ჩატარებული „ეფესბეს“ მიერ.**

„ახალი თაობა“

# რა უნდა იცოდეს ქართველმა

*დასაწყისი იხ. „ა–დ“, 2024 წლის №29–45*

***აფსუების, როგორც გენეტიკითა და ტრადიციებით ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან დაკავშირებული და მოგვიანებით საქართველოში ჩამოსახლებული ხალხის შესახებ ბიზანტიურ, არაბულ, სპარსულ, სომხურ, ევროპულ თუ რუსულ წყაროებში არაერთი მნიშვნელოვანი ცნობა მოგვეპოვება.***



## გიორგი შარვაშიძე აფსუებს:

## ვიცი, ზოგიერთებს არ მოეწონებათ ჩემი ასეთი აზრი, რადგან ისინი მოსკოვისაკენ იყურებიან, მე კი – თბილისისაკენ. სხვა გზა არ არის და არც ყოფილა აროდეს აფხაზეთისათვის, გარდა საქართველოსთან მჭიდრო კავშირისა და მასთან ყოფნისა განუყრელად ჭირში და ლხინში!

ამ ცნობების მნიშვნელოვან ნაწილს ჩვენ უკვე გავეცანით, მაგრამ აქამდე არაფერი გვითქვამს ცნობილი გერმანელი მოგზაურის **იოჰან ანტონ გიულდენშტედტის** (1745-1781 წ.წ.) შესახებ, რომელიც საქართველოში 1771 წლის სექტემბერში ჩამოვიდა და 1772 წლის ოქტომბრამდე ქართლი, კახეთი, რაჭა, იმერეთი, სამეგრელო შემოიარა. გიულდენშტედტი პირადად იცნობდა სახელოვან ქართველ მეფეებს — **სოლომონ პირველსა და ერეკლე მეორეს...** 1772 წლის აგვისტო-ოქტომბერში ის სამეგრელოსა და იმერეთში იმყოფებოდა.

**გიულდენშტედტი** მსოფლიოში ერთ-ერთ პოპულარულ, უაღრესად განათლებულ და სანდო ავტორად არის აღიარებული, რომელმაც საქართველოში პირველმა მიაქცია ყურადღება უძველეს ქართულ ეპიგრაფიკულ წარწერებს და თბილისიდან, გრემიდან, თელავიდან, ანანურიდან, გელათიდან და სხვა უმნიშვნელოვანესი ძეგლებიდან ეს წარწერები შემოგვინახა. გერმანელი მეცნიერი და მოგზაური საგანგებოდ ახსენებს აფხაზეთსა და აფხაზებს და საქართველოში თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს ერთგან ასე აყალიბებს: *„საქართველო მდებარეობს კავკასიონის ქედის სამხრეთით, ორ ზღვას შუა. აღმოსავლეთით კასპიის ზღვა აკრავს, ხოლო დასავლეთით — შავი ზღვა.* ***აფხაზეთის*** *მოსახლეობას ქართულად ეწოდება* ***აფხაზი,*** *ხოლო მრავლობით რიცხვში —* ***აფხაზები... აფხაზეთში*** *ოთხი მნიშვნელოვანი ადგილია: 1.* ***ანაკლია*** *— ციხე-სიმაგრე მდინარე ენგურის შესართავთან, ოდიშის საზღვართან;* ***2. ანაკოფია*** *— დედაქალაქი ზღვასთან, ქვეყნის შუაგულში; 3.* ***მოგვი*** *და არა* ***მოქვი*** *— ცნობილი მონასტერი, რომელიც ანაკლიასა და ანაკოფიას შორის მთაზე მდებარეობს; 4.* ***ბიჭვინთა*** *და არა* ***ბისციუნტა*** *— მთავარი მონასტერი და ადრინდელი რეზიდენცია სრულიად საქართველოსა და აფხაზეთის პატრიარქისა, რომელიც ახლა გელათშია გადატანილი; ეს პუნქტი მდებარეობს მდინარე* ***კაბეტის*** *და არა* ***კაპეტის*** *სამხრეთ შენაკადთან და წარმოადგენს ჯიქეთის საზღვარს. ამ მდინარის შენაკადებთან მაღალ ალპებში უნდა ცხოვრობდნენ სონები, ანუ სვანები... ქართველები ამ კავკასიურ პროვინციას უწოდებენ* ***აფხაზეთს*** *და* ***აფხაზებს...*** *ასევე უწოდებენ მის მაცხოვრებლებსაც, რომლებიც თავიანთ თავს* ***აბასებს*** *ეძახიან.* ***მცირე აფხაზეთი,*** *რომელიც ზოგიერთი რუკის მონაცემებით მდებარეობს მდინარე ყუმის ახლოს, სავარაუდოდ, წარმოდგება აფხაზური სოფლისგან, რომელიც ჩერქეზეთშია გადასახლებული.* ***აფხაზეთი*** *დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს ეკუთვნოდა!“*

დავიწყოთ იმით, რომ იქ, სადაც **გიულდენშტედტი** ჩერქეზეთში გადასახლებულ **აფხაზებზე** საუბრობს, სავარაუდოდ, ნაგულისხმევი უნდა იყოს 1569 წლის შემდეგ განვითარებული პროცესები, როცა **აფსუების** ერთ-ერთი ტომი — **ბუძუკები** დღევანდელი ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით დასახლდნენ.

რაც შეეხება ქართველების მიერ ეთნიკური აფსუების **აფხაზებად** გადანათვლისა და გასაღების პროცესს, როგორც ჩანს, ყოველივე ამას იმაზე უფრო ხანგრძლივი და დიდი ხნის ისტორია აქვს, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აფსუების **აფხაზებად** გადანათვლა თითქმის ყოველთვის საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ემსახურებოდა, როცა საქმე მაღალზნეობრივ, კეთილშობილ, განათლებულ და, რაც ყველაზე მთავარია, ღირსეულ **აფსუებს** ეხებოდათ, მაგრამ, როგორც კი **ვლადისლავ არძინბასა** და მისი მსგავსი აგენტები, ანუ იმპერიის სამსახურში მუცელზე მხოხავი მონები ავანსცენაზე შემოჰყავდათ და ისინი აფსუებისა და ქართველების ურთიერთობაში ერეოდნენ, მაშინ იწყებოდა უბედურება.




სწორედ ეს უბედურება დაგვემართა 1992 წლის 14 აგვისტოს, როცა ამერიკული ცერეუს აგენტმა **ედუარდ შევარდნაძემ** და საბჭოთა კაგებეს აგენტმა **ვლადისლავ არძინბამ** შეასრულეს ორი ბინძური იმპერიის დავალება და საქართველო საშინელი ომის ქარცეცხლში გახვიეს. თუ რა მიზნებს ისახავდა **შევარდნაძე** აფხაზეთის ომით, ამის შესახებ ჩვენ არაერთხელ დაგვიწერია... მისი უპირველესი მიზანი გახლდათ, სოხუმში უმძლავრესი ზვიადისტური პლაცდარმის მოშლა და იმ საპროტესტო მოძრაობის ჩახშობა, რომელსაც აფხაზეთში მცხოვრები ქართველობა თბილისში ამერიკელებისა და რუსების სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერით მოკალათებულ ხუნტას უცხადებდა. **სამწუხაროდ,**

**შევარდნაძემ აფხაზეთში ომის აჩეხით თავისი ჩანაფიქრი შეისრულა და სოხუმში, სადაც მიტინგები და საპროტესტო აქციები არ ცხრებოდა, წინააღმდეგობის მოძრაობა ტანკებით ჩაახშო.**

## 1996 წელს არძინბას სეპარატისტულმა რეჟიმმა დაბეჭდა ე.წ. აფხაზური მარკა, რომელზეც, ბედის ირონიით, სწორედ გიორგი შარვაშიძეა გამოსახული!



**აფსუა ენათმეცნიერის, ფოლკლორისტისა და ეთნოგრაფის ხუხუტი ბღაჟბას განცხადებით, გიორგი შარვაშიძე, რომელიც 1846 წელს დაიბადა და 1918 წელს გარდაიცვალა, „პირველი აფხაზი მწერალია!“**

ამ საქმეში სხვა მოღალატეებთან ერთად **ედუარდ ამბროსოვიჩს** დიდი სამსახური გაუწია სოხუმის უნივერსიტეტის შვიდმა პროფესორმა, რომელთაგან ერთ-ერთი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი და საკაშვილ-გვარამიას მიერ შექმნილი ნაცხლისტური სექტის ერთ-ერთი გულმხურვალე მხარდამჭერი **ზურაბ პაპასქირი** გახლავთ. **1992 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში, როცა სოხუმის უნივერსიტეტის მთელი პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები გაიფიცნენ და შევარდნაძის პირსისხლიან ხუნტას ბოიკოტი გამოუცხადეს, პროფესორი ზურაბ პაპასქირი დანარჩენ ექვს მოღალატესთან ერთად უნივერსიტეტის აუდი-**

## კვირგვინოსნები

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



პარტიები პარლამენტში თუ შევლენ, **პოლიტიკურ ცხოვრებას დაასრულებენ!** ოპოზიციის შეცდომაა, ამომრჩეველთა სიები რომ არ გადაამოწმა. **მეტი უნდა ემუშავათ, მეტი კომუნიკაცია უნდა ჰქონოდათ ამ ქვეყნის მოქალაქეებთან.**

„ახალი თაობა“

**მირიან მირიანაშვილი**
*ექსპერტი*



იმისთვის, რომ დავადანაშაულოთ „ოცნება“ გაყალბებაში, **სულ ცოტა, ოლქების 10-15 პროცენტის გაყალბების მტკიცებულება უნდა წარმოვადგინოთ,** როგორც ვენესუელის ოპოზიციამ გააკეთა. სად არის ეს დოკუმენტები?!

„კვირის პალიტრა“

**ზურაბ ბატიაშვილი**
*კონფლიქტების მკვლევარი*



აღმოსავლეთში კონფლიქტები მუდმივად იყო, მაგრამ ახლა დუღილის ტემპერატურამ ძალიან აიწია... **თუ დიდი ომი იქნება და მოსახლეობის დიდი ნაწილი დევნილებლად დაიძვრება, ჩვენც შეგვექმნება პრობლემა.** არავინ იცის, საით წავა ის ხალხი. **ირანმა შეიძლება რაკეტები გაუშვას არამხოლოდ ისრაელისკენ, არამედ მეზობელი ქვეყნებისკენაც.**

„კვირის პალიტრა“

**დიმიტრი ლორთქიფანიძე**



ამ წლის დეკემბერში **საპრეზიდენტო არჩევნები** უნდა გაიმართოს. მჯერა, „ქართული ოცნების“ მიერ დასახელებული **პრეზიდენტობის კანდიდატი** სერიოზული ცენზის მატარებელი იქნება, რათა შემდგომში მან **დენაციფიკაციის პროცესს** მეტი პოლიტიკური წონა შესძინოს. **სასურველია, პრეზიდენტად ბიძინა ივანიშვილი იქნას არჩეული.**

„საერთო გაზეთი“

# აფხაზეთის, აფხაზებისა და აფსუების შესახებ?

**ტორიიდან არ გამოდიოდა და სოხუმში შევარდნაძის ტანკების შეჯირითებას ელოდა — ედუარდ მხსნელი მოვა და გვიშველისო!**

პროფესორ **ზურაბ პაპასკირისა** და მისთანების გასაგონად ვიტყვით, რომ როგორც საქართველოს უშველა შევარდნაძემ, ისე ეშველება აწ განსვენებულ **ანზორ გვარამიას,** რომელსაც შვილმა გულზე ძაღლი დაამარხა.

მივუბრუნდეთ **აფსუების აფხაზებად** გადანათვლის ტენდენციას და ამ ისტორიის ისეთ ბრწყინვალე გამოვლინებას, როგორიც გახლდათ გულმხურვალე მამულიშვილი და ქართველი და აფსუა ერის სახელოვანი წარმომადგენელი, უბრწყინვალესი თავადი **გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე** (1846-1918 წ.წ.), რომლის შესახებაც ჩვენ ადრეც ვისაუბრეთ.

ცნობილია, რომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი **მიხეილ შარვაშიძე** (1806-1866 წ.წ.), ანუ იგივე ჰამუთ-ბეი, ეთნიკურად ქართველი არ ყოფილა, აფსუა იყო და უბიხებთან გახლდათ გაძიძავებული. მისი დედა გახლდათ სამეგრელოს მთავრის **კაცია მეორე დადიანის** (1757-1788 წ.წ.) ასული **თამარ დადიანი. მიხეილ შარვაშიძესაც,** ანუ ჰამუთ-ბეისაც დადიანის ქალი — **ცუცა დადიანი** ჰყავდა ცოლად და სწორედ ამ ქორწინებიდან იშვა ქართველი და აფსუა პოეტი და მწერალი, დიდებული მამულიშვილი, თერგდალეულთა იდეების თაყვანისმცემელი და ილიასა და აკაკის მეგობარი **გიორგი შარვაშიძე** (1846-1918 წ.წ.).

**გიორგი შარვაშიძემ** გერმანულ გაზეთ „ბერლინერ თაგებლათს“ საპროტესტო წერილი გაუგზავნა, სადაც მან ქართველი და აფსუა ერის ინტერესები გულმხურვალედ დაიცვა; ხოლო ერთ-ერთ წერილში ივერიას პირდაპირ უწოდა **სამშობლო** და ევროპას კიდევ ერთხელ შეახსენა, თუ რას წარმოადგენდა სინამდვილეში ძველისძველი საქართველო და მისი საარაკო კულტურა. გასაოცარია, მაგრამ **გიორგი შარვაშიძის** ამ წერილს აქტუალობა დღეს, საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგაც, არ დაუკარგავს და იმ ფონზე, როცა ევროპელი თუ ამერიკელი რევიზორები და ჭკუის მასწავლებლები საქართველოს უკრაინის ომის ქარცეცხლისკენ ექაჩებიან, უბრწყინვალესი თავადისა და ნომერ პირველი აფსუასა და ქართველის **გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძის** უკვდავი სიტყვები ძალუმად შეგვახსენებს, თუ ვისი გორისანი ვართ!

აი, ამონარიდი მისი გახმაურებული წერილიდან: *„ჩვენს სამშობლო ივერიას ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია. მაგრამ ჩვენი წარსული ისეთ ჟამს გაშეშდა, რომ დაგვებნა ბუნებრივი ევოლუციის შარა და კანონი. დიაღ, ჩვენ შეგვიძლია თამამადაც ვთქვათ, რომ იღბალის უკუღმართობას ხელი არ შეეშალა, ევროპის წინათაც ვიქნებოდით ჩვენ დღეს; ვინაიდან, როდესაც ანდრია მოციქული აქ ქრისტეს მცნებას გვიქადაგებდა, ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა, შუბებით ხელში ნადირობდნენ ტყეებში!“*






## სხვა მოღალატეებთან ერთად ედუარდ ამბროსოვიჩს დიდი სამსახური გაუწია სოხუმის უნივერსიტეტის შვიდმა პროფესორმა!

1917 წლის 28 თებერვალს, როცა რუსეთში რევოლუცია მოხდა და იმპერატორი **ნიკოლოზ მეორე** ტახტიდან ჩამოაგდეს, იმპერიაში პოლიტიკური ვითარება აირია. აფსუებმა, როგორც ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებულებმა, დრო იხელთეს, სოხუმში ე.წ. **„აფხაზი ხალხის საბჭო“** შექმნეს და მზერა თბილისისკენ კი არა, საიდანაც ჩამოვიდნენ, ისევ იქითკენ, კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასიისკენ მიმართეს. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, ნაციონალიზმით და ქართველთა სიძულვილით განსივებულმა აფსუებმა დანარჩენ საქართველოსთან კი არა, **ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკასთან** ერთად მოინდომეს ცხოვრება.

აქვე განვმარტავთ, რომ **ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკამ** 1918 წლის 11 მაისიდან 1920 წლის მარტამდე იარსება და ძირითადად მოიცავდა რუსეთის იმპერიის თერგისა და დაღესტნის ოლქებს, ასევე დაღესტნელებით, ჩეჩნებით, ინგუშებით, ბალყარელებითა და ყაბარდოელებით დასახლებულ ტერიტორიებს. მისი **ე.წ. პრემიერ-მინისტრი** გახლდათ რუსი გენერლისა და ნავთობმომპოვებლის, ცნობილი ჩეჩენი მილიონერის არცუ ჩერმოევის ვაჟი **ტაპა ჩერმოევი.**

**აფხაზი ხალხის საბჭოში** სულ უფრო და უფრო მზარდი ანტიქართული განწყობების ჩასაცხრობად აფსუებისა და ქართველების სიყვარულში დამაშვრალი უბრწყინვალესი თავადი **გიორგი შარვაშიძე** 1917 წლის 8 ნოემბერს სოხუმში ე.წ. **საბჭოს** სხდომაზე მგზნებარე სიტყვით გამოვიდა და იქ შეკრებილ აფსუებს თავიანთ ენაზე მიმართა: *„თქვენ თქვენს უფროს ძმებს მიჰყევით, მათთან ერთად იმოქმედეთ და იბრძოლეთ თავისუფლების მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად. ვიცი, ზოგიერთებს არ მოეწონებათ ჩემი ასეთი აზრი, რადგან ისინი მოსკოვისაკენ იყურებიან, მე კი — თბილისისაკენ. სხვა გზა არ არის და არც ყოფილა აროდეს აფხაზეთისათვის, გარდა საქართველოსთან მჭიდრო კავშირისა და მასთან ყოფნისა განუყრელად ჭირში და ლხინში!“*

ამავე გამოსვლაში **გიორგი შარვაშიძე** ყოველმხრივ ცდილობდა, აფსუებისთვის შეეგონებინა, რომ ქართველებთან დაპირისპირება მცირერიცხოვან ერს კარგს არაფერს მოუტანდა. უგანათლებულესი აფსუა მთავარი, რომელსაც დედა უკეთილშობილესი ქართველი ქალი — **ალექსანდრა (ცუცა) დადიანი** ჰყავდა, თვისტომ აფსუებს იმ „ყრილობაზე“ უხატავდა საბჭოთა რუსეთში მიმდინარე ურთულესი სამხედრო-პოლიტიკური პროცესების სურათს და აფსუებს დანარჩენ საქართველოსთან ძმურად თანაცხოვრებას ურჩევდა. საუბედუროდ, **აფსუებმა,** რომლებიც მართლაცდა მოსკოვისკენ იყურებოდნენ და იყურებიან, **გიორგი შარვაშიძის** დარიგება არ შეისმინეს... გაწბილებული თავადი იმ დღის შემდეგ **ე.წ. „ყრილობაზე“** აღარ მისულა... 1918 წლის 19 თებერვალს **გიორგი შარვაშიძე** სოხუმში გარდაიცვალა.

1996 წელს **არძინბას** სეპარატისტულმა რეჟიმმა დაბეჭდა **ე.წ. აფხაზური მარკა,** რომელზეც, ბედის ირონიით, სწორედ **გიორგი შარვაშიძეა** გამოსახული.

ასეა — კაცი, რომელიც აფსუებს ჩასჩიჩინებდა — **მე თბილისისკენ ვიხედები და თქვენ მოსკოვისკენ ნუ იხედებითო!** — სეპარატისტებმა თავიანთ მარკასა და ალამზე გამოსახეს.

ალბათ, ბედის ირონია და სწორედ წუთისოფლის ცრუ გამოცანაა ისიც, რომ ცნობილი აფსუა ენათმეცნიერის, ფოლკლორისტისა და ეთნოგრაფის **ხუხუტი ბღაჟბას** განცხადებით, **გიორგი შარვაშიძე,** რომელიც 1846 წელს დაიბადა და 1918 წელს გარდაიცვალა, **„პირველი აფხაზი მწერალია“.**

აღარაფერს ვამბობთ იმ კლოუნადის შესახებ, რომელიც **ხუხუტი ბღაჟბას** 1967 წელს „ნაშრომი“ აქვს გამოქვეყნებული — **„აფხაზური დამწერლობის ისტორიიდან“.**

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეუძლებელია, არ გავიხსენოთ ცნობილი აფსუა ბოლშევიკისა და ლენინის კარგი ნაცნობ-ამხანაგის **ნესტორ ლაკობას** სიტყვა 1924 წლის 8 მაისს საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-3 ყრილობაზე: *„თუ ისტორიული თვალსაზრისით მივუდგებით აფხაზებს, რა თქმა უნდა, აფხაზეთს არავითარი როლის შესრულება არ შეეძლო კაცობრიობის წინაშე, თუ გინდა იმის გამო, რომ ამ ხალხს არ გააჩნია არც თავისი ისტორია, არც დამწერლობა და ლიტერატურა!“*

**დიტო ჩუბინიძე**

## იოჰან ანტონ გიულდენშტედტი:

## აფხაზეთი დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს ეკუთვნოდა!



## კვირგვინოსნები

**მერაბ კოკოჩაშვილი**
*რეჟისორი*



დღეს ჩვენი ქალაქის განვითარების გეზი სწორედ **მახათას მთისკენ** მიდის. ძალიან მალე **ის გახდება ცენტრი, სადაც დიდი საზოგადოება მოიყრის თავს. მახათას მთაზე** უკვე დასრულებულია ტაძრის მშენებლობა, რომლის მრევლიც წლიდან წლამდე იზრდება. თუმცა, **იქ უნდა აშენდეს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრიც.** ეს გახდება ადგილი, რომელიც გააერთიანებს როგორც **რელიგიურ ტაძარს,** ისე **კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს.**

„კვირის პალიტრა“

**ამირან შალიკაშვილი**
*პანტომიმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი*



პირადად ჩემს ოჯახს შეეხო **სააკაშვილისა და უგულავას რეჟიმი, რომელმაც მამა მომიკლა! ამირან შალიკაშვილი** თეატრით ცხოვრობდა, მისთვის თეატრი სალოცავი იყო, თეატრი შვილი იყო და ზუსტად იქ დაარტყეს დანა, სადაც **ყველაზე დიდი ტკივილი მიაყენეს ამ ერთადერთი უნიკალური თეატრის გაყიდვით!** დღეს მშვიდობამ და მმართველმა პარტიამ **თეატრს დიდი მომავალი გაუხსნა,** ახალი თაობებისთვის უნიკალური თეატრი შენდება! **საერთოდ, არაფერი არ დგას მშვიდობისა და განვითარების წინ.**

„ახალი თაობა“

**ნინო ძოწენიძე**
*მომღერალი*



**მე არ ვარ აპოლიტიკური ადამიანი.** გოეთეს ნათქვამია — **აპოლიტიკურობა იდიოტობას უკავშირდებაო.** ქვეყნის ბედი მაღელვებს. მშვიდობა მინდა, სტაბილურობა და ევროპა.

„სარკე“



***ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი იმ პათოლოგიებს აღწერს, რომელიც ფეხის გაცივებას უკავშირდება და საგანგებოდ გვაფრთხილებს, რომ გაცივებული ფეხი ინფარქტთან და ინსულტთან პირდაპირ კავშირშია:***

**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩიჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო-ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან აარიდა. **„გულის ელექსირი ფორტე“ —** საიმედო დაცვა ინფარქტისა და ინსულტისაგან.




**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

## კახა საბახტარიშვილი:

# ჩვენი რჩევაა, ზამთრის ფეხსაცმელი ნახევარი ან ერთი ზომით დიდი იყოს!

— ფეხისა და ხელის სიცივე ხშირად სერიოზული პათოლოგიის მანიშნებელია და სრულებითაც არ არის კავშირში გარემო ტემპერატურასთან. ზამთარში ეს შესაძლოა, ჩვეულებრივი მოვლენაც იყოს, მითუმეტეს მაშინ, თუ ადამიანს არასათანადოდ აცვია, მაგრამ, როცა ზაფხულშიც იმავე სიტუაციასთან გვაქვს საქმე, ეს, დიდი ალბათობით, რომელიმე დაავადების პირდაპირი გამოხატულებაა.

**— მაინც რომელი დაავადების მანიშნებელია ხელ-ფეხის ქრონიკული სიცივე?**

— დავიწყოთ ფეხის სიცივით! თუ ადამიანი ახალგაზრდაა, ათეროსკლეროზული პროცესებისგან დაზღვეულია, მაგრამ ფეხზე მაინც მუდმივად სცივა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვრიცხოთ ფარისებრი ჯირკვლის პრობლემა. კერძოდ, როდესაც ფარისებრი ჯირკვლის ფუნქცია დაქვეითებულია, ანუ ქრონიკულ ჰიპოთირეოზთან გვაქვს საქმე, მაშინ ორგანიზმის მეტაბოლიზმი, ანუ ნივთიერებათა ცვლა, შენელებულია. ასეთ ადამიანებს, როგორც წესი, იოდის დეფიციტი აღენიშნებათ. იოდი კი ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების სინთეზისთვის აუცილებელი ელემენტია. შეიძლება ითქვას, რომ იოდის გარეშე ფარისებრი ჯირკვალი არ მუშაობს!

ზამთარში ფეხი აუცილებლად დათბუნებული უნდა გვქონდეს, განსაკუთრებით ეს ეხება ფეხის ტერფს, რადგან გულიდან ყველაზე მეტად არის დაშორებული და სისხლი ყველაზე გვიან მიეწოდება. **ბევრმა შესაძლოა, არ იცის, რომ ზამთარში ფეხის შემცივნება პირდაპირ კავშირშია ინფარქტთან და ინსულტთან!** კერძოდ, დადგენილია, რომ იანვარ-თებერვალში ივნის-სექტემბერთან შედარებით, ინფარქტითა და ინსულტით გარდაცვლილ ადამიანთა რიცხვი 30 პროცენტით მატულობს. 2018 წელს სერბმა მეცნიერებმა სენსაციური კვლევის შედეგები გამოაქვეყნეს. აღმოჩნდა, რომ ჰაერის ტემპერატურის დაწევა პლუს 4 გრადუს ცელსიუსიდან 0 გრადუს ცელსიუსამდე ინფარქტის განვითარების რისკს ათჯერ ზრდის!

**— მაინც რა არის ამის მიზეზი?**

— ზამთარში სიცივის გავლენით ჰაერი მკვრივდება და ატმოსფერული წნევაც მატულობს, რაც სისხლს ასქელებს, აბლანტებს და არტერიულ წნევას მაღლა სწევს. როცა სისხლი სქელდება, დიდია თრომბის წარმოშობის ალბათობაც, რომელმაც შესაძლოა, ინფარქტი და ინსულტი გამოიწვიოს. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ზამთარში ადამიანი, ფაქტობრივად, წყალს არ სვამს. არადა, დღეში 2 ლიტრამდე წყლის დალევა არამარტო ზაფხულში, არამედ ზამთარშიც აუცილებელია, რათა სისხლი არ გასქელდეს. ამიტომ **ფეხის გაცივებასა და ზამთარს განსაკუთრებით უნდა უფრთხილდნენ ისინი, ვისაც შესაძლოა, წნევა არ აწუხებს, მაგრამ ვენებზე პრობლემები აქვთ და აქედან გამომდინარე, თრომბის წარმოქმნის რისკ-ჯგუფში მოიაზრებიან.**

როცა ზამთარში ფეხი შემცივნებულია, კანის ზედაპირი მაქსიმალურად ცდილობს სითბოს შენარჩუნებას. ამ დროს სისხლძარღვები ვიწროვდება, ანუ სპაზმს განიცდის და არტერიული წნევაც მატულობს. ამიტომ ზამთარში მოტიტვლებული კოჭებით და საზაფხულო ბოტასებითა და კეტასებით სიარული კატეგორიულად დაუშვებელია! ზამთარში არამარტო ფეხი უნდა გვქონდეს დათბუნებული, არამედ ქუჩაში ხელთათმანის გარეშეც არ უნდა გავიდეთ, რადგან ხელისგულების გაცივება სისხლძარღვების სპაზმს იწვევს, რაც მომენტალურად გადაეცემა გულის კუნთს და შესაძლოა, სტენოკარდიული შეტევა განვითარდეს.

**— ზამთარში ხშირია შემთხვევა, როცა მაღალი ხარისხის, საგანგებოდ დათბუნებულ მაღალყელიან ფეხსაცმელშიც კი გვცივა. რატომ?**

— საზამთრო ფეხსაცმელი შესაძლოა, კარგად იყოს დათბუნებული, მაგრამ, თუ მასში ფეხი თავისუფლად არ გვაქვს და გვიჭერს, მაინც შეგვცივდება. მიზეზი ის არის, რომ ასეთი ვიწრო ფეხსაცმელი, რომელშიც ტერფი, ფაქტობრივად, გაჭედილია, სისხლის მიმოქცევას აფერხებს. აქედან გამომდინარე, სისხლს გულიდან ტერფამდე ჟანგბადი და საკვები ნივთიერებები შეფერხებით მიაქვს, რაც, ცხადია, სიცივის შეგრძნებას იწვევს. ფეხის სიცივეს ხშირად განაპირობებს არა ფეხსაცმლის ხარისხი, არამედ მისი ზომა... ამიტომ **ჩვენი რჩევაა, ზამთრის ფეხსაცმელი ნახევარი ან ერთი ზომით დიდი იყოს!** გავითვალისწინოთ ისიც, რომ ზამთრის წინდა ზაფხულის წინდასთან შედარებით ბევრად სქელია და თბილი. გვახსოვდეს, რომ არავითარ შემთხვევაში არ გავიკაროთ სინთეტიკური წინდები, რადგან ცივია და ზამთარში ადვილად ნესტიანდება. წინდა როგორც ზამთარში, ისე ზაფხულში, შალის ან ბამბისგან უნდა იყოს დამზადებული.

**— რა პათოლოგიებს იწვევს ზამთარში ფეხის გაცივება?**

— თუ ზამთარში ფეხი დაგვისველდა და გაგვიცივდა, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ გავცივდეთ და სურდო დაგვემართოს! საქმე ის გახლავთ, რომ ფეხის ტერფზე განლაგებულია რეცეპტორები, რომლებსაც სიცივე ააქტიურებს და წარმოშობილი იმპულსი პირდაპირ გადაეცემა ცხვირ-ხახის მიდამოს. ამ ზემოქმედების შედეგად ცხვირ-ხახაში არსებული იმუნური ბარიერი სუსტდება და ჩვენს ორგანიზმში ვირუსები და ბაქტერიები ადვილად ხვდება. ფეხის სიცივე განსაკუთრებით მამაკაცებში იწვევს ხშირ შარდვას. ამ პროცესის მეცნიერული ახსნა ასეთია — გაცივებული ფეხის კანის ზედაპირზე სისხლძარღვები ვიწროვდება, ორგანიზმი ცდილობს, სითბო შეინარჩუნოს და ამიტომ სისხლს ძირითადი ორგანოებისკენ გადაისვრის. ეს ორგანოებია: თავის ტვინი, გული, თირკმლები, ღვიძლი, კუჭ-ნაწლავი, ფილტვები და ა.შ. ასეთ







## კვირგვინოსნები



**გია როინიშვილი**
*მსახიობი*

**ყველაზე მართალი მე სცენაზე ვარ!**

„კვირის პალიტრა“



**თამარიკო ჭოხონელიძე**
*მომღერალი, გია როინიშვილის მეუღლე*

იყო პერიოდი, როცა **არ ვეკონტაქტებოდით ერთმანეთს,** მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც ჩემთვის და არც გიასთვის არაფერი გაწყვეტილა. მე ბევრი რამ გადავიტანე, შვილებისათვის ჩემი განცდები რომ არ მეჩვენებინა. ყველაფერი გავაკეთე, რომ ლაღებად გამეზარდა. **გია ჩემი ცხოვრების ნაწილია, როგორც სხეულის ნაწილს ვერ მოიშორებ, ისე ვერ განვაგდე გია ჩემი ცხოვრებიდან.**

„ახალი თაობა“



**გიორგი გასვიანი**
*მსახიობი*

ჩემთვის ყველა **გოიმი და ცუდი ტიპია,** ვინც ზიზღის ენით ელაპარაკება საზოგადოებას!

„ახალი თაობა“



**ნიკოლოზ რაჭველი**
*ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი*

**მინდა, მოვესწრო ეპოქას,** რომელშიც ჩემი თანამოქალაქეების უდიდესი უმრავლესობა, მათ შორის, ჩემი ახლობლებისა და, უბრალოდ, ნაცნობების სრული უმრავლესობა **პირად გარანტიებზე, კომფორმიზმზე ან კომპრომისების ვალდებულებით სავსე კეთილდღეობაზე** მაღლა დააყენებს სამშობლოს აწმყოსა და მომავალს.

„ახალი თაობა“



**მაკა ძაგანია**
*მსახიობი*

ცხოვრების სტილის შეცვლამ **უფრო დაგვაახლოვა ერთმანეთთან.** ჩემმა მეუღლემ რამდენჯერმე მითხრა კიდეც — **ყველაზე მეტად მიყვარს, როდესაც ვენახში შენ შემოდიხარო.**

„სარკე“




# „ჰაერის ტემპერატურის დაწევა პლუს 4 გრადუს ცელსიუსიდან 0 გრადუს ცელსიუსამდე ინფარქტის განვითარების რისკს ათჯერ ზრდის!“

დროს ცხადია, წნევა მატულობს და თირკმელი მაღალი წნევის დაწევას სწორედ შარდის გამოყოფის გაძლიერების გზით, ანუ დიურეზით ცდილობს. სწორედ ამის შედეგია, რომ სიცივეში ადამიანი ხშირად შარდავს. **ამ მოვლენას პროსტატის ჯირკვლის არასწორ ფუნქციონირებასთან არავითარი კავშირი არა აქვს!** როგორც კი ფეხი და მთელი ორგანიზმი გათბება, ხშირი შარდვის სურვილი მაშინვე გაგვიქრება! **ხშირი შარდვის შედეგად დაკარგული სითხის შესავსებად, ზამთარი იქნება თუ ზაფხული, 2 ლიტრამდე წყალი ყოველდღიურად უნდა დავლიოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს ორგანიზმს თრომბების მიმართ მოწყვლადს გავხდით.**

**— რამდენად უნდა მოერიდონ დიაბეტიანები ფეხის გაცივებას?**

— დიაბეტიანებისთვის კიდურები და განსაკუთრებით ფეხი, ზოგადად, პრობლემური ორგანოა. შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებს ფეხი ზაფხულშიც კი გაყინული აქვთ, რაც გამოწვეულია დიაბეტური ანგიოპათიით, რომელიც შაქრიან დიაბეტს მუდამ თან ახლავს. ასეთ დროს სისხლძარღვები ისედაც შევიწროებულია, სიცივე კი კიდევ უფრო ამძიმებს შექმნილ სურათს. სწორედ ამიტომაა, რომ ფეხის განგრენას განსაკუთრებით „უყვარს“ ზამთარი.

**— როგორ გავითბოთ ფეხი?**

— საერთოდ, გვახსოვდეს, რომ ფეხის გაცივების მიზეზი მხოლოდ სიცივე არ არის. ფეხი ცივა:

1. ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითების, ანუ ჰიპოთირეოზის დროს;
2. ქვედა კიდურების სისხლძარღვების ათეროსკლეროზის დროს;
3. ოსტეოქონდროზის დროს;
4. დაბალი არტერიული წნევის დროს;
5. ანემიისა და რკინადეფიციტის დროს;
6. პოლინეიროპათიისას;
7. თუთიის ნაკლებობისას;
8. დიაბეტის შემთხვევაში.

არსებობს ერთი უნიკალური საშუალება, რომელიც ფეხში სისხლის მიმოქცევას აქტიურებს... ავიღოთ 15-ლიტრიანი თასი და მის ერთ მესამედში ყინული ჩავყაროთ. შემდეგ თასი შევავსოთ ოთახის ტემპერატურის წყლით. ჩავყოთ მასში ფეხები და გავაჩეროთ 60-90 წამის განმავლობაში. ამით ჩვენ მივიღებთ ე.წ. ჰერმეტიკულ ეფექტს, როცა მსუბუქი სტრესის შედეგად ჯერ სისხლძარღვების კუნთები შეიკუმშება (პარალელურად რძემჟავასა და ტოქსინების განეიტრალებით), ხოლო შემდეგ სისხლძარღვებში სისხლის მოძრაობა და ჟანგბადით მომარაგება გაიზრდება, ხოლო ფეხი გათბება. თუ ასეთ ვარჯიშებს დღეში ორჯერ მაინც ჩავიტარებთ, რამდენიმე დღის შემდეგ ვიგრძნობთ, რომ ფეხი უფრო თბილი გვაქვს და სისხლის მიკროცირკულაციაც გაუმჯობესებულია.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## „ფეხის გაცივებასა და ზამთარს განსაკუთრებით უნდა უფრთხილდნენ ისინი, ვისაც შესაძლოა, წნევა არ აწუხებს, მაგრამ ვენებზე პრობლემები აქვთ და აქედან გამომდინარე, თრომბის წარმოქმნის რისკ-ჯგუფში მოიაზრებიან!“



# ელა მჟავია:

## ნასა და გაერო გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მუშაობენ უახლესი გასაიდუმლოებული ტექნოლოგიის შესაქმნელად, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მეორედ მოსვლის სიმულაცია და ახალი მესიის გამოჩენა!

***კონსპიროლოგიური თეორიის თანახმად, ნასა-მ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში შეიმუშავა საიდუმლო პროექტი „ცისფერი სხივი“ (BLUE BEAM) ადამიანთა ცნობიერების სამართავად. ვესაუბრებით ცნობილ ბიოენერგოკორექტორ ელა მჟავიას, რომელსაც გრუ-ს ერთ-ერთ გასაიდუმლოებულ საწვრთნელ ბაზაზე ცნობიერების მართვის მეთოდებს ასწავლიდნენ:***

— კანადელმა ჟურნალისტმა **სერჟ მონასტმა,** რომელიც შეთქმულების თეორიების გამოძიებაზე მუშაობდა, 1994 წელს გამოაქვეყნა თავისი წიგნი **„პროექტი ცისფერი სხივი (ნასა)“.** ავტორის თქმით, საჭირო დოკუმენტები და უტყუარი მტკიცებულებები მას პროექტის უშუალო მონაწილეებმა გადასცეს. ჟურნალისტური გამოძიების დასრულებისთანავე კანადელმა კოლეგამ კვებეკის თავისუფალი პრესის ცენტრის ტრიბუნიდან ამცნო ადამიანებს შეთქმულების არსებობა, რომლის მიზანიც ახალი მსოფლიო წესრიგის — თეოკრატიული დიქტატურის დამყარებაა. მას შემდეგ, რაც **ნასა** და აშშ-ის მთავრობა ამხილა, დამოუკიდებელი სააგენტოს (International Free Press Network) ჟურნალისტს არაერთხელ დაემუქრნენ კანადის მაღალჩინოსნები და ვატიკანის წარმომადგენლები. 1996 წელს **სერჟ მონასტი** მოულოდნელად გარდაიცვალა გულის შეტევით, თუმცაღა, გულს არასოდეს უჩიოდა. ასევე გულის შეტევით დაიღუპა სერჟის თანაშემწე, რომელიც მას გამოძიებაში ეხმარებოდა... ამბობენ, სინამდვილეში ორივე ფსიქოტრონული იარაღით მოკლესო.

**— ქალბატონო ელა, რამდენად რეალურია ადამიანთა ცნობიერების მართვა პლანეტარული მასშტაბით?**

— სერჟ მონასტის თქმით, ნასა და გაერო გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მუშაობენ უახლესი გასაიდუმლოებული ტექნოლოგიის შესაქმნელად, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ცის კაბადონზე არნახული შოუს დადგმა — მეორედ მოსვლის სიმულაცია და ახალი მესიის გამოჩენა, რასაც პლანეტის ყველა მცხოვრები ერთდროულად დაინახავს.

**— სად — ახალი მსოფლიო წესრიგი და სად — მეორედ მოსვლის სიმულაცია?!**

— **სერჟ მონასტის** თქმით, მსოფლიო რეჟიმის საფუძველი ახალი პლანეტარული მისტიკურ-მეცნიერული თეოლოგია გახდება, რომლის სათავეშიც მესია მოექცევა. **ამ საერთო რელიგიის გარეშე წარმოუდგენელია შვიდი მილიარდი ადამიანის გაერთიანება.**



— **შეგახსენებთ, რას წერდა ჯერ კიდევ 1879 წელს 33-ე საფეხურის მასონი ალბერტ პაიკი: „მასონთა სრული ზეიმისთვის საჭირო იქნება სამი მსოფლიო ომი. აქედან მესამეში მუსულმანური სამყარო განადგურდება, რაც გიგანტურ სოციალურ რყევებს გამოიწვევს. ყველა დაინახავს, რომ ურწმუნობა დამღუპველია. რევოლუციური უმცირესობა გა-**






გაგრძელება 26-ე გვერდზე



**თემურ ქეცბაია**
*კვიპროსის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მწვრთნელი*



„ინტერთან“ ბათუმში გამართულმა მატჩმა დამანახა, რომ მოედანზე მეტი დროის გასატარებლად ჯანმრთელობა აღარ მიწყობს ხელს. **უკვე 56 წლის ვარ და აჯობებს, მხოლოდ მწვრთნელის რანგში გავაგრძელო საქმიანობა.**

„კვირის პალიტრა“

**თეონა ცხომელიძე**
*ჟურნალისტი*



დღეს ვერცერთ მედიაში ვერ ვხედავ ჩემს თავს. **რომ არსებობდეს ისეთი მედია, სადაც მეტ-ნაკლებად შესაძლებელი იქნება ჟურნალისტიკის კეთება,** რა თქმა უნდა, დავუბრუნდებოდი ამ საქმეს. **ცუდ ჟურნალისტიკასა და მასზე საერთოდ უარის თქმას შორის მქონდა არჩევანი და მეორე ავირჩიე.**

„თბილისელები“

**ნეკა დოროყაშვილი**
*მოდელი*



ვაგროვებდი ფულს, **იაფად ვყიდულობდი კომერციულ ფართებს, ძველ შენობებს, ვარემონტებდი და ვყიდდი ორ ან სამმაგ ფასში.** ამის შედეგად ჩემი ფინანსური კაპიტალი საკმაოდ გაიზარდა.

„თბილისელები“

**დავით გველესიანი**
*მუსიკოსი*



ბოლოსმერაბ დვალიშვილის გამარჯვების ხილვისას ვიტირე. **ეს სიამაყის ცრემლებია, რომელიც ყველას გვაერთიანებს.** ეს ერთადერთი შემთხვევაა, **როცა არ შემრცხვება, თუ ჩემს ცრემლებს სხვებიც დაინახავენ.**

„თბილისელები“

დასაწყისი
25-ე გვერდზე

# ელა მჟავია: ყურადღებით დაათვალიერეთ ამერიკული ერთდოლარიანი, რომელზეც გამოსახულია თავწაკვეთილი პირამიდა, ილუმინატების მთავარი სიმბოლო!






**პოლ ვალბურგი:**

**ჩვენ გვყავს მსოფლიო მმართველობა, მნიშვნელობა არა აქვს, მოგვწონს თუ – არა. საქმე ისაა, როგორ დამყარდება იგი – ნებით თუ ძალით!**

**დევიდ როკფელერი:**

ჩვენ გლობალური ცვლილებების განთიადზე გვჭირდება კარგად მართული მსხვილი კრიზისი და ხალხები მიიღებენ ახალ მსოფლიო წესრიგს!





პარიზის ოლიმპიადის გახსნის ცერემონია. 2024 წლის 26 ივლისი

**ნადგურდება, ხოლო ქრისტიანობაში იმედგაცრუებულთა უმრავლესობა ჩვენგან მიიღებს ჭეშმარიტ სწავლებას, ჩვენი ღმერთის სწავლებას“.**

— **სერჟ მონასტი** წერს, რომ „ცისფერი სხივი“ ოთხსაფეხურიანი, ზუსტად შემუშავებული სამეცნიერო გეგმაა. ეს პროექტი პირველ ეტაპზე მიზნად ისახავს ტრადიციული რელიგიებისთვის ძირის გამოთხრას — ადამიანებს **დააჯერებენ,** რომ მათი რწმენა შეირყვნა საუკუნეთა განმავლობაში. **მოაჩვენებენ,** რომ ძველი რელიგიური დოქტრინები, სამეცნიერო-ისტორიული კონცეფციები ფუნდამენტური შეცდომაა და შესთავაზებენ ახალ რელიგიას, რომელიც ყველას დაამშვიდებს. ერთიანი რელიგიის ცენტრალური ფიგურა უნივერსალური მხსნელი გახდება, რომელიც ახალ სწავლებას გაავრცელებს. ამის გარეშე ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება შეუძლებელი იქნება.

**— რას ისახავს მიზნად გეგმის მეორე საფეხური?**

— თუ **სერჟ მონასტს** დავუჯერებთ, სივრცე გიგანტურ ეკრანად გადაიქცევა. ადამიანები დაინახავენ უზარმაზარ სამგანზომილებიან ოპტიკურ ჰოლოგრამებს. ამ გამოსახულებებს დედამიწის კოსმოსური თანამგზავრებიდან მიიღებენ. მოისმენენ „ღმერთის“ ხმას, რომელიც ყველას თავის მშობლიურ ენაზე მიმართავს. **ეს ატმოსფერული შოუ, გიგანტური ჰოლოგრამებით, სამყაროს აღსასრულის იმიტაციისთვის სჭირდებათ.** რაც შეეხება მესამე საფეხურს, სერჟ მონასტის თქმით, ადამიანებზე ტელეპათიურ ზემოქმედებას მოახდენენ. თანამგზავრებიდან გამოსხივებული მაღალი და დაბალი სიხშირის ტალღები თითოეული ადამიანის ცნობიერებაში შეაღწევენ. დაბალსიხშირიანი იმპულსები შექმნიან სმენით სიგნალებს, რომელსაც გვერდით მყოფებიც კი ვერ გაიგებენ. ხალხი ალტერნატიულ რეალობაში აღმოჩნდება, რასაც ღმერთის სიყვარულის გზავნილი დააგვირგვინებს ყველა ენაზე.

**— ნასა-ს საიდუმლო გეგმის მეხუთე საფეხურზე რას გვეტყვით?**

— ელექტრონული სპეცხელსაწყოებით გამოიწვევენ ზებუნებრივ მოვლენებს. **სერჟ მონასტის** თქმით, მეხუთე საფეხური სამი ეტაპისგან შედგება. პირველის მიზანია, დაარწმუნოს კაცობრიობა, რომ უცხოპლანეტელები მსოფლიოს ყველა დიდ ქალაქს დაესხნენ თავს, რათა სახელმწიფოებმა ატომური იარაღი გამოიყენონ საპასუხო დარტყმისთვის. როცა აღმოჩნდება, რომ განგაში ცრუ იყო, **გაერო** ყველას განაიარაღებს. მეორე ეტაპია აღდგომა და ღმერთთან შეხვედრა, რომელიც ზეციდან დედამიწაზე დაეშვება, რათა კაცობრიობა ბოროტი დემონისგან იხსნას. ამით მთელ ოპოზიციას ჩამოიშორებენ.

**მესამე ეტაპია ადამიანთა ფსიქიკური დესტაბილიზაცია კომუნიკაციის ყველა საშუალების გამოყენებით, კერძოდ, მოსახლეობაში ინდივიდუალური და კოლექტიური ჰალუცინაციების გამოწვევა,**

**რის მერეც დედამიწის მცხოვრებლები მზად იქნებიან, მიიღონ ახალი მესია, რომელიც პლანეტაზე მშვიდობასა და წესრიგს დაამყარებს.** ზებუნებრივი ძალები, სულებისა და მოჩვენებების სახით, თითოეულ ოჯახში შეაღწევენ ელექტრონული კაბელებითა და წინასწარ დაყენებული ჩიპებით, რათა მუდმივი ფსიქიკური აშლილობით საბოლოოდ დააკარგვინონ ადამიანებს ნებისყოფა და ჩაუკლან წინააღმდეგობის გაწევის სურვილი.

ამ გრანდიოზული სპექტაკლის დადგმაში მონაწილეობას მიიღებენ რეჟისორები და მსახიობები, რომლებიც, კონსპიროლოგთა თქმით, მსოფლიო მთავრობასთან არიან შეკრულნი. ისინი აჩვენებენ მოსახლეობას ზეახალი ვარსკვლავის აფეთქებას, უცხოპლანეტელთა შემოსევას, ნიბირუს მოახლოებას, რასაც მოჰყვება ხელოვნური მიწისძვრები სეისმურად საშიშ რეგიონებში. მსოფლიო პანიკასა და ქაოსში ჩაიძირება. იქნება ეპიდემიები, ბანდიტიზმი და სწორედ ამ დროს დაიწყება ზეციური შოუს ბოლო აქტი — **მესიის გამოცხადება!**

**— შეთქმულების თეორიის მომხრე ფრიც სპრინგმაიერი პირდაპირ ასახელებს ილუმინატთა ორდენის წევრებს. ესენი არიან: ასტერები, დუპონები, ფრიმენები, როკფელერები, როტშილდები, ევროპის ქვეყნების ყველა მონარქიული კლანი, დისნეი და მაკდონალდი.**

— **სერჟ მონასტმა** ციტატა მოიტანა საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს წევრის **პოლ ვალბურგის** განცხადებიდან, რომელიც მან 1950 წლის თებერვალში აშშ-ის სენატის სხდომაზე გააკეთა: *„ჩვენ გვყავს მსოფლიო მმართველობა, მნიშვნელობა არა აქვს, მოგვწონს თუ — არა. საქმე ისაა, როგორ დამყარდება იგი — ნებით თუ ძალით“.* კანადელმა ჟურნალისტმა **დევიდ როკფელერის** მიერ 1994 წელს ნათქვამი სიტყვებიც გაიხსენა: *„ჩვენ გლობალური ცვლილებების განთიადზე გვჭირდება კარგად მართული მსხვილი კრიზისი და ხალხები მიიღებენ ახალ მსოფლიო წესრიგს“.*

კონსპიროლოგთა თქმით, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია ილუმინატებმა მოაწყვეს. გაჟუჟეს ქვეყნის ელიტა, მეფეს თავი მოჰკვეთეს, მონარქია რესპუბლიკური წყობით შეცვალეს და ამის მერე ევროპიდან ამერიკაში გადაინაცვლეს, რათა ამ ქვეყნის ელიტის ხელით მართონ მსოფლიო.

**— რის საფუძველზე აკეთებენ ამგვარ დასკვნას?**

— ყურადღებით დაათვალიერეთ ამერიკული ერთდოლარიანი, რომელზეც გამოსახულია თავწაკვეთილი პირამიდა, ილუმინატების მთავარი სიმბოლო, ასევე სამკუთხედში ჩასმული უფლის თვალი. ქვემოთ წარწერაა: **ახალი მსოფლიო წესრიგი.** უკანა მხარეს, პირამიდის ქვეშ რომაული ციფრებია. თუ მათ არაბულზე გადმოვიტანთ, მივიღებთ — 1776.

**— ეს ხომ ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების წელია!**

— ილუმინატთა ორდენიც 1776 წელს დაარსდა. კონსპიროლოგთა მტკიცებით, დღეს მსოფლიო მთავრობის ძირითად ბირთვს შეადგენენ მასონები, ილუმინატები, კაბალისტები და იუდიზმის მიმდევრები თავიანთი „სიონის ბრძენთა“ ოქმებით.

*ესაუბრა*
***ნინო გოძიაშვილი***

**„ამ გრანდიოზული სპექტაკლის დადგმაში მონაწილეობას მიიღებენ რეჟისორები და მსახიობები, რომლებიც, კონსპიროლოგთა თქმით, მსოფლიო მთავრობასთან არიან შეკრულნი!“**

# მოგელანდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



# ბათილობა და ფარულობა



**ეს ყმაწვილქალი,** რომელიც **ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან** უნდა იყოს, გვეუბნება, რომ ამ არჩევნებში დაირღვა **ფარულობის** პრინციპი და რაკი არ იქნა დაცული **ფარულობა,** ამ შემთხვევაში აუცილებელია **ბათილობა.**

კაი, ბატონო, ეს არასამთავრობოები საკუთარ თავებს რომ არ უვლიან და აჯაჯულ-დაჯაჯულები დათარეშობენ, გასაგებია, თავები მაგათია და რასაც უნდათ, იმას უზამენ, მაგრამ ეგ ვერ ამოვხსენი — **ამ ქართულ ენას რატომ შეესივნენ ეშმაკებივით და რატომ აუპატიურებენ?**

ისაო, **ფარულობის პრინციპი** რომ დაირღვა, ახლა საჭიროა **ბათილობა,** რაც დაფიქსირებულია კონსტიტუციაშიო.

ჯერ **ფარულობა** რა სიტყვაა და ახლა **ბათილობა** რა უბედურებაა?

ალბათ, ყველას შეგიმჩნევიათ, ამ უპატრონოებმა რაღაც თავიანთებური ტრაფარეტული ენა რომ ჩამოაყალიბეს და ფეხებზე ჰკიდიათ, რას ბოდიალობენ. ცხადია, იმასაც ამჩნევთ, რომ ახალგაზრდების ნაწილი ისე გამოათაყვანეს, ისინიც ამათ ენაზე მიედ-მოედებიან.

მოკლედ, **ამ ყმაწვილქალის** მტკიცებით, რაკი **ფარულობა** დაირღვა, ახლა საჭიროა **ბათილობა** და არჩევნების ხელახლა ჩატარება, სადაც **ფარულობა** აღარ იქნება დარღვეული და აღარც **ბათილობა** იქნება საჭირო.

☺

ისე, ხომ არ აჯობებდა, ჯერ მაგნაირი აგენტურის **ფარულობა** გვემხილა და მერე მაგათი არასამთავრობოების **ბათილობაც** ზედ მიგვეყოლებინა!

# არ გეუბნებით, კაკალი იმით დაამტვრიეო...



**ეს უკუღმართი დედაბერი** წერტილიან საარჩევნო ბიულეტენს რომ დაათრევს, მაგით რის თქმას ცდილობს?! იქნებ თვითონ დასვა პახმელიაზე? იქნებ კონიაკი ან ყავა დაეწუნწკლა? იქნებ **ბახჩო** რომ იძახდა წამდაუწუმ — წერტილი, წერტილიო, ეგ ის წერტილია?

შარის მეტი რა მინახავს, მაგრამ ეგეთს პირველად ვხედავ!

☺

რავი, მე ბაბო ვიცი, ახლა უნდა იჯდეს და საჩურჩხლე ნიგოზს აბნევდეს, ახალი წელი მოდის, ბალღებს უნდა ახარებდეს, ეს კიდე დგას და რაღაც სისულელეებს ჩმახავს. **წადი, რა, ქალო, საგოზინაყე კაკალი დაამტვრიე, არ გეუბნებით, იმით დაამტვრიეო, ჩაქუჩს გიყიდით, რას დაბოდიალობ აღმა-დაღმა და გარდიგარდმო?!**

# ეს სალომესაც ჩაადებინებს!!!



რას შვრება **ოთარა ძია,** ჩამოიდა ფრანციიდან? **„სვისტოკები“ ჩამაიტანა?** გამოდის, ამ საღამოს სტვენა, ღრენა, ლევა, წევა, მტვრევა და ტანკზე კბენა იქნება!

**ოთარა ძია, ვინიტუ ინჩუჩუნას რომ ჰგავს ჰაბიტუსით, სანამ თავის დას შეურიგდებოდა, სუ ამტკიცებდა — ადრე კაგებეს აგენტი იყო, ახლა კიდე ფეესბესიაო, „დაჟე“ სეროჟა ლავროვით არი გატაცებულიო.**

როცა ამისმა დამ **პლეზიდანად** დაიწყო მუშაობა, ჩამოიდა, მიეკურკურა, მიუცუცქდა, შეურიგდა და მაგარი თანამდებობაც ჩაიბარა — **მესტვირეთუხუცესობა.** მოეწონა **ოთარა ძიას მესტვირეთუხუცესობა,** ჩაიდებს ხოლმე პირში და უსტვენს, რა ენაღვლება? ადრე ეგ საქმე **ჰელენ ბოზიევიჩს** ებარა, იმასაც აეგრე ედო და უსტვენდა, მერე გასუქდა, ჰაერი სხვა „დირკებიდანაც“ გეეპარა, თან „კამაზზე“ დაიწყო მუშაობა და „სვისტოკი“ ჩამოართვეს. ასე აღმოჩნდა ვაკანტური **მესტვირეთუხუცესის** თანამდებობა.

☺

აქამდე ცოტა ვნერვიულობდი... რაკი **ოთარა ძია,** რომელიც ძალიან ჰგავს **ვინიტუ ინჩუჩუნას,** უკვე თბილისშია და „სვისტოკიც“ უკვე **პირში უდევს,** აღარ ვნერვიულობ. დარწმუნებული ვარ, ეს სალომესაც **ჩაადებინებს!!!**

# მალე აყროლდებიან!




ესე იგი, ვისაც საშუალო და დიდი გაქვთ, შეეხმიანეთ — **25-სანტიმეტრიანზე ნაკლები არ უნდა იყოს!** როგორც ჩანს, ლეიბები უნდა დაყარონ და გაწვნენ. ამათი გაწოლა და გაჩაჩხვა როგორი იქნება, წარმოგიდგენიათ, ხო? ვისი შპრიცი ვის ვენაში იქნება, თვითონაც ვეღარ გაიგებენ. აღარაფერს ვამბობ მყრალი ბალახის ბოლსა და თეძო-მენჯ-ბარძაყის თამთამზე **კუილიუსებისა** და **ხაზარაძის უბორნიის პოეტების** თანხლებით.

# ალეკო, გინდა, აქციაზე მოკვდი, გინდა – პარლამენტის კედლის ძირში!

კომუნისტების დროს ოდესაში ერთი „ვსესაიუზნი“ ქურდი იყო, კახელი. მაგარი გავლენა და ავტორიტეტი ჰქონდა მთელ საბჭოთა კავშირში. ერთხელაც ნათესავებმა რთველში დაპატიჟეს და შავი „ვოლგით“ ჩამოვიდა. ეს სოფლის კაცები წავლენ-წამოვლენ, დაუწყებენ: **აი, ქართველი კაცი ვენახში უნდა მოკვდესო... აი, კახელი კაცი ვენახი პლანებში უნდა მოკვდესო... აი, ქიზიყელი კაცი ვაზი ძირში უნდა მოკვდესო.**

ესე იგი, ესენი აქაურობას ახარბებენ, იქნებ ოდესას შეეშვას, სოფელში დაბრუნდესო. პირდაპირ ვერ ეუბნებიან, ჩამო, აქაურობას მიხედეო, ეჩალიჩებიან, თან ამ ქურდის მამამ ბიჭებს სთხოვა — მე არ მიჯერებს, თქვენც უთხარით, იქნებ რამე შაისმინოსო.

## თუ საჭიროა, რომ მოვკვდე ამ დღეებში, მზად ვარ, მოვკვდე! ალეკო ელისაშვილი

შეწუხდა „ვსესაიუზნი“ ქურდი, ამოუვიდა ყელში, ვენახის თავში დადგა, დოინჯი შემოიყარა და გამოაცხადა: **გინდათ, ვენახის პლანებში მოკვდით, გინდათ — ვაზის ძირში, ერთი თქვენი კეთილებიც მოვ...ტან, სუ კარგად ეყარენითო!**

ჩაჯდა „ვსესაიუზნი“ შავ „ვოლგაში“ და იმავე დღეს გაქუსლა ოდესაში.

ვუყურე გუშინ **ელისაშვილს** და აშკარად დავინახე — ესეც იმ ქურდის ნათესავებივით არი ატეხილი — **გინდათ თუ არა, ქართველი კაცი აქციაზე უნდა მოკვდესო! გინდათ თუ არა, ქართველმა კაცმა პარლამენტის კედლის ძირში სული უნდა დალიოსო!**

მე კიდე ამ დროს „ვსესაიუზნი“ ქურდის სიტყვები მადგას ენის წვერზე: **ალეკო, გინდა, აქციაზე მოკვდი, გინდა — პარლამენტის კედლის ძირში დალიე სული, ერთი თქვენი პარტიისაცმეთქი.**



# მიხეილ ცაგარელი: ახალ წლამდე მშვიდად




***ქვეყანაში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენების ანალიზსა და პროგნოზს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი აკეთებს. როგორც თავად ამბობს, კოსმიურ და პოლიტიკურ შტორმს წლის ბოლომდე უნდა გავუძლოთ:***

— ახლა მიმდინარე წლის ყველაზე რთულ პერიოდში ვიმყოფებით. ჩათვალეთ, სამყარო ტურბულენტურ ზონაშია და კოსმიური შტორმის პირისპირ ვდგავართ. სამყაროდან საკმაოდ მძიმე ემოციური ენერგიები მოდის.

31 ოქტომბერს ჰელოუინი, ჯადოქრობის ღამე იყო, რომელიც ახალგაზრდებისთვის მიჩნეულია, როგორც გასართობი დღესასწაული, მაგრამ სინამდვილეში მასონების მიერ არის დაწყებული. შეიძლება დამწყებმა ასტროლოგმა არ იცოდეს და ვერ აგიხსნათ, მაგრამ, ვინც ჩახედულია, იცის, რა ხდება ე.წ. კარნავალების მიღმა. ამ ღამეს ენერგოვამპირიზმი უმაღლეს დონეს აღწევს. მთელი მსოფლიოს ჯადოქრები ერთმანეთს უკავშირდებიან და შავი მაგიის სპეციფიკურ რიტუალებს ატარებენ. ისინი აზდენენ ახალგაზრდების გართობის შედეგად გამოყოფილი ენერგიის აკუმულირებას და შემდეგ ამ ენერგიას სათავისოდ იყენებენ. ასეთ დროს ადამიანთა სულები დისტანციურად ბინძურდება და ხალხის პროვოკაციაზე წამოგება ძალიან ადვილია.

გარდა იმისა, რომ არის ენერგეტიკული დაბინძურების ძალიან მაღალი საფრთხე, ასევე დედამიწაც **21 ნოემბრამდე** უარყოფით ენერგოველშია, ხოლო **16 ნოემბერს** გვაქვს სავსემთვარეობა, რაც კიდევ უფრო დაძაბავს სიტუაციას და გააძლიერებს ემოციურ ფონს. ამ ყველაფერს ემთხვევა ასევე რთული ასტროლოგიური მოვლენა — ერთმანეთთან დაპირისპირებაში იმყოფება ორი ბოროტი პლანეტა — ომისა და აგრესიის მმართველი პლანეტა **მარსი,** რომელიც კირჩხიბის ზოდიაქოშია და ნგრევის მმართველი პლანეტა **პლუტონი** თხის რქის ზოდიაქოში.

**— რაზე მიანიშნებს ეს?**

— ასეთი დაძაბული ასპექტი ამ ორ ბოროტ პლანეტას შორის იშვიათობაა და მიანიშნებს იმაზე, რომ საგრძნობლად მოიმატებს აგრესია და სიჯიუტე ადამიანებში. არავინ არაფერს დათმობს. გამძაფრდება საომარი სიტუაცია ქვეყნებს შორის. დიდია ალბათობა, რომ დაიძაბოს სიტუაცია ოჯახებშიც, ორგანიზაციებშიც, ქვეყნებშიც. კირჩხიბი არის ოჯახის ნიშანი, ხოლო თხის რქა კარიერასთან არის დაკავშირებული, ამიტომ ადამიანებმა მაქსიმალურად თანაბრად უნდა გადაანაწილონ ენერგია როგორც საოჯახო, ასევე სამსახურებრივ საკითხებში.

19 ნოემბერს პლანეტა **პლუტონი** თავის ზოდიაქოს ნიშანს იცვლის. თხის რქის ზოდიაქოდან 20 წლით მერწყულის ზოდიაქოში გადავა, რაც ასევე უმნიშვნელოვანესი მოვლენაა — სამყაროში რევოლუციური ცვლილებები მოხდება. პლუტონი ერთსა და იმავე ნიშანში დაახლოებით 250 წელიწადში ერთხელ ხვდება. 2 საუკუნის წინ, როდესაც პლუტონი მერწყულის ზოდიაქოს ნიშანში იყო, სწორედ მაშინ შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატები თავისი კონსტიტუციით და უფლებათა დეკლარაციით. ამავე პერიოდში საფრანგეთში დიდი რევოლუციური ცვლილებები მოხდა. პლუტონის მერწყულის ზოდიაქოს ნიშანში შესვლა ნიშნავს სერიოზულ რეფორმებს, ცვლილებებს მთელ სამყაროში. ნელ-ნელა გამოჩნდებიან ახალი ლიდერები, დაისახება სამყაროს განვითარების ახალი სქემა...

მზე ახლა მორიელის ზოდიაქოს გადის, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული ნიშანია. 21 ნოემბრის შემდეგ, როცა მზე უფრო მხიარულ და ოპტიმისტურ მშვილდოსანში გადავა, აგრესია შედარებით შემცირდება, თუმცა, არც დეკემბერი იქნება მსუბუქი. ახალ წლამდე მშვიდად ვერ ამოვისუნთქავთ, საერთო დაძაბულობა მთელ მსოფლიოში არნახულად დიდი იქნება. ადამიანებმა მაქსიმალურად უნდა უხმონ ჭკუას, არ აჰყვნენ პროვოკაციებს.

ამიტომ ვამბობდი, მათ შორის, თქვენთან ინტერვიუებში, რომ ჯობდა, არჩევნები სამი კვირით ადრე ჩატარებულიყო. **ახლა, როცა არჩევნები ჰელოუინს, ახალმთვარეობასა და მარს-პლუტონის საომარ ვითარებას დაემთხვა, გაცილებით რთულად გავივლით ამ პერიოდს. რადგანაც „ქართულმა ოცნებამ“ ასტროლოგიურ-კოსმიური კანონები არ გაითვალისწინა, საკუთარ თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა. რთულ დარტყმებს მიიღებს და ამისთვის მზად უნდა იყოს!**

**— დარტყმებმა ოპოზიციისა და დასავლელი ლიდერების მხრიდან ნამდვილად იმატა და ამას ჩვენ უკვე ვხედავთ...**

— არადა, ეს ხომ წინასწარ ვიცოდით?! გადაავლეთ თვალი ჩვენს ინტერვიუებს, სადაც ვამბობდი, არჩევნების მეორე დღეს დაიწყება შიდა და გარე მტრების მხრიდან გაყალბებაზე საუბარი და ევროპა-ევროპის ძახილით ხალხს კვლავ ქუჩაში გამოიყვანენ-მეთქი. ეს პროგრამა რახანია, გაწერილია. რატომ გიკვირთ? რაში გაღელვებთ, რას იტყვიან კორუფციაში ჩაძირული ევროკავშირის ლიდერები ან 86 წლის ბაიდენი? გაატარეთ! დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები — როგორც კი საქართველო მათ გარეშე გაძლიერდება, სუვერენიტეტს მოიპოვებს და აბრეშუმის გზაც გაიხსნება, სამუშაო ადგილების საკითხიც გადაწყდება და ევროპა აქეთ შეგვეხვეწება დაახლოებას.

ადრე ჩვენ ამერიკასა და ევროპას ვუყურებდით, როგორც სასწაულს, ანგელოზების ქვეყანას და ვერ ვხვდებოდით, სინამდვილეში რა ბოროტება ყოფილა. ნელ-ნელა მოვდივართ აზრზე და გარკვეულ შინაგან ფსიქოლოგიურ ნგრევასაც განვიცდით.

სამწუხაროდ, დღეს ყოველი მეორე სააკაშვილის იდეოლოგიით არის მოწამლული — უაპელაციოდ გაიძახიან, რუსეთი ბოროტების იმპერიააო. გეკითხებით — რომ არა რუსეთი, იქნებოდა თუ არა დღეს საქართველო თურქეთის ვილაიეთი ან ახალციხე ვინ დაგვიბრუნა? რამე მსგავსი გაგვიკეთა ამერიკამ, თურქეთმა ან რომელიმე სხვამ? **სამაჩაბლოსა და აფხაზეთში შესვლა ჩვენს ნატო-ნატოს ძახილს მოჰყვა. ეს იყო მათი თავდაცვის გეგმა.** სამწუხაროდ, ჩვენი უჭკუობის შედეგია ეს ყველაფერი და დღესაც არასწორად ვიქცევით. აყოლილი ვართ დასავლეთის მიერ კარგად ორგანიზებულ პროპაგანდას, თითქოს ამ ხელისუფლებას რუსეთში შევყავართ. ძალიანაც რომ გინდოდეს, რუსეთში მაინც არავინ გეპატიჟება. არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ **— ამ უზარმაზარი სახელმწიფოების დაპირისპირებაში საქართველო მხარე არ უნდა იყოს. ყველასთან უნდა ჰქონდეს კარგი დიპლომატიური ურთიერთობა. ეს არის საქართველოს გადარჩენის ერთადერთი რეალური გზა!**

როდესაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, მას ბევრი რამ აკრძალული ჰქონდა და ისე უნდა ემოქმედა, როგორც დასავლეთი უბრძანებდა. 2022 წელს, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, სამყაროში გეოპოლიტიკური ცვლილებები დაიწყო. იმის ნაცვლად, რომ რუსეთი, ჩინეთი და ინდოეთი დაეჩოქებინათ, პირიქით, გაძლიერდნენ და **ბრიქსის** სისტემა შექმნეს. როდესაც ბიძინა ივანიშვილმა თავისი ინტუიციით იგრძნო მარწუხებიდან განთავისუფლების დროის მოახლოება, ნელ-ნელა დაიწყო სიმართლის თქმა. სერიოზულმა ექსპერტებმა თანდათან ფარდა ახადეს გეოპოლიტიკის კულისებს. გაირკვა, რომ გლობალური, მასონური ძალების ხელშია




## კვირგვინოსნები

### რატი იონათამიშვილი
პარლამენტარი



ოპოზიციონერებს მოუწევთ, **მივიდნენ პროკურატურაში და მისცენ ჩვენებები.** თუ ამისგან შეიკავებენ თავს, **ეს იქნება აღიარებითი ჩვენება მათი მხრიდან,** რომ ნებისმიერი საუბარი გაყალბებაზე, სინამდვილეში, იყო მავნებლური ტყუილი.

„რეზონანსი“

### ნინა კობახიძე
„გლობალ მენეჯმენტ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი



არცერთი წამით არ მიგრძნია, რომ ჩვენმა ქვეყანამ **ევროპულ კურსს** გადაუხვია.

„რეზონანსი“

### ვანო ნადირაძე
უკრაინაში მებრძოლი



იცით, რაშია საქმე პატივცემულო ოპოლიდერებო? **ან რევოლუციაა საჭირო, ან კიდევ საყოველთაო დაუმორჩილებლობა უნდა გამოაცხადო.** მაგრამ მაგის უბრალოდ თქმისაც კი გეშინიათ. ახლა არ გამოხტეთ ვინმე პარტმუშაკი და არ მითხრათ, შორიდან მაგარია ლაპარაკიო, **მე ერთი ბომბის ჩამოგდებით მინიმუმ ხუთ ჩემი სამშობლოს მტერს ვანადგურებ, თქვენ კიდევ ფანჯრის რაფაზე ბუზის მოკვლის ტრაკიც კი არ გაქვთ.**

„პირველი არხი“

### ლაური ლააბსი
საქართველო-ესტონეთის მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი



**საქართველო სწორი, ევროპული მიმართულებით მიდის.** რა თქმა უნდა, არსებობს კითხვები კანონთან დაკავშირებით, მაგრამ **არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს პრორუსული კანონია,** იმიტომ, რომ, თუ ჩვენ ვსაუბრობთ ლგბტ თემზე, მაგალითად, **იტალიაში ახლახან მიიღეს კანონი, რომელიც ერთნაირსქესიან წყვილებს შვილის აყვანის უფლებას აღარ აძლევს.** ასე რომ, ჩვენ ევროპაში ამ პოლიტიკასთან კითხვები არ გვაქვს.

„იმედინიუსი“



## „ხელისუფლება მძიმე დარტყმებს მიიღებს და ამისთვის მზად უნდა იყოს!“

# ვერ ამოვისუნთქავთ!

არამარტო შეერთებული შტატები, არამედ ევროპაც და მათ მიერვე შექმნილი ევროკავშირიც, სადაც მათივე გამოზრდილი ვაიპოლიტიკოსები სხედან.

**— საკითხს კიდევ უფრო მარტივად სვამს ხალხი, რომელიც მეორე ფრონტის გახსნას გმირობად მიიჩნევს და კაცისმკვლელ ზელენსკიზე აფანატებს...**

— აი, სწორედ ამას ჰქვია ვიწრო და არა სახელმწიფო, პოლიტიკური აზროვნება! ჰგონიათ, ევროკავშირში შევალთ და ყველაფერი დალაგდება. მხოლოდ იმის კონსტატაციას აკეთებენ, რაც ზედაპირზე დევს.

ვის არ უნდა კარგი ცხოვრება, მაღალი ხელფასები და პენსიები, მაგრამ რის ფასად? ამის ნაცვლად რას ითხოვენ ჩვენგან? ძველი ევროპა, რომელიც გამოირჩეოდა თავისი ფასეულობებითა და ცივილიზაციით, აღარ არსებობს, მას ევროკავშირი მართავს, რომელიც მოქცეულია დემონური ძალების ზეგავლენის ქვეშ და საქართველოდან ხარკს ითხოვენ. მოდით, პირდაპირ ვთქვათ — **ევროკავშირში არ მიგვიღებენ, არ სჭირდებათ ზედმეტი ტვირთი, ისედაც კარგად იყენებენ ჩვენს რესურსებს, კაპიკებში გააქვთ, რაც სჭირდებათ.** ის, რასაც გვპირდებიან, ცარიელი სიტყვებია. ილუზიებში გვაცხოვრებენ, სანაცვლოდ კი მოითხოვენ ოჯახის ინსტიტუტის დანგრევას, ლგბტ პროპაგანდას და ა.შ. აიღეთ ბულგარეთისა და რუმინეთის მაგალითი, ორივე ევროკავშირის წევრია, მაგრამ დღეს უმუშევრობა მათთან უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში. ნახევარზე მეტი ფაბრიკა-ქარხნები დახურულია.

იმედი მაქვს, ფართო მასა მალე მიხვდება, რა ხდება რეალურად, რა თამაში მიდის და რა უნდათ საქართველოსგან. მხოლოდ ამის გაცნობიერების შემდეგ გასცემენ პასუხს კითხვაზე — რატომ შექმნეს რუსისგან ბუა და დასავლეთისგან — ანგელოზი!

დღეს რომ ევროპა სწორი გზით მიდიოდეს, თავად დაიცავდნენ აბრეშუმის გზას. ამ გზის დახურვა, პირველ რიგში, მათ დააზარალებს. მალე დაინახავთ, რასაც უზამს შტატები ევროპას, უკვე დაატყო თავისი ხელი გერმანიას, ახლა რიგში საფრანგეთია.

**— თქვენი პროგნოზით, რა გაგრძელება ექნება დასავლეთის მიერ არჩევნების არალეგიტიმურად გამოცხადებას?**

— განსაკუთრებული არაფერი მოხდება, ეს არის წმინდა წყლის რიტორიკა და ქვეყნის არევის, ხალხში შიშის დათესვის მორიგი მცდელობა. ვინ არის ჩვენი ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორი? რუსეთი!

**დღეს რუსეთზე უფრო მეტად ვართ დამოკიდებული, ვიდრე დასავლეთზე. ამიტომ შიმშილით არ მოვკვდებით. პურიც გვექნება, სასმელიც და ელექტროენერგიაც!**

ასე ეგონათ, რუსეთსაც დაამონებდნენ და დააჩოქებდნენ, მაგრამ პირიქით მოხდა, მათი ეკონომიკა წინ წავიდა. არც ირანი დაქცეულა, თუმცა, რამდენი წელია, საშინელი სანქციების ქვეშ ცხოვრობს.

4 წლის წინათაც ზუსტად ასე ბობოქრობდნენ პარტიები, ერთი დაკა-დაკა ჰქონდათ, არჩევნები გაყალბდაო, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ დღეს ე.წ. ოპოზიციონერების ლიდერი **სალომე ზურაბიშვილია,** რაც კიდევ უფრო მეტად აზიანებს მათ იმიჯს.

როგორმე წლის ბოლომდე უნდა გავუძლოთ, მაქსიმალურად აღვიჭურვოთ მოთმინებით. ჩვენი სამართლდამცავი ორგანოებიც კარგად გაიწაფნენ ამ საკითხებში — როდის რა ქნან და რა დოზით იმოქმედონ, ჩვენზე უკეთ იციან!

**— იმ ადამიანებს რას ეტყვით, ვისაც მიაჩნია, რომ „ოცნება“ 12 წლის განმავლობაში არ უნდა მართავდეს ქვეყანას და ეს არჩევანები გაყალბდა?**

— ნიკა გვარამია არ ამბობდა, ისეთი ამერიკული აპარატურა არის, გაყალბება გამორიცხულიაო ? რომ მოეგო ოპოზიციას, ხომ იტყოდნენ, არჩევნები სამართლიანად ჩატარდაო?! ზუსტად ასევე გაჰყვიროდა თქვენი სანაქებო ლიდერები 2020 წლის არჩევნების შემდეგ, მაგრამ ბოლოს მაინც სიმაღლისდა მიხედვით შელაგდნენ პარლამენტში.

„ოცნებაში“ ბევრი რამ მოსაწონი არ არის, არაერთი შეცდომა აქვს დაშვებული, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა გარკვევით თქვა — **ის, რასაც 12 წლის წინათ დაგპირდით, დასავლეთიდან ზეწოლის გამო ვერ შევასრულე. ახლა სხვა პოლიტიკური რეალობააო. მივცეთ საშუალება, თავისი დანაპირების რეალიზაცია მოახდინოს.** გაგანია ომებისა და პოლიტიკური ქარტეხილების დროს ჯობს, „ქართული ოცნების“ ხელში იყოს ეს ქვეყანა, ვიდრე ამ გაყიდულ ოპოზიციას ჩავუგდოთ ხელში.

**ყველაფერი დალაგდება – მეზობლებთანაც და ნამდვილ ევროპასთანაც, ამერიკაც შეცვლის რიტორიკას, თავად ნახავთ, საქართველო როგორი პატივსაცემი ქვეყანა გახდება!**

ესაუბრა
*ნატო ფოცხიშვილი*



## „რატომ გაღელვებთ, რას იტყვიან კორუფციაში ჩაძირული ევროკავშირის ლიდერები ან 86 წლის ბაიდენი? გაატარეთ!“

ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯო ბაიდენი

## კვირგვინოსნები

### თედო ბექაური
*მსახიობი*



**თბილისში ბინა ახლაც არ მაქვს და ვერც სამსახური ვიშოვე.** მცხეთის დრამატულ თეატრში ვარ, მინიმალური, მაგრამ ხელფასი მაქვს, ჩემი საყვარელი საქმეა, მაგრამ **კიდევ ვეძებ სამსახურს,** მინდა, დამატებით ვიმუშაო. **„ცეკვავენ ვარსკვლავებში“ კი მოვიგე ბინა, მაგრამ ბაკურიანშია** და იქ ვერ ვიცხოვრებ, თუმცა, ძალიან საყვარელი ბინაა და სეზონურად ვაქირავებ. ხალხმა თავად მოიკლო და ესემესები მე მიგზავნა, მათი დახმარებით გავიმარჯვე, **ბინა მოვიგე და ამას ვერანაირად ვერ გავყიდი.** ჯვარი მეწეროს და **რა უნდა გამიჭირდეს ისეთი, ხალხის გვერდით დგომით, მათი სიყვარულით ნაჩუქარი ბინა გავყიდო.** ეს ბინა ჩემთვის შეუფასებელია.

„თბილისელები“

### მანანა კოზაკოვა
*მსახიობი*



ვინც განსაკუთრებული პირფერობით იყო გამორჩეული, ის უფრო **გამალებით გვდალატობდა, ტუჟუილებს იგონებდა, ჭორებს გვივრცელებდა და ენა მიჰქონდა სხვასთან.** ქართველებმა ასე ვიცით, როცა ადამიანი ცოცხალი აღარ არის, მაშინ ვადიდებთ.

„სარკე“

### ანზორ ოდიშარია
*ჟურნალისტი*



ვერის ხევის მახლობლად იყო ჩემი სასწავლებელი, სადაც მეორე დღეს უნდა მივსულიყავი. **2015 წლის 13 ივლისს, ვერის ხევის ტრაგედია სანამ დატრიალდებოდა, წინა ღამეს ვნახე სიზმარი, რომელიც ამ უბედურებას მოასწავებდა.** იმ დღეს სახლში დავრჩი, არსად წავედი და გადავრჩი.

„სარკე“

### გელა გნოლიძე
*მომღერალი*



საუკუნეების განმავლობაში **ვართ ევროპა და ძალიან გვიყვარს ჩვენი ტრადიციები,** რომელსაც დავიცავთ.

„იმედინიუსი“



# მიხეილ ცაგარელი:
# ასტროლოგიური პროგნოზი გიორგობისთვეში

***— რისთვის იქნება მშვენიერი ნოემბრის დასაწყისი? 7 რიცხვის შემდეგ კოსმოსის დესტრუქციული გავლენა რაზე აისახება? უკვე 15 ნოემბრიდან რა დაგვეხმარება ადრინდელი კონფლიქტისა და დაპირისპირებების დაძლევა-მოგვარებაში და პლანეტა მარსის შემოქმედებითი ენერგია ადამიანებში რომელ პოზიტიურ თვისებებს გაგვიძლიერებს? 21 ნოემბერს მზის გადანაცვლება ღრიანკალის ზოდიაქოდან მშვილდოსანში რა და რა თვისებებს გაამახვილებს? მთელ მსოფლიოში რა გაუმჯობესდება და 26 ნოემბრამდე რა შეიძლება თამამად ჩავინიშნოთ ან დავგეგმოთ? ამ პერიოდში პლანეტა ვენერას ზეგავლენით გაზრდილი იღბლიანობა და წარმატების მიღწევის შესაძლებლობები რის საშუალებას მოგვცემს და ამ დროს მიმდინარე ძირითადი მოვლენები რომელ სფეროებზე მოახდენს უმნიშვნელოვანეს გავლენას? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

## 4-10 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**ეს კარგი პერიოდია მნიშვნელოვანი ცვლილებების განსახორციელებლად და პროფესიული დონის ასამაღლებლად. ასევე კარგი დროა ნათესავებთან ურთიერთობისთვის, ძველი იდეების ხორცშესხმისა და საიდუმლო ინფორმაციის კვლევისთვის. საყვარელ ადამიანთან ან მეუღლესთან თუ არ იქნებით თბილი და გულღია, შესაძლოა, ურთიერთობა ჩიხში შეიყვანოთ და დაცილების პროცესიც კი დაიწყოთ. შორეული მოგზაურობა დიდ პერსპექტივებს გპირდებათ.**

**კურო** (21.04-20.05)
**თქვენი იდეები დიდ მოწონებას დაისახურებს როგორც ოჯახში, ისე ხელმძღვანელობასა და პარტნიორებში, რასაც საქმიანი ჰორიზონტების გაფართოება ან ახალი ბიზნესი შეიძლება მოჰყვეს. ერთობლივ ფინანსებთან დაკავშირებული საქმე მომგებიანი იქნება, ოღონდ წესრიგში მოიყვანეთ იურიდიული და ფინანსური საბუთები. ახალი სასიყვარულო კავშირი ღრმა გრძნობებსა და სულიერ ერთიანობას გიქადით. მოგზაურობასთან დაკავშირებით შეიძლება ახალი სურვილები გაგიჩნდეთ.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**პროფესიულ და სამსახურის საქმეებში ახალ მნიშვნელოვან გამოცდილებას მიიღებთ. მოიმატებს შემოსავლებიც. სახლისა და ოჯახის წევრების საქმეები მთლიანად თქვენს პასუხისმგებლობას დაეყრდნობა. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა შესაძლოა, საიდუმლოებით ფარული, მაგრამ ძალზე სასიამოვნო იყოს. შემცირდება გადაადგილებების რაოდენობა, თუმცა, ეს ზიანს არ მოუტანს არც თქვენს კონტაქტებს და არც ფინანსურ მდგომარეობას.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**კარგი დროა პროფესიული საქმიანობისა და სამსახურებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. თქვენი შრომით ნელა, მაგრამ წარმატებულად ივლით მიზნისაკენ. ფინანსურ მოგებას მოგიტანთ საგარეო ვაჭრობა. გარშემო მყოფები ყოველმხრივ დაგიჭერენ მხარს, თუმცა, შესაძლოა, ინტრიგებიც და მითქმა-მოთქმაც. საყვარელ ადამიანს თქვენი მხარდაჭერა და თანაგრძნობა დასჭირდება. ეცადეთ, ზედმეტი ენერგია არ დახარჯოთ და ხშირად დაისვენეთ.**

**ლომი** (23.07-23.08)
**დადებითი განწყობა აქტიურად მოქმედების საშუალებას მოგცემთ. კარიერაში ცვლილებები დამოკიდებული იქნება ხელმძღვანელი პირების ან მათდამი თქვენი დამოკიდებულების შეცვლაზე. მოერიდეთ ფულის ფლანგვასა და ახალ სპონტანურ შენაძენებს. ბევრი გადაადგილებები და კონტაქტები დამღლელი, მაგრამ მხიარულების მომტანი იქნება. საქმიან და სასიყვარულო პარტნიორებთან ურთიერთობების შესანარჩუნებლად ეცადეთ, გაითვალისწინოთ მათი აზრი.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**გაზრდილი ინტელექტუალური შესაძლებლობები და შინაგანი წონასწორობა დაგეხმარებათ სირთულეების წარმატებით გადალახვაში და მიზნების მიღწევაში. მოთმინებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით ადვილად დაძლევთ ბარიერებს. მატერიალური მდგომარეობა დამოკიდებული იქნება კონკრეტულ მიზნებსა და თქვენ მიერ გაწეულ სამუშაოზე. სიყვარულში ძალზე ერთგული იქნებით და ყოველმხრივ დაეხმარებით რჩეულს თავისი პრობლემების მოგვარებაში. დადებითად ჩაივლის მოგზაურობაც.**

**— გიორგობისთვეში როგორია ასტროლოგიური პროგნოზი, რას გვაუწყებენ ვარსკვლავები?**

— **ნოემბრის დასაწყისში 7 რიცხვამდე ეფექტური კომუნიკაციისთვის და ნაყოფიერი საქმიანობისთვის მშვენიერი დრო იქნება,** ამიტომ სასურველია, თვის ეს მონაკვეთი მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ადრე დასახული მიზნებისა და გეგმების რეალიზაციისთვის, აქტიურად მოქმედებისთვის და ურთიერთობისთვის. შემდგომ, **7-9 ნოემბრის შუალედში გართულდება დინამიკური მუშაობა და ჩანაფიქრთა განხორციელების პროცესი. ამ დროს კოსმოსის დესკრუციული გავლენა ნეგატიურად აისახება ადამიანთა ფსიქიკაზე, ემოციურ სტაბილურობაზე, ჯანმრთელობასა და განწყობაზე.** პერიოდულად, შესაძლოა, გამოწვეული იქნეს გონების ნაწილობრივი დაბინდვა, რეაქციის შენელება, გულჩათხრობა და განმარტოების სურვილი, რაც ხელს შეუშლის შემოქმედებით სფეროსა და ბიზნესში წარმატებულ საქმიანობას. ამასთან ერთად, თვის ამ პერიოდში გაიზრდება მოტყუების, თაღლითობის, ილუზიური იმედების, ფუჭი დაპირებისა და გულის დაწყვეტის ალბათობა. თუმცა, უკვე **15 ნოემბრიდან სიტუაცია გაუმჯობესებას დაიწყებს. ინტუიციური პოტენციალი იმატებს, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნება ადრინდელი კონფლიქტების, სირთულეების, დაპირისპირებების დაძლევა და პრობლემების მოგვარება.** გარდა ამისა, **17 რიცხვის შემდეგ ბევრი ადამიანი სასიცოცხლო ძალების მატებასა და მოქმედების სურვილს იგრძნობს.** ენერგია და ქმედითუნარიანობის მმართველი **პლანეტა მარსის** შემოქმედებითი ენერგია გააძლიერებს ადამიანებში თვითრწმენას, მიზანსწრაფულობას, შეუპოვრობას, ქარიზმატულობას და ასევე უფრო დაცულს გახდის ბიოველს.

**— როგორი იქნება ნოემბრის მესამე დეკადაში ასტროლოგიური ამინდი?**

— **20 ნოემბრიდან დედამიწის ბიოსფერო დამშვიდდება, რაც ხელს შეუწყობს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას და ფსიქიკურ-ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამავდროულად, მთელ მსოფლიოში ასევე გაუმჯობესდება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, რაც ჩვენი პლანეტის მოსახლეობის თავდაჯერებულობასა და წარმატების მიღწევის ალბათობას გაზრდის.** ასევე სხვადასხვა სფეროში არსებული სადავო საკითხები დადებითად გადაწყდება, მატერიალურ და ფინანსურ სფეროებთან დაკავშირებული კონფლიქტებიც ჩაცხრება.



## 4-10 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**ეს კარგი დროა ახალი იდეების გენერირებისა და მნიშვნელოვანი ცვლილებების განსახორციელებლად. შესაძლებელი იქნება ფინანსური დახმარების ან დაფინანსების მიღებაც. მიუხედავად ამისა, ეცადეთ, არ გარისკოთ და არ დაარღვიოთ კანონი. მოერიდეთ ოჯახის წევრებთან კამათს. მოგზაურობის გადადებამ შესაძლოა, ფსიქოლოგიური პრობლემები გამოიწვიოს. ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში დროულად მიმართეთ ექიმს.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**საგრძნობლად მაღალი იქნება თქვენი ავტორიტეტი და თქვენს აზრს ბევრი ადამიანი გაითვალისწინებს როგორც სამეგობრო წრესა და სამსახურში, ისე სახლში. მეტი დრო დაუთმეთ პირად პრობლემებს, სასიყვარულო ურთიერთობას, გარეგნობის გაუმჯობესებასა და ავტორიტეტის ამაღლებას. ეს პერიოდი ხელს შეუწყობს დამატებითი ცოდნისა და განათლების მიღებას. გადაადგილებებმა და მოგზაურობებმა შესაძლოა, რადიკალურად შეცვალოს თქვენი ძველი გეგმები და მიზნები.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**კარგი დროა შემოქმედებისა და თვითგამოვლენისთვის, ცოდნის გასაღრმავებლად. ხელსაყრელი პერიოდია იურიდიული და ოფიციალური საქმეების მოსაგვარებლადაც. ფულადი სახსრების მიმართ საკმაოდ ფრთხილი იქნებით, რაც მოგცემთ საშუალებას, დაზოგოთ გარკვეული თანხა. რომანტიკულ ურთიერთობებში შესაძლოა, მოისურვოთ უჩვეულო გამოცდილების მიღება, რაც ბედ-იღბლის რადიკალურ ცვლილებას გამოიწვევს. მოგზაურობა დადებითად ჩაივლის.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**მეტად უსმინეთ შინაგან ხმას და დრო უქმად არ დახარჯოთ. სამსახურის საქმეებში სასიკეთო შესაძლებლობები გამოჩნდება, ოღონდ ნუ გექნებათ სწრაფი წარმატების იმედი. ახალი ნაცნობობა მოგვიანებით კარგ მეგობრობაში გადაიზრდება. მოიმატებს სასიყვარულო კავშირებისა და შეხვედრების რაოდენობაც, ხოლო ამ პერიოდში დაწყებული ურთიერთობა შესაძლოა, დიდხანს გაგრძელდეს. ეს კარგი დროა ახალი ნაცნობობისთვის, ქორწინებისთვის და მოგზაურობისთვის.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდება და გაიზრდება თქვენი მომხიბვლელობა. კარიერაში წინსვლა მოითხოვს დამატებით ინფორმაციასა და ცოდნას. სხვის მაგივრად საქმეებს ნუ შეასრულებთ, რათა ზედმეტად არ გადაღალოთ ორგანიზმი. სასიყვარულო სფეროში სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი. მოგზაურობა დასამახსოვრებელი და შთაბეჭდილებებით აღსავსე იქნება, გააღვიძებს თქვენში რომანტიზმსა და მგრძნობელობას.**

**თევზები** (19.02-20.03)
**კარგი დროა როგორც პირადი ცხოვრებისთვის, ისე ბიზნესისთვის. მაღალი აქტივობა დადებითად აისახება ახალი საქმეების დაწყებაზე და ჩანაფიქრების განხორციელებაზე. მუშაობისას და გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინეთ ყველა წვრილმანი. ერიდეთ საიდუმლო და საეჭვო საზოგადოებასა და ორგანიზაციებს, რათა არ დაგიქვეითდეთ ავტორიტეტი. საყვარელ ადამიანთან ნუ იკამათებთ, რათა მასში ეჭვი არ დაბადოთ. მოგზაურობა დადებითად აისახება თქვენს შინაგან სამყაროზე.**

**— რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებსა და მოვლენებში 21 ნოემბერს მზის გადანაცვლება ღრიანკალის ზოდიაქოდან მშვილდოსნის ზოდიაქოს ნიშანში?**

— **მზე 21 ნოემბერს 23.58 საათზე გადაინაცვლებს რა მშვილდოსნის ზოდიაქოში, ადამიანებში გააძლიერებს ენერგიულობას, ოპტიმიზმს, კომუნიკაბელურობას, ენთუზიაზმს, ლიდერულ თვისებებს, გონებამახვილობას, მოგზაურობისკენ მიდრეკილებას და ასევე გაამახვილებს სულსწრაფობას, უყაირათობას, ამბიციურობას, დიქტატორობას, სარკასტულობასა და აგრესიისკენ მიდრეკილებასაც.** უნდა აღინიშნოს, რომ ნოემბრის თვეში **26 რიცხვამდე თამამად შეგვიძლია მნიშვნელოვანი შეხვედრების ჩანიშვნა, მოლაპარაკებების წარმოება, კონტრაქტის გაფორმება, ოფიციალურ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და ახალი საქმიანი კავშირების დამყარება.** ამ პერიოდში სიყვარულისა და სილამაზის მმართველი პლანეტა ვენერას ზემოქმედებით გაძლიერდება ინტუიცია, იღბლიანობა და წარმატების მისაღწევ შესაძლებლობათა წინათგრძნობის უნარი. ასევე პარტნიორების ჭეშმარიტი მოტივებისა და სურვილების დანახვაც გაადვილდება, ამიტომ სასურველია საკუთარი გეგმებისა და პროექტების განსახორციელებლად სანდო პარტნიორის დაინტერესება და ჩართვა. გარდა ამისა, ამ პერიოდში მიმდინარე ძირითადი მოვლენები უმნიშვნელოვანეს ზეგავლენას მოახდენს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განახლებისა და განვითარების პროცესებზე.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 5, 8, 9 და 10 ნოემბერი

**1 ნოემბერი – ახალმთვარეობა;**
**16 ნოემბერი – სავსემთვარეობა.**



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 4 ნოემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.37 საათზე, ჩადის 16.52 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 09.38 საათზე, ჩადის 18.15 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 12.50 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** ენერგიისა და ქმედითუნარიანობის მმართველი პლანეტა **მარსი** დღეიდან **ლომის** ზოდიაქოში გადაინაცვლებს, რაც გააძლიერებს აქტიურობას, კომუნიკაბელურობას, ორგანიზატორულ და ლიდერულ თვისებებს, ოპტიმიზმს, შემოქმედებითობას, სასიყვარულო ურთიერთობებისა და შვილებისკენ მიდრეკილებას და ასევე სიჯიუტეს, სიზარმაცეს, სულსწრაფობას, უყაირათობას, ამბიციურობას. დღეს ეფექტური იქნება სუნთქვითი ვარჯიშები, წყლის პროცედურები, ფილტვების, მეტყველების დარღვევის, ხელების მკურნალობა. კარგი დღეა მგზავრობისთვის, სასამართლო პროცესებისთვის, სპორტული შეჯიბრებისთვის, უცხოელებთან კონტაქტისთვის. არ არის სასურველი სარკაზმი, ქორწინება, მშენებლობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ლაზურიტი, საფირონი, ამეთვისტო, ქარვა. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თევზებისთვის.

## 5 ნოემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.38 საათზე, ჩადის 16.50 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (19.00) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 10.39 საათზე, ჩადის 19.05 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 14.01 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 14.25 საათიდან 19.18 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა მგზავრობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, სპორტული შეჯიბრებებისთვის, თანამშრომლობისთვის, ახალი საქმის დასაწყებად. არ არის სასურველი მშენებლობა, სისხლის გადასხმა. ეფექტური იქნება ფილტვების, ბრონქების, ხელების მკურნალობა, ექიმთან კონსულტაცია. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ფირუზი, ჟადეიტი, ცირკონი, სერდოლიკი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ქალწულისთვის.

## 6 ნოემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.39 საათზე, ჩადის 16.49 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 11.34 საათზე, ჩადის 20.05 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს აზრები აკონტროლეთ, კეთილსინდისიერი იყავით. კარგი დღეა ისეთი საქმის შესასრულებლად, რომელიც ადრე ვერ შესრულდა. დღეს გეგმების დასახვა არ ღირს. ეფექტური იქნება კუჭ-ნაწლავის, ფილტვების, მკერდის მკურნალობა. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გასათავისუფლებლად, უძრავი ქონებით ვაჭრობისთვის და ავტომობილის ყიდვა-გაყიდვისთვის, რესტავრაციისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ფინანსური და გაცვლითი ოპერაციები, სიმძიმეების აწევა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, კუნთები, კბილები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

## 7 ნოემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.41 საათზე, ჩადის 16.48 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 12.20 საათზე, ჩადის 21.13 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 15.23 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** ხელი შეეწყობა მომავლის გეგმების დასახვას, ახალი საქმის დაწყებას. დღის ენერგიები ხელს შეუწყობენ სულიერ განვითარებას. შესაძლებელია პარტნიორთან მნიშვნელოვანი გეგმის განხილვა. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან განთავისუფლებისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის, ვალის დაბრუნების მოთხოვნისთვის. არ არის სასურველი ფინანსური ოპერაციები, ქორწინება, სიმძიმეების აწევა, ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, კუნთები, კბილები, კანი, მუხლები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, მარჯანი, აქატი, მალაქიტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 8 ნოემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.42 საათზე, ჩადის 16.47 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (02.44) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 12.58 საათზე, ჩადის 22.25 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 15.42 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 02.33 საათიდან 02.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს უანგაროდ იმოქმედეთ და მეტი დრო დაუთმეთ ოჯახსა და ახლობლებს. მოსალოდნელია განწყობის ცვალებადობა. ურთიერთობისას იმატებს სპონტანურობა. კარგი დღეა სუნთქვითი ვარჯიშებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, საზოგადოებრივი და ნოვატორული საქმიანობისთვის, სესხის ასაღებად, ბინის შესაცვლელად, გართობისთვის, ელექტროაირ-კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად. არ არის სასურველი ნერვიულობა, ფორიაქი, საიდუმლო ინფორმაციის გამხელა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები, ვენები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 9 ნოემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.43 საათზე, ჩადის 16.46 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 13.29 საათზე, ჩადის 23.40 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 15.53 საათზე. მე-2 ფაზა იწყება 09.57 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** შესაძლებელია ძველი ვალდებულებებისაგან განთავისუფლება. კარგი დღეა საზოგადოებრივნოვატორული საქმიანობისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, რეფორმებისთვის, ელექტრო, აირ და კომპიუტერული აპარატურის შესაძენად, სავენტილაციო სისტემის, კონდიციონერის დასამონტაჟებლად, სესხის ასაღებად, ბინის შესაცვლელად, მეგობრული კონტაქტებისთვის, განცხადებებისა და რეკლამებისთვის. არ არის სასურველი ზედმეტი ლაპარაკი, საიდუმლოს გამხელა, ნერვიულობა, ფეხზე დიდხანს დგომა (ჯობს, იაროთ), ზედმეტად ფანტაზიორობა. ეცადეთ, რეალურ ფაქტებს დაეყრდნოთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ფეხის კუნთები, ნერვული სისტემა, ვენები. **ქვები:** აკვამარინი, ციტრინი, ცირკონი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 10 ნოემბერი , კვირა

**მზე** იმყოფება ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 06.42 საათზე, ჩადის 16.45 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (07.48) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 13.55 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 16.01 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.25 საათიდან 08.01 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა მშვიდად საოჯახო საქმიანობისა და დასვენებისთვის. დღეს ჩადენილი ცუდი საქციელი უკან ბუმერანგივით მოგიბრუნდებათ. კარგი დღეა რომანტიკული კონტაქტებისთვის, სიყვარულის ახსნისა და ხელის სათხოვნელად, ქორწინებისთვის, შემოქმედებითობის გამოსავლენად, საზოგადოების წინაშე გამოსვლისთვის, ქველმოქმედებისთვის. არ არის სასურველი საიდუმლო საქმიანობა, ალკოჰოლის, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალებების მიღება, სესხის აღება-გაცემა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები, თვალები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის.



**✝ 4 ნოემბერი. ორშაბათი.** **მოციქულთა სწორისა ამბერკისა, იერაპოლელი ეპისკოპოსისა, სასწაულმოქმედისა;** შვიდთა ყრმათა ეფესელთა: მაქსიმილიანესი, იამბლიქოსისა, მარტინიანესი, დიონისესი, ანტონინესი, კონსტანტინესი და იოანესი; მოწამეთა: ალექსანდრე ეპისკოპოსისა, ირაკლი მხედრისა და ოთხთა დედათა: ანასი, ელისაბედისა, თეოდოტიასი და გლიკერიასი. დღესასწაული ყაზანის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა.

**✝ 5 ნოემბერი. სამშაბათი.** **მოციქულისა იაკობისა, ხორციელად ძმისა უფლისა, იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსისა;** ეგნატე I-ისა, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.

**✝ 6 ნოემბერი. ოთხშაბათი.** მოწამისა არეთასი და მისთანა მრავალთა მოწამეთა; ნეტარისა ელეზვოისი, ეთიოპიის მეფისა; მოწამეთა სვინკლიტიკიასი და ორთა ასულთა მისთა; ათანასესი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა; **დღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“.**

**✝ 7 ნოემბერი. ხუთშაბათი.** მოწამეთა და მწიგნობართა: მარკიანესი და მარტვირისა; მოწამისა ანასტასისა; მართლისა ტაბითასი.

**✝ 8 ნოემბერი. პარასკევი.** **წმიდისა დიდებულისა დიდმოწამისა დიმიტრი თესალონიკელისა, მირონმდინარისა;** ხსენება კონსტანტინოპოლს მომხდარისა დიდისა და საშინელისა მიწისძვრისა; ალექსანდრესი, გურიისა და სამეგრელოს ეპისკოპოსისა; მოწამისა ლუპესი; ღირსისა ათანასე მიდიკიელისა; ღირსისა დიმიტრი ბესარბოველისა, ბულგარელისა.

**✝ 9 ნოემბერი. შაბათი.** მოწამისა ნესტორ თესალონიკელისა; მოწამეთა კაპეტოლინასი და ეროტეისისა; მოწამისა მარკოზისა და მისთანათა.

**✝ 10 ნოემბერი. კვირა.** **მღდელმოწამისა ნეოფიტესი, ურბნელი ეპისკოპოსისა; დიდმოწამისა პარასკევასი;** მოწამეთა: ტერენტისა, ნეონილასი და შვილთა მათთა: სარვილესი, ფოტისა, თეოდულესი, იერაქსისა, ნიტესი, ვილესი და ევნიკიასა; ღირსისა სტეფანე საბაწმიდელისა და კანონთმთქმელისა; არსენი I-ისა, სერბელი მთავარეპისკოპოსისა; მოწამეთა: აფრიკანესი, ტერენტისა, მაქსიმესი, პომპისა და 36-თა სხვათა; მღვდელმოწამისა კვირიაკესი, იერუსალიმელი პატრიარქისა; ღირსისა იოანე ქოზიბელისა, კესარიელი ეპისკოპოსისა; ღირსისა იობისა, პოჩაეველი იღუმენისა; დიმიტრისა, როსტოველი მიტროპოლიტისა.




# მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

# მაგიური მედიცინა

ფოტოსურათით მოგიხსნით **ალკოჰოლზე და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, აგრესიას, დეპრესიას, ეჭვიანობას, აკვიატებას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, გაუმართლებლობას, ბედის ჩაკეტილობას** და მრავალი სახის პრობლემას. ვმუშაობ მოზარდებზე და ბავშვებზეც.

მისამართი: წერეთლის გამზირი №57. ფირმა «დავით ბაგრატიონის» დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. მიღება წინასწარი ჩაწერით. 599 49 84 23

ლეგენდარული **დიმიტრი ალავიძე**
ლეგენდარული **ვასილ მჟავანაძის**
პირველი სტუმრობიდან **58-ე წელია,**

# მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!





### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. მეცენატი; 6. მაკაო; 11. ნორმა; 12. წნორი; 13. კამერტონი; 14. რელსი; 15. სკიფი; 16. ნუმია; 17. ანაბაზისი; 18. ფედრა; 19. აკელა; 20. რურკი; 21. ეპიტაფია; 26. თუნგი; 27. ნაყინი; 30. კიკუ; 32. სპარტაკი; 33. ლადა; 36. ლერწამი; 37. ელიოტი; 38. გასტრიტი; 40. მოკო; 41. სიო; 42. ნაილონი; 43. სვია; 46. მე; 47. რაგბი; 48. ტარო; 49. პირიტი; 52. ესმა; 53. გირაო; 56. კი; 57. ბის; 59. პალიტრა; 60. ეთერი; 61. თერმოსი; 62. ჟან; 63. მარტინიკა; 64. კუ; 65. არამისი; 66. ისინი.

შვეულად: 1. მაკრამე; 2. ციმბალი; 3. ნირვანა; 4. ტროტილი; 5. ბროილერი; 6. მარიფათი; 7. კალედონია; 8. ოწინარი; 9. ლომბარდი; 10. ტირამისუ; 11. ნისია; 22. პაპუასები; 23. ტერიტორია; 24. ფლამინგო; 25. ანილინი; 28. ყირმიზი; 29. ნეაპოლი; 31. კიტრი; 33. ლიმიტი; 45. დეკარტი; 35. ალო; 39. სი; 44. ვესტელი; 45. არაბიკა; 50. რულონი; 51. ტატამი; 53. გოთუა; 54. რურუა; 55. ობოლი; 56. კრიჟი; 57. ბადრო; 58. სესია; 59. პონი.

**კლასიკარატინიჭიკარტიეკალისტოპერიოდინილოსი**
**როტაციალივერისპილოტიხარიხაზინათიკუნისიონი**

კლასიკურ ნაწარმოებთა ერთობლიობა | შალის ქსოვილი | კნოპი | ჩხვლეტია მცენარე | ცენტრალური მცველი ფეხბურთში | უმაღლესი ღვთაება სკანდინავიაში | ცხენირემი, დომბა

რისამე ხარისხი, დონე | ძვირფასი თვლების წონის ერთეული | ტალანტი | ფრანგული საიუველირო ფირმა | პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი | შეჯიბრების ერთი მონაკვეთი ჰოკეიში | მდინარე აფრიკაში



თარაზულად: 1. მეცნიერებისა და ხელოვნების მდიდარი მფარველი; 6. ბრაზილიური თუთიყუში; 11. რისამე დაწესებული რაოდენობა; 12. ტირიფის ერთ-ერთი სახეობა; 13. ორთითა ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება მუსიკალური საკრავის აწყობისას; 14. მატარებლის სამოძრაო ძელი; 15. გრძელი და ვიწრო სპორტული ნავი; 16. ეგვიპტის ისტორიული ოლქი; 17. ძველი ბერძენი მწერლის ქსენოფონტის თხზულება; 18. ჟ. რასინის დრამა; 19. მაუგლის გამზრდელი მგელი; 20. ამერიკელი მსახიობი მიკი ...; 21. საფლავის ქვის წარწერა; 26. სპილენძის ვიწროყელიანი ჭურჭელი; 27. გაყინული ტკბილი საჭმელი; 30. მედუქნის ქალიშვილი („დათა თუთაშხია“); 32. მონათა აჯანყების ბელადი; 33. რუსული ავტომობილი; 36. შაქრის მცენარე; 37. ინგლისელი მწერალი ქალი; 38. კუჭის ლორწოვანი გარსის ანთება; 40. წვრილმარცვლოვანი ყავის სახეობა; 41. ნიავი; 42. ხელოვნური ბოჭკო; 43. ხვიარა ბალახოვანი მცენარე; 46. დედმამიშვილი; 47. სპორტის სახეობა; 48. სამკითხაო კარტი; 49. რკინის ალმადინი; 52. ქართველი პოეტი ქალი ... ონიანი; 53. ვალის წინდი; 56. დასტურის სიტყვა; 57. ნომრის გამეორების მოთხოვნა; 59. მხატვრის საღებავების შესაზავებელი ფიცარი; 60. აბესალომის სატრფო; 61. სპეციალური ჭურჭელი, იცავს პროდუქტს გაციების ან გათბობისაგან; 62. მსახიობი ... მარე; 63. კუნძული ვესტინდოეთში; 64. „მორიელი და ...“ (საბა); 65. ა. დიუმას ერთ-ერთი მუშკეტერი; 66. „ის“ მრავლობით რიცხვში.

შვეულად: 1. ტანსაცმელზე დაკერებული დაწნული ზონარი; 2. ბერძნული ხალხური მუსიკალური საკრავი; 3. უმაღლესი ნეტარება ბუდიზმში; 4. ასაფეთქებელი ნივთიერება; 5. სახორცე ვარია; 6. შნო, მოხერხებულობა; 7. დიდი ბრიტანეთის ნაწილის უძველესი სახელი; 8. ჭიდან წყლის ამოსაღები მოწყობილობა; 9. საკრედიტო დაწესებულება; 10. იტალიური ნამცხვარი; 11. ვალი; 22. ახალი გვინეის მკვიდრი მოსახლეობა; 23. გარკვეულ საზღვრებში მოქცეული მიწის სივრცე; 24. წყლის დიდი ფრინველი; 25. ზეთოვანი სითხე, გამოიყენება საღებავების და წამლის დასამზადებლად; 28. წითელი (ძვ.); 29. ქალაქი იტალიაში; 31. ბოსტნეული მცენარე; 33. ზღვრული ნორმა რისამე; 34. ფრანგი ფილოსოფოსი; 35. სატელეფონო შორისდებული; 39. მუსიკალური გამის მე-7 ნოტი; 44. თურქული საყოფაცხოვრებო ტექნიკის ფირმა; 45. ყავის სახეობა; 50. ქაღალდის, ქსოვილის გრაგნილი; 51. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა; 53. ქართველი მწერალი („გმირთა ვარამი“); 54. ქართველი ექსმოჭიდავე; 55. უდედმამო; 56. კათოლიკური ჯვარი; 57. სპორტული იარაღი; 58. პარლამენტის პერიოდული სხდომა; 59. ჯუჯა ცხენი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

ტრიალი, წრებრუნვა | ერთგვარი ძახვი | ხორთუმიანი ცხოველი | თხელი გამყოფი კედელი | სახელმწიფოს ქონება, ფისკი | იგივეა, რაც მეტსახელი | ტაძარი თბილისში

იტალიელი კომპოზიტორი | ციმციმი | ფილმი – „.... უზნის მელოდიები“ | თვითმფრინავის მძღოლი | მოაჯირის ნაწილი | სიმდიდრე, განძეულობა | მსახიობი მილა ... | რაიონული ცენტრი რაჭაში

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზვიადისტური
ასავალ დასავალი
2024 წლის 4 – 10 ნოემბერი №46 (1564)
გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:
mail@asavali.com
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: www. facebook.com/Asavali.com
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

2 009882 637296


THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001

Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol